ISSN 0130—1624

ლიტერატურული საქართველო

ოქტომბერი
№ 10 1985 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი 76056

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მტევნები.

ფოტო ბონდო დვალიშვილისა.

ნიკოლოზ ივანეს ძე რიჟკოვი —

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ნიკოლოზ ივანეს ძე რიჟკოვი დაიბადა 1929 წელს, რუსია, სკკპ წევრია 1956 წლიდან. დამთავრებული აქვს ურალის ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

შრომითი საქმიანობა 1950 წელს დაიწყო ურალის ს. ორჯონიკიძის სახელობის მძიმე მანქანათმშენებლობ ი ს ქარხნის ცვლის ოსტატად, იყო უბნის უფროსი, საამქროს უფროსი, მთავარი შემდუღებელი, დირექტორის მოადგილე, ხოლო 1965 წლიდან — მთავარი ინჟინერი. 1970 წლიდან ნ. ი. რიჟკოვი ამ ქარხნის დირექტორია, ხოლო შემდეგ — საწარმოო გაერთიანება „ურალმანქანის“ გენერალური დირექტორი.

1975 წელს დაინიშნა მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის მინისტრის პირველ მოადგილედ, ხოლო 1979 წელს — სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე ნ. ი. რიჟკოვი აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად. ამავე დროს იგი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეკონომიკური განყოფილების გამგე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე ნ. ი. რიჟკოვი აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად.

ნიკოლოზ ივანეს ძე რიჟკოვი 1981 წლიდან იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი. არის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა (მე-9-11 მოწვევათა) და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორგზის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

სამშობლოს წინაშე გაწეული ღვაწლისათვის ნ. ი. რიჟკოვი დაჯილდოებულია ორი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, ორი შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 10 (586) ოქტომბერი, 1985

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ ო მ ე რ შ ი ა:

ლამარა თელია — „არის ანგარიში მაღალ სართულებით“... (ინტერვიუ მინისტრთან)

ნათელა გიორგოგიანი — აგედათის ვარსკვლავები (ნარკვევი)

ალექსეი არგუნი — ვარშავული აფხიარცა (ნოველა)

ტრისტან ჩინჩილაკაშვილი — ჟორჟი გერგაიას გმირობა

მიხეილ დავითაშვილი — ხერხეულიძეთა კრასნოდარელი ძმები

ენვერ ნიუარაძე — პოემა სვანეთზე

გივი მიზანდარი — დღეები გმირულ ვიეტნამში

დიმიტრი კალანდაძე — სოლომონ დოდაშვილი

კარლო ტაბატაძე — ვიოლინო (მოთხრობა)

შოთა ნიშნიანიძე, სულხან ჟორდანია — სამხედრო მფრინავის მოგონებები

გიორგი ჩარკვიანი — აფრებაშვებული ფანტაზია

მიხეილ ზოშჩენკო — ცეცხლის საჩხრეკი (მოთხრობა)

ფელიქს დანელია — ამხანაგი „ყაზგები“

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1985 წ.

მ თ ა ვ ა რ ი რ ე დ ა ქ ტ ო რ ი

ხუტა ბერულავა

●

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა:

ბულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ვასილ ბვეტაძე, ნათელა გიორგოგიანი, თენგიზ ბოგოლაძე (მო. რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, სერგო დურმიშიძე, ვახტანგ ესვანჯია, ოთარ თურქია, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.

შვიდი ოქტომბერი

ეს დღე, როდესაც მილიონთა ნება-სურვილი
დაადასტურეს ერთსულოვნად ხალხის შვილებმა,
ცად ასაფრენად, ვით არწივი, ფრთებდაწურვილი,
ამიერიდან ისტორიას ემორჩილება.

ეს დღე, რომელსაც პოეტი თუ მემატიანე,
უხმოდ, უხიტყვოდ, მდუმარებით გვერდს ვერ
აუვლის,
მხარს დაუმშვენებს უძვირფასეს დღეებს მზიანებს,
ვით ჩვენი ქვეყნის კიდევ ერთი დღესასწაული.

ჩემო სამშობლოვ, უძლეველო, მომილოცნია
ეს დღე — ახალი ნიშანსვეტი შენი დიდების!
ძმადნაფიცები შენი დროშის კალთებს ჰკოცნიან
და საზეიმო გუგუნია კიდით-კიდემდის...

ეს ოქრო წიგნი თანასწორთა ძმობის წიგნია,
თავისუფლების და სიკეთის დიდი მსახური;
რაც გვიბრძოლია დღევანდლამდე, რაც შეგვიქმნია,
მის კაბადონებს აელვარებს, ვით გაზაფხული...

„ისის ისტორიაში ჩვენი სისტემებია...“



„დროშის“ სპეციალური კორესპონდენტი ლამარა თელია ესაუბრება მინისტრს.

შარშან, ნოემბერში, ორი რესპუბლიკური სამინისტრო — მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობისა ერთიან, მშენებლობის სამინისტროდ გადაკეთდა.

გაერთიანებული სამინისტროს წილად მოდის რესპუბლიკაში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის 60 პროცენტი, ანუ სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის 70 პროცენტზე მეტი.

მშენებლობის მინისტრად დაინიშნა ამხანაგი იოსებ ხარატიშვილი.

17 წელიწადი ედგა სათავეში იოსებ ხარატიშვილი სასოფლო მშენებლობის სამინისტროს.

სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ 1968-1984 წლებში შეასრულა 2,32 მილიარდი მანეთის საიჯარო სამუშაო; აშენდა უნიკალური ობიექტები — მეფრინველეობის ფაბრიკები: კინდღში — 8,3, გამარჯვებაში — 6, კოდაში — 2 მილიონ ბროილერზე; მეღორეობისა და მსხვილი რქოსანი პირუტყვის კომპლექსები გიორგიწმინდაში, კრწანისში, წნორში; შამპანური ღვინოების ქარხანა თერჯოლაში; სამარკო და საექსპორტო ღვინოების ქარხანა საგარეჯოში; ჩაის გადამწონი ფაბრიკა ზუგდიდში; ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკები: ჩხოროწყუში, წალენჯიხაში, ზუგდიდში, ქობულეთში, ოჩამჩირეში; 500-ადგილიანი სანატორიუმი წყალტუბოში, 300-საწოლიანი საავადმყოფო გურჯაანში, პურ-პროდუქტების კომბინატი კაჭრეთში; სათბურები 75,29 ჰექტარზე; სკოლები 154 ათას მოსწავლეზე, საბავშვო ბაღები 27 ათას ბავშვზე; საავადმყოფოები 2 ათას საწოლზე; პროფტექნიკური სასწავლებლები 11 ათას ადგილზე, საცხოვრებელი ფართობი 1,32 მილიონ კვადრატულ მეტრზე.

იოსებ ხარატიშვილი თბილისის ტრფიალი და მოჭირნახულეა. იგი დიდი სიხარულით შეხვდა დედაქალაქის ძველი უბნების რეკონსტრუქციასა და ახალი ობიექტების მშენებლობას.

სოფლის მშენებელთა თავკაცის ინიციატივითა და თავდგომით საზოგადოებრივ საწყისებზე დამუშავდა სოფლების— უდაბნოსა და ყანდაურის განვითარების პროექტები.

საგარეჯოს რაიონის სოფელ ყანდაურაში ამაყობენ თავიანთი არჩეული დეპუტატით. იოსებ ხარატიშვილი ჭეშმარიტად ხალხის მსახურია. მისი შეუნელებელი ზრუნვითა და პრაქტიკული დახმარებით ბევრი რამ კეთდება.

რიგითი ინჟინრიდან მინისტრის მაღალ პოსტამდე იოსებ ხარატიშვილის შრომითი გზა აღნიშნულია მთავრობის მაღალი ჯილდოებით: ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, ორი წითელი დროშის ორდენებითა და მედლებით; იგი არის საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ დამსახურებული ინჟინერი, სსრკ მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი, თერჯოლისა და საგარეჯოს რაიონების, სოფელ უდაბნოს საპატიო მოქალაქე, სოფელ შრომის კოლმეურნეობის საპატიო წევრი.

...ინტერვიუსთვის განკუთვნილი რეგლამენტი ისედაც მეტად მჭიდრო იყო. წარამარა რეკავდა ტელეფონი. დარეკეს ვოლოგდიდან, მოსკოვიდან, ჩეხოსლოვაკიიდან; ზუგდიდის მე-12 სამშენებლო ტრესტის მმართველმა 15 შვილის პატრონის არჩილ გულუას სახლის მშენებლობის ანგარიში მოახსენა.

— 15 შვილი?! — კალამი მოვიმარჯვე, მაგრამ, — არ არის საჭიროო, მანიშნა პატივცემულმა სოსომ.

შემთხვევით მოსმენილი სატელეფონო საუბრებიც საკმარისი იქნებოდა მინისტრზე ნარკვევის დასაწერად. მხოლოდ რამდენიმე „არასტანდარტული“ შეკითხვის მიცემა გადავწყვიტე.

— რას ანიჭებთ ყველაზე დიდ მნიშვნელობას ადამიანის ცხოვრებაში?

— დროს! ყველაზე ძვირფასად მიმაჩნია საწყისთა საწყისი — დრო! ორნახევარი ათასი წლის წინათ ჰალიკარნასელი ჰეროდოტე ფიქრობდა, რომ ადამიანის აქტიური სიცოცხლის ზღვარი არის 26.250 დღე. ცივილიზაციით მოპოვებული ყველა საშუალება დღემდე უძლურია გადასწიოს ეს ზღვარი. იცით, რა დაუტოვეს წასულმა თაობებმა მომავლებს? — გლეხური ჩვე-

ულება: ქუდი მოუხადონ ამომავალ მზეს. ეს იყო ფიცი ციური მნათობისადმი, რომ ახალშობილი დღე უქმად არ დაღამდებოდა, რომ იმ დღესაც ადამიანი იშრომებდა.

იყო ერთი ბრძენი, რომელიც ამბობდა: მე არასოდეს არა ვარ ისე დაკავებული, როგორც თავისუფალ დროსო. მართლაც, განა კაცობრიობის თითქმის ყველა გენიოსური აზრი თავისუფალ დროს არ აღმოაჩინეს?

— ყველა ხომ არ იქნება ნიუტონი, არქიმედი, ეინშტეინი?..

— სწორია. ყოველ მოკვდავს არ უწერია მეცნიერებაში გადატრიალების მოხდენა. მაგრამ განა ცოტა შესაძლებლობებია, თუ კაცი გატაცებულია მუზით, ტექნიკით, სპორტით, მებაღეობით, წიგნებით, ხელოსნობით, მიწით, ცით?! და თუ არ იცი დროის ფასი, მაშინ ყველა ოცნება ფუჭი კვამლია. „დრო, დრო აღნიშნე!“ — ეს გალაკტიონმა თქვა.

— ის „თქვენი“ პოეტია?

— გალაკტიონს, რა თქმა უნდა, ვაღმერთებ, მაგრამ თუ „საკუთრებაზე“ წავა საქმე, მაშინ „ჩემი“ ვაჟა-ფშაველაა... რა თქმა უნდა, სხვა პოეტებსაც სიყვარულით ვკითხულობ.

— როგორ ხედავთ ვაჟას?

— ჩარგალში, გამჭვარტლულ ქოხში, ბუხრის წინ მუხლებზე დაცემულს და თავისი კაცობის გვირგვინზე — საქართველოზე მლოცველს ვხედავ; ფშავის გოლიათ მთებში, მინდვრის პაწაწინა ყვავილებში, ნისლებში ვხედავ...

— თქვენ ლირიკოსი ბრძანებულხართ?..

— პროფესია მაქვს ასეთი. მე ხომ მშენებელი ვარ.

— „მშენებელი ვარ!“ ეს მართლაც ამაყად ჟღერს. მაგრამ ნუ მიწყენთ და, თბილისში გაშენებული ახალი საცხოვრებელი მასივები რომ გამახსენდება, დედაქალაქის მშენებლების ადგილზე ყოფნას ვერ ვინატრებდი.

— მესმის თქვენი გულისტკივილი. თანამედროვე ქალაქმშენებლობაში ერთფეროვნების, უფერულობის პრობლემა დღეს ყველაზე საჭირბოროტოა. ქალაქის ინდივიდუალურ, განუმეორებელ სახეს შენობები ქმნიან: მსხვილი საზოგადოებრივი შენობები, თეატრები, საკონცერტო დარბაზები, მუზეუმები, სტადიონები. დღეს უკვე სამრეწველო საწარმოებსაც აშენებენ, როგორც შრომის სასახლეებს. ის დრო წავიდა, ფაბრიკა-ქარხნები ჩაშავებულ, მახინჯ ნაგებობებად რომ გამოიყურებოდნენ. რაც შეეხება საცხოვრებელ მასივებს, თქმა არ უნდა, მათი გაშლილი, სინათლისა და სიმწვანისათვის უხვი სივრცეები, ცალკეული ოჯახისათვის იზოლირებული სათავსოებით, აივნებით უზრუნველყოფილი მრავალსართულიანი სახლები სჯობნის ძველი ქუჩების ვიწროზოებიან, კომფორტსა და სათავსოებს მოკლებულ საერთო კომუნალურ სახლებს. პროგრესი იგრძნობა, თანაც უზარმაზარი პროგრესი.

—და მაინც, როცა უყურებ ახალი საცხოვრებელი მასივების ერთნაირ, მოსაწყენ კვარტალებს, რა სევდით გვაგონდება ჩვენი ბავშვობის ქუჩები — არც ერთი სახლი თავის მეზობელ სახლს რომ არ გავდა, თითოეულს გააჩნდა საკუთარი „სახის ნაკვთები“, საკუთარი გამომეტყველება.

— ერთფეროვნების პრობლემას ქალაქის მხოლოდ გარეგნულ სახეზე ვერ დავიყვანთ. ახალმშენებლობათა ერთფეროვნება, ამორფული სივრცეები, მკვეთრ ორიენტაციას, დასამახსოვრებელი წერტილების ათვლას მოკლებული მასივები მარტო მიკროკვარტალებისა და კორპუსების მისამართების ჩახლართვის კომიკურ სიტუაციას კი არ ქმნიან. ეს მოვლენა უფრო ღრმა ხასიათს ატარებს.

რა თქმა უნდა, შეცდომა იქნებოდა, მოგვეთხოვა იმის დაბრუნება, რაც ობიექტური მიზეზებით წარსულს ჩაბარდა. დღეს უნდა ვეცადოთ, ახალ პირობებში არ დავკარგოთ ადამიანისათვის აუცილებელი ისტორიული გარემოს ფასეული თვისებები, ვეძიოთ ორიგინალური, თანამედროვე ფორმები. ამ თვალსაზრისით, წარსულის გამოცდილების შემოქმედებითად გააზრება შეიძლება გახდეს ფასდაუდებელი დასაყრდენი იმ შაბლონის პრიმიტიულობასთან ბრძოლაში, რომელიც „დროის მოთხოვნის“ ზერელე და მცდარ გაგებაში იბადება. იმისათვის, რომ წარმატებით გავუმკლავდეთ ერთფეროვნებასა და უფერულობას, პირველ რიგში ამ მოვლენის ბუნებას უნდა ჩავწვდეთ და მისი გამომწვევი მიზეზები ვიცოდეთ. არ იფიქროთ, არქიტექტორებს ვუპირისპირდებოდე. ცნობილია, რომ ამ მიზეზთა შორის ძალიან ხშირად მთავარ მიზეზად თვლიან თანამედროვე მშენებლობის ინდუსტრიულ მეთოდებს.

— თავის დროზე „პროზაულმა“ რკინაბეტონმა ეპოქალური გადატრიალება მოახდინა მშენებლობაში. მან საშუალება მისცა არქიტექტორებს, ხორცი შეესხათ ყველაზე ფანტასტიკური პროექტებისათვის. „ტიპიურ არქიტექტურასაც“ ხომ აქვს უამრავი ტექნიკური შესაძლებლობა და მაშ, რატომ არის ასე სტანდარტულად შემოზღუდული?

— თუ საკითხს ღრმად ჩავწვდებით, ვნახავთ, რომ ტიპიური არქიტექტურა თანამედროვე მშენებლობის ერთადერთი ლოგიკური გზაა. მოსახლეობის ზრდასთან ერთად იზრდება მოთხოვნილებებიც, რომელთა დაკმაყოფილება შეიძლება მხოლოდ სამშენებლო მრეწველობის შექმნით, მშენებლობის გასტანდარტულებით, დროის ეკონომიის გაზრდით. ჯობია ავაშენოთ ხუთი ტიპიური კინოთეატრი, ვიდრე ერთი უნიკალური, რომელიც მაყურებელს ვერ დაიტევს.

— მაგრამ ხუთი ტიპიური კინოთეატრი — ეს აუცილებლად ხუთი ულაზათო ერთნაირი შენობა უნდა იყოს?

— სრულებითაც არა. თვით კონსტრუქციული არქიტექტურის არსში ჩამალულია მრავალვარიანტულობა დანახარჯების მაქსიმალური ეკონომიით. ტიპიური არქიტექტურა მოითხოვს მხოლოდ ერთ ფენომენს — არქიტექტორის ნიჭს, შემოქმედებით ძალას, მიგნებებს, ფანტაზიას, სტანდარტულ სიტუაციაში არასტანდარტულ აზროვნებას.

...მინისტრის მოსაცდელში უკვე ორი-ბებიან. მალე თათბირი დაიწყება. „დრო, დრო აღნიშნეთ!“ — დელიკატურად მებოდიშება პატივცემული სოსო. ვემშვიდობები და გამოვდივარ, მაგრამ ზუგდიდელი გულუბების 15 შვილი გონებიდან არ მშორდება. ჟურნალისტს ათასი გზა და ხერხი გააჩნია საჭირო ინფორმაციის მისაღებად. თუმცა, შეიძლება კი ამ ამბავს უბრალო ინფორმაცია ვუწოდოთ?

მშენებლები ყოველი წლის აგვისტოს მეორე კვირადღეს აღნიშნავენ თავიანთ დღესასწაულს. შარშან, მშენებლის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო მზადებაში იოსებ ხარატიშვილისათვის ცნობილი გახდა, რომ „მშენდეტალის“ ზუგდიდის საწარმოო საამქროს მოწინავე დურგალს არჩილ გულუას 14 შვილი ჰყავს. უფროსი ბიჭები მამის კვალს გაჰყოლიან, ისინიც მამასთან ერთად მუშაობენ დურგლებად. საღამოობით კი სოფელ ახალი აბასთუმნის პატარა სახლის ეზოში, არჩილ გულუას „აკადემიაში“ შვილები და სილამაზეს ნაზიარები თანასოფლელები ხეზე ჭრის ხელოვნებას ეუფლებიან, აჩუქურთმებენ აივნის რიკულებს, აკვნებს, საოჯახო ჭურჭელს, შანდლებს, ჩარჩოებს...

გულით გაიხარა ერისა და მისი მომავალი თაობის აღზრდაზე დაფიქრებულმა მინისტრმა, მხოლოდ მეცამეტე ხელფასი და პრემია რას მიქვიაო! თბილისში ჩამოიყვანეს არჩილ და თინა გულუები, სამინისტროს სადარბაზოსთან ახალთ-ახალი „მოსკვიჩი“ დაახვედრეს. თვითონ მინისტრმა მიულოცა და გადასცა მანქანის გასაღები. გულუხვი საჩუქრით დაბნეული არჩილი მადლობის თქმასაც ვერ ახერხებდა, ისევ ცოლმა იხსნა: — პატივცემულო სოსო, ცარიელ სიტყვებს რა ფასი აქვს, ქალი არ ვიყო, თუ სამაგიერო არ გადაგიხადოთ!

სულ მალე ახალი ორსართულიანი სახლის მშენებლობა დაიწყეს გულუების ეზოში, ვადები მჭიდრო იყო — ერთ წელიწადში — მშენებლების 1985 წლის დღესასწაულისათვის ამზადებდა სამინისტრო ახალ საჩუქარს. არც თინა გულუამ დააყოვნა და ცხრა თვის თავზე დეპეშა აფრინა მინისტრთან: „პატივცემულო იოსებ! ჩემი მეთხუთმეტე ბიჭი — სოსოია თქვენს სახელზე მიჩუქებია მამულისათვის!“

საბჭოთა ადამიანს, დიდი ისტორიული მისია აკისრია — აშენოს ახალი საზოგადოება. მისი ცხოვრების გზა შთაგონებული ბრძოლის, შრომისა და მიღწევათა შარავანდედითაა მოსილი. მას უყვარს თავისი საქმე. მას ჰყავს ოჯახი, შვილები, მეგობრები. მას ენდობა და მიჰყვება კოლექტივი, რომელსაც იგი სათავეში უდგას. იგი აშენებს მშობელ მიწაზე, რომელსაც აღმერთებს და უფრთხილდება; სწამს მომავლისა და ქუდმოხდილი ეგებება ყოველ დილით მზის ამოსვლას, რათა შრომისა და ძიების კიდევ ერთი დღე მიიტანოს სამშობლოს კეთილდღეობის საკურთხეველზე.

აბელიანის ვარსკვლავები

ნათელა გიორგობიანი

ასწლოვანი ცაცხვის ქვეშ საშუალო ტანის გამხდარი, მზით გარუჯული კაცი ზის. სახელდახელოდ მოწყობილ მაგიდაზე ლურჯყდიანი რვეული გაუშლია და რაღაცას დაბეჯითებით ჩაჰკირკიტებს. დროდადრო სათვალეს მოიხსნის და სივრცეს გაჰხედავს. ამ დროს მისი ოდნავ მოჭუტული ლურჯი თვალები თითქოს საუკუნეებს კვეთენ... ოცნების ფრთების გაშლა კი აქ თუ არა, სხვაგან სად ძალუძს კაცს. ქვემოთ ხელისგულივით მოჩანს აბაშისა და ცხენისწყლის ხეობა, გურიის მთები, შორს, ნისლში ამაყად დგას თეთრად მოციმციმე მარტვილის ტაძარი...

პროფესორ ვადიმ ლექვინაძეს ფრთხილად უახლოვდება ახალგაზრდა კაცი და მოკრძალებით ჩერდება შორიახლოს...

გადის წუთები. მუშაობაში გართული მეცნიერი ვერ ამჩნევს ირგვლივ ვერაფერს. აბედათის კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს დემურ ჯელიას კი ეს დრო სჭირდება, სჭირდება იმისათვის, რომ თანამედროვე ცხოვრებით სავსე კაცმა წუთით ამოისუნთქოს და მერე წინაპართა ნაკვალევს გაჰყვეს. აქ, აბედათის ციხის მიდამოებში, უფრო უკეთ გრძნობს იგი, რა კვალი შეიძლება დატოვოს კაცმა დედამიწაზე...

ყველაფერი კი თითქოს უბრალოდ დაიწყო, წლების მანძილზე უყურებდნენ გეგეჭკორელები აბედათის ციხეს. ჯაგნარში მდგარი ადრეფეოდალური ხანის ძეგლი თითქოს განსაკუთრებულს არაფერს ეუბნებოდა შთამომავლობას. გადიოდა წლები. ამ მხარის მკვიდრმა, გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დამაარსებელმა და დირექტორმა, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა გივი ელიავამ ჯერ კიდევ 1978 წელს გამოცემულ წიგნში „აბაშისა და ტეხურის ხეობის ისტორიული ღირსშესანიშნაობანი“ აღწერა ციხე. თითქოს ამით უნდა დამთავრებულიყო ყველაფერი, მაგრამ ფიქრი მასზე მაინც არ ასვენებდა. უაღრესად ემოციურ კაცს თავისი განცდების გაზიარებაც უყვარს და აი, აგროსამრეწველო კომპლექსის უფროსს რობი უბილავასაც შეეპარა მოუსვენრობა. იმსჯელეს, ითათბირეს, გათხრებიც დაიწყეს, მაგრამ ბოლოს გადაწყვიტეს, ნოქალაქევის ექსპედიციის ხელმძღვანელ პროფესორ პარმენ ზაქარაიასთვის მიემართათ. არც დაუყოვნებიათ...

იმ ბედნიერ დღეს აბედათის ციხე ნოქალაქევის ექსპედიციის ნაწილად იქცა.

ფიქრის ძაფი წყდება. თავმჯდომარეს გულისყური ქვემოთ, აბედათისაკენ. გაურბის. იქ ახლა გაცხოველებული ჩაის კრეფის პერიოდია. წელს გეგმით გათვალისწინებული 1235 ტონა ჩაი უნდა მოკრიფონ, თუ მეტს შეძლებენ, კიდევ უკეთესი. კოლმეურნეობას 1250 სული პირუტყვი ჰყავს. საკვების პრობლემა დგას, დატენიანებულ წყალგაუმტარ 70 ჰექტარ მიწას აგრომელიორაციულ ღონისძიებათა გატარება სჭირდება და 50 ჰექტარი მაინც უნდა გასარწყავიანდეს, რომ მრავალწლიანი ბალახები უხვად იყოს. სხვაგვარად მეცხოველეობა წინ ვერ წავა. „ეჰ, ლატვიური წაბლა კარგია, მაგრამ კვარაცხელიას წითელი ჯიშის ძროხების ერთი ფერმა რომ მომცა“!.. იელვებს ფიქრი და ახლა სხვა პრობლემებს სწვდება მისი გონება...

აბედათი, უნაგირას ბორცვზე შეფენილი სოფელი — მუდამ მზისგული, მდიდარი წყაროებით, ხილით, ვაზით, ყვავილებით, ფერდობებზე გაშენებული ჩაის თვალწარმტაცი პლანტაციებით, სიმინდის ყანებით... ამ მთაგორიანი სოფლის სიმდიდრე უწინ ხოხბებიც ყოფილა, მარსილის ველზე ბლომად დაგოგმანებდნ ენ ოულამაზესი ფრინველები. ალბათ ამიტომაც მის ყველა უბანში ვხვდებით სახელწოდებას — „წაკორტები“. ჩვენს წინაპრებს, ეტყობა, წალკოტები ჰქონიათ ამ ადგილას.

აბედათი გეგეჭკორის რაიონის დიდი სოფელია. მის უბნებს: ლეგაგუეს, ლეცეკვეს, ლეტორჩინეს... სულ 95 კილომეტრი გზა აქვს, მოასფალტებული ჯერჯერობით არ არის, მაგრამ სოფელში ავტობუსების სიმცირეს არ უჩივიან...

— როგორ ხარ, ვადიმ! — უბრალოდ, შინაურულად კითხულობს მერე ფიქრებიდან გამორკვეული დემური და უმალ გრძნობ, აქ იგი ახლობელი, შინაური კაცია და თუმცა ყველა ქვა და თხრილი თითქმის ზეპირად იცის, მოკრძალებით დგება უკან...

— აბედათის ციხე სხვადასხვა პერიოდის სამშენებლო ფენებს შეიცავს, — წყნარად იწყებს საუბარს პროფესორი ვადიმ ლექვინაძე და სიყვარულით მიმოავლებს თვალს ირგვლივ — უძველესი კედლები V-VI საუკუნეებს ეკუთვნის ჩვენი წელთაღრიცხვით. დანარჩენი სხვადასხვა პერიოდისაა XVI საუკუნის ჩათვლით.

კერამიკა უფრო ძველია, ვიდრე სამშენებლო მასალა. იგი წინაანტიკურ ხანას მიეკუთვნება. ნაპოვნია ოქროს ნივთიც, რომლის თარიღიც ჯერ დადგენილი არ არის...

პროფესორი ჩერდება, ორჭოფობს, თქვას თუ არა სათქმელი, მერე თითქოს მიიღებს გადაწყვეტილებას და გვიზიარებს თავის ვარაუდს:

— ამ ადგილას გადიოდა მნიშვნელოვანი ისტორიული გზა. ციხე, ეტყობა, იცავდა მას. ძველ წყაროებში არქეოპოლისთან (ნოქალაქევთან) ერთად მოხსენებულია ციხე ონოგურისი... თუ ეს ციხე ონოგურისია, დიდი ისტორიული ფაქტის მოწმენი გავხდებით, თუმცა, ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი...

თვალი ზემოთ, ბუერისაკენ, გამირბის და მახსენდება ძველი ხალხური ლეგენდა: ამ ადგილას თითქოს დიდი მრგვალი ქვა იყო წარმართულ ეპოქაში მზის გამოსახულებით. აქ ხალხს სამსხვერპლო შესაწირი მოჰქონდა... ვინ იცის, რამდენი საუკუნის ფიქრს იტევს ეს მიდამოები, რამდენი რამის მომსწრეა ეს დიდი, თეთრი ნათალი ქვები, ადამიანის ხელს V საუკუნიდან დაწყებული რამდენჯერმე რომ გამოუყენებია ციხის საშენ მასალად, რამდენი რამ უნახავს ამაყად გადმომზირალ კოშკს, უძველეს გალავანს, რამდენ საიდუმლოს ფარავს მისი ღვთისმშობლის ეკლესია...

აბედათი მოზღვავებული დოვლათის მხარეა. ათეული წლების მანძილზე მისი ხილი ამარაგებდა მეზობელი რაიონების მეკონსერვეებს. მალე აქ საკონსერვო ქარხანა გაიხსნება და გლეხებს შორს სიარული აღარ დასჭირდებათ. კოლმეურნეობა მუდამ ასრულებს ყველა სახის გეგმას და მოწინავეთა რიგებში დგას. გარეგნულადაც იცვალა ფერი სოფელმა. კაპიტალურად შეკეთდა კოლმეურნეობის ადმინისტრაციული შენობა, შენდება კლუბი და საშუალო სკოლა, მოეწყო ავტომოსაცდელები და 12 კაპიტალური ჩაის მიმღები ფარდული, ლეგაგუეს უბანში აღდგა ხიდი...

ქვემოთ მანქანა გაჩერდა.

— ბატონი პარმენი და ნოდარი მოვიდნენ, — გვეუბნება ვადიმ ლექვინაძე.

თვალს ვაყოლებთ მის მზერას და მართლაც ვხედავთ აღმართზე მომავალ ექსპედიციის ხელმძღვანელ პროფესორ პარმენ ზაქარაიას და მის მოადგილეს პროფესორ ნოდარ ლომოურს. ნელა, სვენებ-სვენებით მოდიან წარსულის მესაიდუმლენი.

მერე წუთით თვალს ეფარებიან.

— წყაროსთან შეჩერდნენ,— ამბობს დემური, — ბატონი პარმენი გვერდს ვერ აუვლის მას...

გვიან, როცა აგურით ამოყვანილ ადრეფეოდალური ხანის ბუხარს ვათვალიერებდი, ჩემს სმენას მოსწვდა პარმენ ზაქარაიას მშვიდი ხმა:

— რა ქენი, დემურ, შინმოუსვლელთა ობელისკი დაამთავრე?

პასუხი, კითხვა, კვლავ პასუხი. პროფესორს აინტერესებს ყველაფერი, რაც დაკავშირებულია სოფელთან, მშრომელ ადამიანთან, მის ხვალინდელ დღესთან. მშობლიურია და თბილი მეცნიერის ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა...

ბინდდებოდა, აბედათის ცაზე ვარსკვლავების კონტურები ისახებოდა. მე ვიცოდი, რომ ეს ადამიანები, ახლა გატაცებით და გულითადად რომ საუბრობდნენ, ხვალ თავთავიანთ საქმეს შეუდგებოდნენ. მეცნიერები კვლავ ჩაუღრმავდებიან დიდ პრობლემებს, მოუსვენარი იქნება თავმჯდომარის დღეც, მაგრამ როგორც კი ოდნავ სულს მოითქვამს, გული უსათუოდ აქეთ გამოსწევს, წინაპართა ნაკვალევისაკენ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე დემურ ჯელია ესაუბრება ლენინის ორდენოსან მეჩაიეს, № 5 ბრიგადის ბრიგადირს ვენერა ძაძამიას და პარტიული კომიტეტის მდივანს მზია ტორჩინავას.

ფოტო გოჩა ჩქოფოიასი

ალექსეი არგუნი

ვარჯავული აფხიარსტვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზური ნოველა

— ბაქა! სადა ხარ, ნან? ჩქარა, ნან, ჩქარა... გახსოვს, მეზობლებში კარდაკარ რომ დარბოდი და ატყობინებდი ჩვენს უბედურებას? ახლა შეხედე, რა ბედნიერება გვეწვია! სადა ხარ, ბაქა?

ბაქამ რომ გაიგო ბებია არიხანდას შეძახილი, უმალ ჩამოხტა ხიდან, რომელზეც გიდელით ასულიყო და ყურძენს კრეფდა. უწინ სამხედრო ფორმიანი კაცი დაინახა, კაკლის ხის ქვეშ ძელურ სკამზე რომ იჯდა; იქვე, მიწაზე, ეწყო ყავარჯნები.

ბაქა ერთ წუთს გაოცებული შედგა. მერე, როცა თავისი ბიძა ჯგუაზი შეიცნო, სიხარულით წამოიყვირა და ჯარისკაცს ყელზე შეაფრინდა. დიდხანს ეხვეოდნენ ერთმანეთს ცალ ფეხზე მდგარი ჯგუაზი და ბაქა...

ჯგუაზი გულამოსკვნილი ქვითინებდა, ცხარე ცრემლი სდიოდა ჭაბუკს, რომელმაც თავის მხრებზე ბედის სიმძიმე გადაიტანა...

— შენ უკვე აქა ხარ, ნან? ხედავ, ღმერთმა როგორ შეიბრალა ჩემი დაჩაგრული გული, ისმინა ჩემი ლოცვა, მართალია, ჩვენ აღარ გვეღირსება ჩემი უფროსი შვილის ხილვა, სამაგიეროდ, ჩემს კერიას დაუბრუნდა უმცროსი ვაჟი... — ამბობდა არიხანდა. ქალს შავი ღაწლი მოეშორებინა, რომელსაც ომის დაწყებიდანვე ატარებდა, ახლა თეთრი თავშალი მოეხვია.

იგი შვილსა და შვილიშვილს მიუახლოვდა. ბიძა-ძმისშვილი ერთმანეთს კიდევ მოეხვივნენ და სკამზე დასხდნენ, ლოყებზე ჩამოგორებულ ცრემლს არ იწმენდნენ.

— პირში წყალი ხომ არ ჩაიგუბე, როგორ ზიხარ, ბაქა? მოიხმე მეზობლები, დაე, ნახონ ჩემი შვილი და ჩვენთან ერთად გაიხარონ! უფროსი დაიღუპა, უმცროსი დაბრუნდა... ცოცხლად, ცოცხლად დაუძახე მეზობლებს!.. — არიხანდას ომის წლებში მწუხარებით მიმქრალი თვალები ახლა ახალგაზრდულად უბრწყინავდა.

ბაქას გადაედო ბებიას ხალისი, სწრაფად აირბინა აივანზე, კედლიდან მამის თოფი ჩამოხსნა და რამდენჯერმე გაისროლა ჰაერში. მერე მეზობლებს გასძახა, თავისი წკრიალა ხმით ყველას ამცნობდა ჯგუაზის ჩამოსვლას.

მთელი სოფელი შეიძრა, გამოიხურეს სახლის კარი, ჭიშკარი და მოხუცებმა, ქალებმა „და ბავშვებმა ნაომარი კაცის ეზოში მოიყარეს თავი. შაოსანი მოხუცი ქალები გარს უვლიდნენ ჯარისკაცს და აფხაზური წესით, ხელების ქნევით ესალმებოდნენ და ლოცავდნენ მას. ჯგუაზი ცდილობდა, აყავარჯნების გარეშე გაჩერებულიყო ცალ ფეხზე, ორივე ხელით სათითაოდ მკერდზე იკრავდა და შუბლზე კოცნიდა მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს..

ქალები ყრუდ ქვითინებდნენ, ცრემლს ღვრიდნენ. ჯარისკაცსაც არ ესირცხვილებოდა თავისი ცრემლისა.

ღრმად მოხუცებს, რომელნიც სხვის დაუხმარებლად ნაბიჯსაც ვერ დგამდნენ, ახლა თითქოს მიეცათ ძალა, ჯოხს მიწას აბჯენდნენ და ცდილობდნენ, მოხვეოდნენ ჯგუაზს, თან ასეთი სიტყვებით ლოცავდნენ: „დიდხანს იცოცხლე, დიდხანს, მეომარო!..“

ერთი ჯარისკაცის ჩამოსვლა ზეიმად ექცათ სოფელ ლაშკინდარის მკვიდრთ. ამ სოფლიდან სამოცდათხუთმეტი კაცი წავიდა საომრად. მათგან მხოლოდ ჯგუაზი დაბრუნდა ცოცხალი. ჯგუაზის ძმა, ქარბეიც ხომ ბრძოლის ველზე დაეცა.

— ეი, რას უდგეხართ, ჩემო ძვირფასო მეზობლებო, სად გაგონილა, რომ აფხაზის სახლი ვინმემ ისე დატოვოს, ერთი სადღეგრძელო მაინც არ შესვას?! ეი, ბაქა, მოიყვანე ხარი! — ამაყად შესძახა შვილიშვილს არიხანდამ. რა ძალა მიეცა ამ დავრდომილ ქალს!

ბაქა, რომელსაც ამ გაზაფხულზე თხუთმეტი წელი შეუსრულდა, დაბალ ღობეს გადაევლო, თანატოლების დახმარებით, მოფერებით მოიტყუა მწითური ხარი. ბაქამ ქამანდი მოსდო რქებში, ბიჭებმა მხიარულად შეაგდეს იგი ეზოში.

— დად არიხანდა, ამ ხარს ხომ ბაქას მამისათვის ინახავდი? — მიმართა სოფლის საპატიო კაცმა, მოხუცმა დარიკვმა, — გაუშვი, სჯობს ჩემი ხარი დავკლათ... — ვისთვისაც ვინახავდი, ის მაინც აღარ მოვა... გმადლობთ, ნან, თქვენი ჭირიმე. მე ხომ მოვესწარი ჩემი შვილის დაბრუნებას, სწორედ ჩემი ხელით გაზრდილი ხარით უნდა ვცე პატივი მეზობლებს, — თქვა არიხანდამ მტკიცე ხმით.

ხარი ეზოს ბოლოში გაიყვანეს. ბაქა და მისი ამხანაგები ეცადნენ, წაექციათ იგი, მაგრამ ეს იოლი საქმე როდი აღმოჩნდა. ხარმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია ბიჭებს. ყმაწვილებმა მასთან ჭიდილში ვერაფერი გააწყვეს. ჯეელ მამაკაცთაგან კი არავინ იყო, რომ ხარს მორეოდა. ბოლოს მოხუცი დარიკვი წამოეშველა. მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა და ხანჯლის რამდენიმე დაკვრით უსულოდ დასცა ხარი.

დანარჩენი თქვენ იცითო, სული მოითქვა მოხუცმა და განზე გადგა.

ბიჭებმა ხარი გაატყავეს, ხორცი ჩამოქნეს, ცეცხლი გააჩაღეს და ქვაბები შემოდგეს. მთელ ეზოს მოეფინა მსუბუქი, ნაცრისფერი კვამლი.

შუა ეზოში ქალებმა სუფრა გაშალეს.

სანამ ეს ყელაფერი მზადდებოდა, დედის რჩევით, ჯგუაზი აივანზე ავიდა და ტახტზე წამოწვა.

როცა ყველაფერი მზად იყო და მეზობლები სუფრას მიუსხდნენ, არიხანდამ შვილი ფრთხილად გააღვიძა, ყავარჯნები მიაწოდა და ეზოში ჩამოსვლისას ხელიც შეაშველა.

სუფრაზე ყველას ყურადღება ჯგუაზისკენ იყო მიპყრობილი. იგი იჯდა ფერდაკარგული, ძლივს სუნთქავდა... არავინ იცოდა, დედამაც კი, რომ ნაღმმა, რომელიც ვარშავის მისადგომებთან გამართული ბრძოლების დროს აფეთქდა, არა მარტო ფეხი მოჰკვეთა ჭაბუკს, ფილტვებიც დაუზიანა და მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. არავინ იცოდა, რომ მისი ერთადერთი და საბოლოო ოცნება იყო, ცოცხალს ჩაეღწია მშობლიურ კარ-მიდამოში, ცოცხალი ენახა დედა და მის კალთაში დაელია სული. არავინ იცოდა მისი გასაჭირი და ზედმეტად ღლიდნენ გაუთავებელი შეკითხვებით, თანაგრძნობითა და ოხვრით...

სადღეგრძელო მოხუცმა დარიკვმა წარმოთქვა. ამ კაცს ორი შვილი დაეღუპა ფრონტზე. იგი მიესალმა ჯგუაზს და თავისი სიტყვა ასე დაამთავრა:

— ბაბა, ჯგუაზ, არ დაიდარდო ცალი ფეხის დაკარგვა. მთავარია, რომ შენ ცოცხალი დაბრუნდი, დედას და ჩვენ გული გაგვიხარე. სულით არ დაეცე, ჯარისკაცო! ახლა ყველაფერი წარსულს ჩაბარდა... ყველანი შენთან ვიქნებით, არ ჩავაქრობთ იმ ვაჟკაცების კერიებს, რომლებიც ფრონტზე სამშობლოსათვის დაეცნენ!

რაფიდას სუფრაზე ღვინო და კერძები მოჰქონდა. როგორც კი დროს მოიხელთებდა, ისეთ ადგილს მოძებნიდა, საიდანაც შეეძლო, მოხერხებულად ეცქირა ჯგუაზისათვის. იგი ქალური ალღოთი გრძნობდა, როგორ იტანჯებოდა ჭრილობების გამო ჯგუაზი და რა ვაჟკაცურად ეჭირა თავი ხალხში. ქალიშვილი ღმერთს ემადლიერებოდა, რომ მისი ხილვა ერთხელ კიდევ აღირსა, დაუბრუნა თავისი ერთადერთი, ყველაზე საყვარელი ადამიანი.

ომის დაწყების ერთი კვირით ადრე ჯგუაზმა და რაფიდამ გადაწყვიტეს, შე-

მოდგომაზე დაქორწინებულიყვნენ, მაგრამ არ დასცალდათ... ომმა წაართვა ჯგუაზის თავი რაფიდას... ბევრი დღე და ღამე ცრემლის ღვრით გაათენა და ააღამა ქალიშვილმა... ახლაც ღვრის ცრემლს, მაგრამ ეს ხომ სიხარულის ცრემლია!

მთელი ღამე არ დაშლილა ხალხი. მხიარულობდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ... სულ ცოტა ხნით ივიწყებდნენ დარდსა და ვარამს.

ეს მხიარულება თვით არიხანდამ წამოიწყო. მან ყური არ ათხოვა მოხუც დარიკვს, რომელიც სიმღერის წინააღმდეგი იყო, რადგან ქარბეის დაღუპვიდან ჯერ ერთი წელიც არ იყო გასული. ქალმა აფხაზური სიმღერა დაიწყო და მეზობლებიც აიყოლია, შემდეგ საცეკვაოდ მჯიღი ჰკრა შვილიშვილს და მასთან ერთად გაშალა ხელები საბრალო და კეთილმა ქალმა, იგი ცეკვავდა და ტიროდა, მდუღარე სდიოდა არა მარტო დაღუპული შვილის გამო, არამედ შინ დაბრუნებული ცალფეხა ჯგუაზის გამოც. ორივე შვილის მაგივრად ცეკვავდა დედა!

... დილით სტუმრებმა დაშლა დაიწყეს. ეზოში ცოტანი შემორჩნენ. დედამ შინიდან ვიოლინო გამოიტანა და შვილს მიმართა:

— ნან, ჯგუაზ, ვისია ეს ვიოლინო? შენს ჩანთაში ვნახე. ეს რა წარწერები აქვს, მითხარი, — სთხოვა არიხანდამ შვილს და წარწერებით წითლად აჭრელებული საკრავი გაუწოდა.

ჯგუაზმა დედას სათუთად ჩამოართვა ვიოლინო და გარშემო მყოფთ გადახედა.

— თქვენ ხომ იცით, მე და ჩემს ძმას, ჯერ კიდევ პატარები რომ ვიყავით, მამაჩემმა როგორ შეგვაყვარა აფხიარცა... — ჯგუაზი მოხუც დარიკვს მიუბრუნდა, — ხომ გახსოვთ მამაჩემი?.. კულაკებმა მოკლეს...

— იყო ასეთი მძიმე წლები, უმსხვერპლოდ კოლექტივი ვერ დავაარსეთ, — თქვა ერთ-ერთმა მეზობელმა.

— როგორც დღეს, ისე კარგად მახსოვს მამაშენი, — თავი დააქნია დარიკვმა, — მის დაკრძალვაზე შენ და შენი ძმა უკრავდით აფხიარცაზე „აგურაშვას“... ეს მამაშენის ანდერძი იყო და თქვენც შეასრულეთ.

ფრონტზე რომ მივდიოდი, ჩემი აფხიარცა მამის სურათთან დავკიდე, — განაგრძო ჯგუაზმა, — იქ, ცეცხლის ხაზზე, ზოგჯერ სიწყნარე რომ ჩამოვარდებოდა, ჯარისკაცები გარმონზე უკრავდნენ... როცა ვარშავაში შევედით, დრო მოვიხელთე, ვიშოვე მასალა და გამოვთალე ეს აფხიარცა. ჩემმა მეგობრებმა კი „ვარშავული ვიოლინო“ შეარქვეს...

ჯგუაზმა აახმიანა აფხიარცა. ერთხანს ნაზად, მგრძნობიარედ უკრავდა, მერე, როცა საკრავი დადუმდა, განაგრძო:

— ჰოსპიტალში ერთადერთი ჩემი მანუგეშებელი ეს აფხიარცა იყო... როცა ჯოჯოხეთური ტკივილები წამომივლიდა, დავუკრავდი და შვებას ვგრძნობდი.

— ნან, ეს წითელი წარწერები? — ჰკითხა არიხანდამ. დედას უხაროდა, რომ მთელი ღამე დადუმებული შვილი დილით ასე ალაპარაკდა. ყველასთვის მაშინ გახდა ცხადი, როგორ უჭირდა მას თითოეული სიტყვის თქმა, ამის შემდეგ ზედმეტი შეკითხვებით აღარ აწუხებდნენ.

— დედა, როცა ეს საკრავი გამოვთალე, ჩემმა თანაპოლკელებმა, სადღაც წითელი საღებავი იშოვეს და თითოეულმა მათგანმა თავისი გვარი მოაწერა სამახსოვროდ... ხედავთ, რამდენია!

— ცოცხლები არიან, შვილო?

ჯგუაზი ერთხანს ჩუმად იყო, მერე თქვა:

— არც ერთი მათგანი ცოცხალი არ არის... ნიკოლოზ კარპოვი და სტეფან იაროვსკი იმ დღეს დაიღუპნენ, როცა მე ფეხი დავკარგე. სამშობლოსათვის თავი დასდეს რუსთამ ალიბეკოვმა და პეტრო დიდენკომ...

ჯგუაზმა თვალებზე ხელი აიფარა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

მერე არიხანდამ ჩუმად და გულიდან ამოსული ბოღმით დაწყევლა ჰიტლერი.

დარიკვმა წამოიძახა:

—დღეს თუ არა, ხვალ ჩვენები ბერლინს აიღებენ და გასრესენ იმ ქვეწარმავალს!

არიხანდამ შვილს სთხოვა, ერთხელ კიდევ დაეკრა აფხიარცაზე. დედას უნდოდა, შვილი გამეხნევებინა, რომ იგი მეზობლებს ამაყი, სიცოცხლით სავსე სჩვენებოდა. მაგრამ რაც არ უნდა ძმიმე ყოფილიყო ჯგუაზისათვის, მან დაუკრა „მთების სიმღერა“, ის აფხაზური ხალხური სიმღერა, რომელიც მამის საფლავთან დაუკრეს ოდესღაც ძმებმა. მსმენელები ცრემლს ვეღარ იკავებდნენ...

...დღეები გადიოდა. ჯგუაზის ჯანმრთელობა გაუარესდა. ომიც დამთავრდა. დაბრუნდნენ ისინი, ვისაც შინ მოსვლა ეწერა... ცხოვრებას მშვიდობიანობა ეღირსა...

ჯგუაზს სუნთქვა ეკვროდა. განსაკუთრებით ცუდი იყო მისთვის გაზაფხული. ხშირად სუფთა ჰაერზე კაკლის ხის ქვეშ იჯდა და ავადმყოფობას ებრძოდა. როცა ცოტა უკეთ იგრძნობდა თავს, მინდორში წახანხალდებოდა, სადაც ბაქა სიმინდის ყანაში მუშაობით ოფლს იწურავდა. მიუხედავად პირადი ტანჯვისა, ჯგუაზი ცდილობდა, ყმაწვილთან ეხუმრა, უამბობდა ფრონტული ცხოვრების ამბებს.

ზაფხულში უკეთ გახდა. ამ დროს ჯგუაზს შეეძლო გიდელებისა და კალათების დაწვნა. იჯდა კაკლის ხის ქვეშ და მუშაობდა. თავის ნამუშევარს მეზობლებს სამახსოვროდ ურიგებდა.

ჯგუაზს მეზობლის ბავშვები არ სცილდებოდნენ, მთელ დღეს მასთან ატარებდნენ. ფრონტელ ჭაბუკს ბევრი საამბობი ჰქონდა და ისინიც სულგანაბულნი უსმენდნენ.

ამავე დროს მან რამდენიმე აფხიარცა გამოთალა. ბავშვებსაც ასწავლა დაკვრა.

რაფიდამ, პირველ ხანებში რომ ერიდებოდა, ჯგუაზთან სიარულს მოუხშირა. დღეში რამდენჯერმე გადმოირბენდა და გატაცებით უსმენდა აფხიარცას. ჯგუაზს სიყვარული გაუცხოველდა. რაფიდას გარეშე ვეღარ ძლებდა. იმასაც ატყობდა, რომ ქალიშვილიც ასეთივე გრძნობით იყო მისდამი გამსჭვალული. როცა მათ თავიანთ მომავალზე ჩამოაგდეს სიტყვა, ჯგუაზმა გულისტკივილით უთხრა უარი შეუღლებაზე. მას არ უნდოდა, რაფიდასათვის გაემწარებინა მომავალი, რადგან თვითონ სიცოცხლის დიდი დღე არ ეწერა, თავის სიცოცხლეზე უფრო მეტად უყვარდა იგი და ისევ ეს ნაბიჯი ამჯობინა.

ქალიშვილი ვერ მიუხვდა, რამ ათქმევინა უარი ვაჟს, მაინც ვერ თმობდა, რადგან გაუნელებელი სიყვარულის ცეცხლი სწვავდა. რაფიდა საოჯახო საქმეებში ეხმარებოდა არიხანდას, თან მალულად და სიყვარულით უყურებდა ხოლმე კაკლის ხის ქვეშ ჩამომჯდარ ჭაბუკს. როცა თავის სახლისკენ გასწევდა, მხოლოდ გზაში აძლევდა ცრემლს თავისუფლებას.

მისი სულიერი ტანჯვა არ დაიმალა, სოფელში ყველამ ყველაფერი იცოდა, ბევრს ეცოდებოდა. იყვნენ ისეთნიც, რომლებიც ღვარძლიანად ამბობდნენ: „არა და არ ეშვება პატარძალი იმ ბიჭს! ნეტავი რად უნდა სისხლდაშრეტილი ინვალიდი!“ ამ ხმებმა დედის ყურამდეც მიაღწია. ქალს გულში მდუღარე ეღვრებოდა თავისი, მართლაცდა, დაუძლურებული შვილის შემხედვარეს. დედის ერთადერთი იმედი რაფიდა იყო, მხოლოდ მას შეეძლო, ეშველა ჯგუაზისათვის...

ერთ დღეს გადაწყვიტა, მოლაპარაკებოდა შვილს, გვერდით მიუჯდა და მოფერებით დაუწყო:

— ნან, ჯგუაზ, დიდი ხანია, მინდოდა მეთქვა... ნუ გამიმწარებ ჩემს ბოლო დღეებს. მისმინე, რა გითხრა... რაფიდას გულს ნუ ატკენ, ნუ ჩააგდებ ავი ადამიანების ყბაში...

შვილი კარგა ხანს უგდებდა ყურს დედას.

არ ვიცი, ბაქას თუ მისი სიცოცხლით სავსე მეზობლის, მაკრინეს, დამსახურება იყო, ძნელი სათქმელია, მაგრამ იმ შემოდგომაზე, როცა სოფელმა ყურძნის, სიმინდის, ხილის უხვი მოსავალი აიღო, რაფიდამ და ჯგუაზმა იქორწინეს.

გამოცოცხლდა მოხუცი არიხანდას სახლი. რძლის შემოსვლამ სულ სხვა ხალისი დაატრიალა ოჯახში. ისე ჩანდა, თითქოს ამ ბედნიერებას ამიერიდან ვეღარაფერი დაარღვევდა. მაგრამ ჯგუაზის დღეები ითვლებოდა... რაფიდა ვაქკაცურად იტანდა ოჯახურ ნაღველს, ცდილობდა, წუთითაც არ დაერღვია ქმრის სულიერი სიმშვიდე. დაჰყავდა ექიმებთან, მაგრამ ამაოდ... რაფიდა ბედს შეეგუა.

შემოდგომის ერთ ცივ საღამოს მეზობლებმა გაიგონეს ორი ქალის გულისშემძრავი კივილი.

დაკრძალვის დღეს მთელმა სოფელმა მოიყარა თავი. ქალები ჯგუაზთან ერთად მის ძმას ქარბეისაც დასტიროდნენ, ყველას, ყველას, ვინც კი თავი დასდო ფრონტზე...

ტიროდა ყველა, რადგან ეს საერთო გლოვა იყო.

არიხანდას ცრემლი გაშრობოდა. იგი ქალებს ემუდარებოდა, ნუ სტირითო. მოთქვამდა, ამას მშობლიურ მიწაში დამარხვა მაინც ეღირსა, ჩემი საცოდავი ქარბეი კი, ვინ იცის, სად არისო.

მწუხარე თვალით გახედა რძალს. მოაგონდა ის დრო, როცა ასევე თვალცრემლიანი მარხავდა იგი კულაკების ტყვიით განგმირულ თავის ქმარს.

ვინ იცის, მას შემდეგ რამდენი ახლობელი გამოიტირა არიხანდამ... უფროსი შვილი, მინსკის მახლობლად დაღუპული თავისი რძალი — ბაქას დედა... აღარა აქვს ცრემლი, გაშრა იგი, ისევე, როგორც მისი სიცოცხლე.

უკანასკნელად შუბლზე ეამბორა შვილს, მერე ნელა წამოდგა და კუბოს გაშორდა. მამაკაცებმა ხელი შეაშველეს და იმ ადგილზე მიიყვანეს, სადაც, წინაპართა ჩვეულებისამებრ, დამარხული იყო ქარბეის პირადი ნივთები, სადაც მისი მეუღლე ემარხა...

ჩამოვარდა სიჩუმე.

როცა კუბოს სახურავის დაჭედვა დაიპირეს, არიხანდამ მესაფლავენი შეაჩერა, კუბოსთან მიხანხალდა და „ვარშავული აფხიარცა“ ამოიღო. ქალმა ხელში დაიჭირა საკრავი, დახედა და თავდახრილმა შვილიშვილი მოიხმო:

— ნან, ბაქა, წაიღე ეს აფხიარცა შინ და შენი ბიძის სურათთან ჩამოკიდე. ნუ ჩავატანთ, ამის დამარხვა არ შეიძლება, ეს საკრავი მზის სინათლეზე უნდა იყოს—შეხედე, რამდენი ვაქკაცის სახელია ზედ... მათი სახელები არ უნდა დავმარხოთ... დაჰკიდე გამოსაჩენ ადგილზე, ეს სიმები მარადიულად უნდა ჟღერდნენ.

შვილიშვილს საკრავი მიაწოდა, ფეხმძიმე რძალს აცახცახებული ხელებით მოეხვია და მწვანე ბილიკით ფრთხილად წაიყვანა შინისკენ.

თარგმნა თენგიზ გოგოლაძემ.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან წლევანდელ მესამე შრომით სემესტრში მონაწილეობა მიიღო 2 000-ზე მეტმა სტუდენტმა. ისინი შრომობდნენ ჩვენი რესპუბლიკის, აგრეთვე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სამშენებლო თუ სასოფლო-სამეურნეო ობიექტებზე, ხოლო თხუთმეტკაციანი სტუდენტური რაზმი შრომით სემესტრს ჩეხოსლოვაკიაში გადიოდა.

მუშაობისაგან თავისუფალ დროს სტუდენტები ეხმარებოდნენ დიდი სამამულო ომის ვეტერანთა, აგრეთვე, მრავალშვილიან ოჯახებს, შეშას უჩეხდნენ მათ, შველოდნენ მოსავლის აღება-დამბინავებაში.

ქართველი სტუდენტები ხშირი სტუმრები იყვნენ მუზეუმებისა, კულტსახლებისა, მონაწილეობდნენ სხვადასხვა ხასიათის კულტურულ ღონისძიებებში. მათი აგიტბრიგადები წარმატებით გამოვიდნენ მოსკოვის XII მსოფლიო ფესტივალის ღონისძიებებისადმი მიძღვნილ კონცერტებსა თუ ხალხმრავალ მანიფესტაციებში.

ამ დღეებში ისინი, როგორც გამარჯვებულნი, დაუბრუნდნენ მშობლიური ინსტიტუტს. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა მესამე შრომით სემესტრში შეასრულეს 5 მილიონზე მეტი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

გრიგოლ რუხაია

სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა ზურაბ ღელაღუტაშვილმა, ნიკო ნებიერიძემ, ლადო თვალაბეიშვილმა და ზურაბ ჯოხაძემ ეს-ესაა დათვალიერეს სახლი, სადაც დაიბადა პირველი კოსმონავტი იური გაგარინი. ამ სახლში ამჟამად კოსმონავტის მუზეუმია გახსნილი.

ფოტო დავით კურტანიძისა.

ჟურნალ „დროშის“ პრიზიორი

მიმდინარე წლის 24 აგვისტოს თბილისში ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გაიხსნა იუნიორთა ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი.

თბილისის ქვეჯგუფში კარგად იასპარეზა ბრაზილიის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა, რომელმაც მოსკოვში ფინალურ შეჯიბრში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა.

„დროშის“ რედაქციამ სპეციალური პრიზი დააწესა თბილისის ქვეჯგუფში მოასპარეზე სპორტსმენთა შორის საუკეთესო თავდამსხმელისათვის.

ეს პრიზი მიეკუთვნა ბრაზილიის იუნიორ ფეხბურთელთა ნაკრების წევრს, თავდამსხმელ ჟერსონ და სილვას.

სურათზე: ჟერსონ და სილვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟორჟი გერგაიას გმირობა

ეს ამბავი თორმეტი წლის წინაო მოხდა. ხობის რაიონის სამხედრო კომისრის, პოდპოლკოვნიკ ელგუჯა ჩინჩილაკაშვილის სამუშაო კაბინეტში მისი მოადგილე, მაიორი რევაზ დარჩია შემოვიდა და მოახსენა:

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ჩემთან ოთახში იმყოფება დიდი სამამულო ომის ვეტერანი ჟორჟი გერგაია, რომელიც აცხადებს, რომ 1945 წელს ის საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაზე წარადგინეს და გვთხოვს დახმარებას, რათა მოვუძებნოთ ეს საბუთი.

სამხედრო კომისარმა სთხოვა, შემოეყვანათ განმცხადებელი.

მაიორის თანხლებით კაბინეტში შემოვიდა საშუალო სიმაღლის კაცი, რომელსაც მკერდს მთავრობის ჯილდოები უმშვენებდა.

— ჟორჟი გერგაია, — წარმოგვიდგინა თავი ოთახში შემოსულმა და ყველას ღიმილით ჩამოგვართვა ხელი. მოსული მკვირცხლი და ენაწყლიანი კაცი ჩანდა. ის თავის ამბავს მოჰყვა:

— სოფელ ქარიატაში დავიბადე. ჩემს მშობლებს — ალექსი და მაკრინე გერგაიებს რვა ვაჟი და ორი ქალიშვილი ჰყავდათ. მე რიგით მეცხრე გახლავართ. მამა 1922 წელს გარდაიცვალა, დედა — 1937 წელს. ჩემი დედმამიშვილებიდან ბევრმა ისწავლა, მე კი მხოლოდ სოფლის სკოლა დავამთავრე და მშობლიურ კერაზე დავრჩი. ვმუშაობდი კოლმეურნეობის ბრიგადირად, ვიყავი კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე. 1939 წელს წითელ არმიაში გამიწვიეს.

ქალაქ ტაშკენტში ერთ-ერთ საარტილერიო ნაწილში ვმსახურობდი. მოწინავე წითელარმიელად ვითვლებოდი და 1941 წლის ზაფხულში შინ შვებულებით გამომიშვეს. ამ დროს დაიწყო სამამულო ომი. სამხედრო გარნიზონის უფროსთან გამოვცხადდი, რომელმაც გამანაწილებელ პუნქტში გამაგზავნა. ამ პუნქტის უფროსი თურმე ჩემი დიდი ხნის უნახავი ძმა კაპიტანი კონსტანტინე გერგაია იყო. ძმები გადავეხვიეთ ერთმანეთს. საარტილერიო ნაწილში ნამსახური ვიყავი და კონსტანტინემ უმცროს მეთაურთა სამხედრო სასწავლებელში მიმავლინა. რა ვიცოდი, თურმე უკანასკნელად ვხედავდი ჩემს ძმას — ის 1942 წელს დაიღუპა.

რვა ძმიდან ყველა ვიბრძოდით გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ. უფროსი ძმა სიმონი მაიორი იყო. ის 1966 წელს გარდაიცვალა. კონსტანტინე კავკასიას იცავდა. მისი მომდევნო ძმა, ირაკლი, კაპიტანი გახლდათ. ის უუბანის განთავისუფლებისათვის ერთ-ერთ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა. განკურნების შემდეგ ცხაკაიას რაიონის სამხედრო კომისრის მოადგილედ მსახურობდა და გარდაიცვალა 1966 წელს. ბესარიონი უმცროსი ლეიტენანტი იყო, 1942 წელს ყირიმში დაიღუპა. დიანოზი კაპიტანი გახლდათ. ომის შემდეგ იგი ფოთის მილიციაში მსახურობდა. უმცროსი ლეიტენანტი აკაკი 1942 წელს დაიღუპა ფეოდოსიაში. ყველაზე უმცროსი ძმა პეტრე, რომელიც ომის წინ გაიწვიეს საყოველთაო სამხედრო სამსახურში, 1941 წელს დაიღუპა ერთ-ერთ სასაზღვრო ბრძოლაში. დებიც გარდაიცვალნენ. ათი დედმამიშვილიდან მარტო მე დავრჩი.

საარტილერიო სასწავლებელი ექვს თვეში დავამთავრე. სერჟანტის წოდება მომანიჭეს. მე-9 წითელდროშოვანი მსროლელი დივიზიის 193-ე საარტილერიო პოლკში დამნიშნეს ქვემეხის მეთაურად. ჩვენმა ბატარეამ თავი ისახელა სოფელ ფსხუსთან გამართულ ბრძოლაში. მერე ულეზნოვოდსკის, კისლოვოდსკის და როსტოვის განთავისუფლებაში ვმონაწილეობდი. მალე 56-ე საარტილერიო ბრიგადაში მოვხვდი, სადაც ვიბრძოდი ომის დამთავრებამდე. ვენის აღების შემდეგ ჩემმა მეთაურმა საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაზე წარმადგინა...

სამხედრო კომისარმა მოითხოვა, შემოეტანათ ჟორჟი გერგაიას სამხედრო სააღრიცხვო ბარათი. პოდპოლკოვნიკი გულდაგულ გაეცნო მას და მიღებაზე მოსულს აღუთქვა, რომ სათანადო შეკითხვას გაგზავნიდა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ არქივში.

პასუხმა დიდხანს არ დააყოვნა. აი, ისიც:

დაჯილდოვების ფურცელი

1. გვარი, სახელი მამის სახელი — —გერგაია ჟორჟი ალექსის ძე.
2. სამხედრო წოდება — გვარდიის უფროსი სერჟანტი.
3. თანამდებობა, ნაწილი — 56-ე გვარდიული სადივიზიონო საარტილერიო ბრიგადის 165-ე გვარდიული საქვემეხო საარტილერიო პოლკის ქვემეხის მეთაური.

წარდგენილია „საბჭოთა კავშირის გმირის“ წოდებაზე.

4. დაბადების წელი — 1918.
5. ეროვნება — ქართველი.
6. პარტიულობა — საკ. კპ(ბ) წევრი.
7. მონაწილეობდა სამოქალაქო ომში, საბჭოთა კავშირის დასაცავად შემდგომ ბრძოლებში და სამამულო ომში (სად, როდის). — სამამულო ომის მონაწილეა 1942 წლის აგვისტოდან, 1945 წლის 16 მარტიდან — უკრაინის მე-3 ფრონტზეა.
8. აქვს თუ არა ჭრილობა ან კონტუზია სამამულო ომში. — 1945 წლის 16 მარტს და 1945 წლის 17 აპრილს ორჯერ მსუბუქად დაიჭრა, მწყობრი არ მიუტოვებია.
9. რა დროიდან მსახურობს წითელ არმიაში— 1941 წლის 28 ივლისიდან (უნდა იყოს 1939 წლიდან. ავტორი).
10. ვის მიერ არის გაწვეული წითელ არმიაში — საქართველოს სსრ ხობის რაიონის სამხედრო კომისარიატის მიერ.
11. ადრე რით არის დაჯილდოებული (რა დამსახურებისათვის). — მედლით „მამაცობისათვის“, მედლით „კავკასიის დაცვისათვის“.
12. დასაჯილდოვებელის მუდმივსაცხოვრებელი ადგილი და ოჯახის მისამართი — საქართველოს სსრ, ხობის რაიონი, სოფელი ქარიატა.

საბრძოლო წარჩინების ან დამსახურების მოკლე აღწერა

...1945 წლის 22 მარტს ჩვენმა ქვედანაყოფებმა დაიკავეს დასახლებული პუნქტი რადე. 23.3.45 წ. გათენებისას მოწინააღმდეგე მოულოდნელად გადმოვიდა კონტრიერიშზე. ამ დროს ჩვენი ქვეითი ნაწილები რადეს სამხრეთით იყვნენ განლაგებული. მოწინააღმდეგემ რადეს ნაწილი დაიკავა (ალუაში მოექცა 165-ე გვარდიელი საარტილერიო პოლკის 1-ლი ბატარეა). ბატარეა წრიული თავდაცვისათვის მოემზადა. ბატარეის მეთაურის ბრძანებით, გერგაიამ თავისი ქვემეხი წინ გამოაგორა მტრის ტანკების იერიშის სავარაუდო მიმართულებით შესახვედრად. ამ მიმართულებით მალე გამოჩნდა მტრის ქვეითი ბატალიონი 5 ჯავშანტრანსპორტიორის თანხლებით. მტერი გერგაიას ქვემეხის მიმართულებით 3-ჯერ გადმოვიდა იერიშზე და იძულებული გახდა, დიდი ზარალით უკან დაეხია. გერგაიას ქვემეხის ცეცხლით მოსპობილია მტრის 2 ჯავშანტრანსპორტიორი, 2 კი მწყობრიდან გამოვიდა. განადგურებულია მოწინააღმდეგის 4 დაზგის ტყვიამფრქვევი და ოცეულამდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

მტერი კონტრიერიშებით რომ ვერას გახდა, ეკლესიის სამრეკლოდან გახსნა ტყვიამფრქვევის ძლიერი ცეცხლი შარაგზის მიმართულებით, რათა შეეფერხებინათ ჩვენი ქვეითების წინსვლა, რომლებიც არტილერისტების მისაშველებლად მიიწევდნენ.

შარაგზის მიმართულებით ცეცხლს უშენდნენ მტრის გადარჩენილი ჯავშანტრანსპორტიორების მსხვილყალიბიანი ტყვიამფრქვევებიც.

გერგაიამ უცებ შეცვალა საცეცხლე პოზიცია და თავისი ქვემეხის ორი სროლით დაანგრია ეკლესიის სამრეკლო, მოკლულია ოფიცერიც, რომელიც ფაშისტთა ჯავშანტრანსპორტიორების ცეცხლს აკორექტირებდა. შარაგზის მიმართულებით ცეცხლი შეწყდა. ჩვენმა ქვედანაყოფებმა წინ წაიწიეს და დაიბრუნეს სოფელი რადე.

4.4.45 წ. ბადენის მისადგომებთან მოწინააღმდეგე ცდილობდა, შეეჩერებინა ჩვენი ქვედანაყოფების წინსვლა. მტერი სამი საშუალო ტანკის თანხლებით სამჯერ გადმოვიდა კონტრიერიშზე. გერგაიამ ამ ბრძოლისას თავისი ქვემეხის ცეცხლით მოსპო მტრის 1 ტანკი და 13 ფაშისტი ჯარისკაცი, რითაც ხელი შეუწყო ჩვენი ქვეითების წინსვლას.

8.4.45 წ. სოფელ ანშტეტენისათვის ბრძოლისას გერგაიამ თავისი ქვემეხის პირდაპირი დამიზნებით მოსპო მტრის ერთი ტანკი, ორი 88 მმ ყალიბის საზენიტო ქვემეხი, ერთი ტანკსაწინააღმდეგო იარაღი, ოთხი დაზგის ტყვიამფრქვევი და ოცეულამდე მტრის ჯარისკაცი და ოფიცერი.

13.4.45 უსახელო სიმაღლეზე ვიუგლას ჩრდილო-დასავლეთით გერგაიამ მოსპო მტრის საშუალო ტანკი, ოთხი დაზგის ტყვიამფრქვევი, ოცეულამდე მტრის ჯარისკაცი და ოფიცერი.

16.4.45. წ. როტსენდორფის რაიონში ჩვენი 1-ლი დივიზიონი მხარს უჭერდა 331-ე მსრ. პოლკის მე-2 ბატალიონს. ჩვენმა ბატარეამ ისე წაიწია წინ, რომ მტრის ნახევრად ალყაში მოექცა.

მტერი გამაგრებული იყო 310-ე სიმაღლეზე, რომელიც კონტროლს უწევდა მიმდებარე რაიონს. მოწინააღმდეგე აქედან ცეცხლს უშენდა დასახლებულ პუნქტს და გზებს. ძალზე დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა, როდესაც მტრის 2 „ვეფხვი“ სიმაღლეზე აიჭრა და სროლა დაუწყო ჩვენს განლაგებას. გერგაიამ პირდაპირი დამიზნებით ცეცხლი გაუჩინა მტრის ერთ ტანკს, მეორე კი დააზიანა. ამ ორთაბრძოლისას ის ორჯერ დაიჭრა, მაგრამ არ მიატოვა საბრძოლო პოსტი. ამ დღეს მტერი 4-ჯერ გადმოვიდა კონტრიერიშზე. დაჭრილი გერგაია დღის ბოლომდე თავის არტილერისტებთან დარჩა. ამ დღეს მისმა ქვემეხმა მტრის 40-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპო.

1-ლი დივიზიონის მოქმედების ზოლში მყოფი გერმანული ქვედანაყოფები განადგურებული იქნა.

ღირსია მიენიჭოს „საბჭოთა კავშირის გმირის“ წოდება.

165-ე გვარდიული საარტილერიო პოლკის მეთაური, გვარდიის მაიორი — ხელისმოწერა (ჩუიკოვი).

ღირსია მიენიჭოს მთავრობის უმაღლესი ჯილდო — „საბჭოთა კავშირის გმირის“ წოდება.

56-ე გვარდიული სადივიზიონო საარტილერიო ბრიგადის მეთაური, გვარდიის პოლკოვნიკი — ხელისმოწერა (პიჩკურა). 25 მაისი, 1945 წელი.

ღირსია მიენიჭოს მთავრობის უმა-

ღლესი ჯილდო — „საბჭოთა კავშირის გმირის“ წოდება.

105-ე გვარდიული ვენის წითელ-დროშოვანი მსროლელი დივიზიონის მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი, გვარდიის გენერალ-მაიორი — ხელისმოწერა (დენისენკო)

28 მაისი, 1945 წელი.

ღირსია მიენიჭოს „საბჭოთა კავშირის გმირის“ — წოდება 38-ე გვარდიული ვენის მსროლელი კორპუსის მეთაური, გვარდიის გენერალ-ლეიტენანტი — ხელმოწერა (უტვენკო)

6 ივნისი, 1945 წელი.

ღირსია მიენიჭოს „საბჭოთა კავშირის გმირის“ წოდება.

მე-9 გვარდიული არმიის არტილერიის სარდალი, გვარდიის არტილერიის გენერალ-მაიორი — ხელისმოწერა (ბრეუნევი).

9 ივნისი, 1945 წელი.

ღირსია .....

მე-9 გვარდიული არმიის ჯარების სარდალი, გვარდიის გენერალ-პრლ-კოვნიკი (გლაგოლევი)

„——“ ივნისი 1945 წელი

სამხედრო საბჭოს წევრი, გენერალ-ლეიტენანტი (გრომოვი).

მე-9 გვარდიული არმიის სარდლის 1945 წლის 22 აგვისტოს № 086/6 ბრძანებით დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით.

კადრების განყოფილების მე-2 ქვეგანყოფილების უფროსი, გვარდიის მაიორი — ხელისმოწერა (ტრუბინი).

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს არქივი, აღწერილობა 686196. საქმე 7414. ფურც. 244-245.

ასლი მოცემულია ორიგინალის ტექსტის სრული დაცვით.

17 მაისი, 1973 წელი“.

ჩვენ არ ვიცით, მოხვდა თუ არა გვარდიის უფროსი სერჟანტის ჟორჟი ალექსის ძე გერგაიას დაჯილდოვების ფურცელი არმიის სარდალთან და არმიის სამხედრო საბჭოს წევრთან ხელმოსაწერად (როგორც დოკუმენტიდან ჩანს, დაჯილდოვების ფურცელზე მათი დასკვნა და ხელმოწერა არაა). მოგვიანებით, 1945 წლის 22 აგვისტოს, ამ დაჯილდოვების ფურცლის საფუძველზე, ჟორჟი გერგაია წითელი დროშის ორდენით დაუჯილდოვებიათ.

ჟორჟი გერგაია ამჟამად ხობის რაიონის სოფელ ხეთის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეა.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთავის ზეიმის დღეებში წითელი დროშის ორდენისა და მრავალი საბრძოლო მედლის კავალერს, ომისა და შრომის ვეტერანს, კომუნისტ ჟორჟი ალექსის ძე გერგაიას დიდი სამამულო ომის წლებში მხედრული დამსახურებისათვის სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენი გადაეცა. ამ დღეებში ჩვენ კიდევ ერთხელ შევხვდით მამაც მეომარს და სამშობლოს მაღალი ჯილდო მივულოცეთ.

ტრისტან ჩინჩილაკაშვილი

ხერხეულიძეთა ჯანსაღზრდელი კვეჯი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ დავითაშვილი

ეპისტინა სტეპანოვა



მიხეილ სტეპანოვი

ამ ძმების ამბავი პირველად გამარჯვების დიადი დღესასწაულის წინადღეებში გაზეთ „პრავდის“ ფურცლებიდან ამოვიკითხე. ახლახან კი მათი კერა და ნააკვნარიც მოვინახულე კრასნოდარში. აქ ჩამომიყვანა აგრარიკოს-ჟურნალისტთა საკავშირო სემინარმა, რომელმაც ვრცლად და საქმიანად იმსჯელა ბეჭდვითი სიტყვის როლზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკითხებზე სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირის დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანების გადაწყვეტაში.

სემინარის ყოველი დღე მეტად ნაყოფიერი, შემოქმედებითი საქმიანობის, აზრთა გაცვლისა და პრინციპული სჯა-ბაასის დღე იყო.

სემინარისაგან თავისუფალ დროსაც ნაყოფიერად ვიყენებდით: ვეცნობოდით, ვათვალიერებდით ქალაქ კრასნოდარისა და საერთოდ ამ მხარის ღირსშესანიშნაობებს, ახალმშენებლობებს, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლეთა დანერგვის საკითხებს...

ერთ დღეს კი ტიმაშევსკის რაიონის სტანიცა დნეპროვსკში ჩავედით, ლეგენდარული რუსი ქალის ეპისტინა სტეპანოვას საფლავი ვინახულეთ, ცოცხალი ყვავილებით შევამკეთ სამარე იმ დედისა, რომელმაც ცხრა ვაჟიშვილი გაზარდა, დაავაჟაცა და სამშობლოს ძნელბედობის ჟამს ცხრავეს ფრონტისაკენ გზა დაულოცა.

დიდ სამამულო ომში დაღუპული ცხრა ძმის — ცხრა სტეპანოვის დედის საფლავთან რომ ვიდექ, უნებლიედ თვალწინ დამიდგა მამულისათვის ბრძოლაში დაცემული ცხრა ძმა ხერხეულიძის დედის სახება. და მე ცოცხლებს შორის ვხედავდი და მდაბლად ვუხრიდი თავს უკვდავებაში დებად დარჩენილ ორ დედას — რუსსა და ქართველ დედას.

ეპისტინა სტეპანოვას საფლავის ყვავილებით შემკობის შემდეგ დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის კულტურის სახლში მიგვიწვიეს და გვაჩვენეს კინოფილმი: „სიტყვა ერთ რუს დედაზე“, რომელშიც კინემატოგრაფის ენით არის მოთხრობილი ეპისტინა სტეპანოვას ჭეშმარიტად გმირული, ტრაგიკული და ამაღელვებელი ისტორია.

კინოდარბაზიდან უკლებლივ ყველა თვალცრემლიანი გამოვიდა.

ეს იყო ცრემლი, ალალი ცრემლი უზომო სიამაყისა, უმაღლესი მადლიერებისა ერთი მშრომელი, უბრალო რუსი დედისადმი, რომელიც ბედმა ბოლომდე ვერ გატეხა.

ეპისტინა სტეპანოვას სახლმუზეუმში ფეხი რომ შევდგი, პირველყოვლისა, იმან გამაოცა, რომ აბსოლუტური სიჩუმე სუფევდა. დიახ, საოცარი დუმილი მეფობდა იმ სახლში, სადაც ერთ დროს ცხრა ღიმილიანი, მოუსვენარი, ონავარი ვაჟის სიცილ-კისკისი, ჟრიამული აცოცხლებდა, ახმიანებდა, ალამაზებდა კედელ-ყურეს, გარემოს. ეს დუმილი კაცს უნებურ სევდას გგვრის, გაღონებს, გაფორიაქებს. სწორედ ასე აფორიაქებულს ჩამესმა მასპინძელთაგან ერთის ათრთოლებული, უზომო ნაღვლითა და სინანულით გამსჭვალული ხმა და მერე მონოტონურად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად მესმოდა იმ მთრთოლვარე ნაღვლიანი ხმით მოთხრობილი ასეთი ჭეშმარიტად გმირული, ტრაგიკული თავგადასავალი:

ეპისტინა სტეპანოვას უფროსი ვაჟი ალექსანდრე 17 წლისა არც კი იყო, როცა უშიშრად ებრძოდა თეთრგვარდიელებს. 1918 წელს ჭაბუკი შეიპყრეს და დახვრიტეს. შვილის სიკვდილით გამწარებულ დედას სურათიც კი არ დარჩა მისი. ისე გაქრა თითქოს არც იყო ამქვეყნად, მაგრამ ალექსანდრეს მომღიმარი სახე, ახოვანი აღნაგობა ახლობლებისა და ნათესავების ხსოვნაში დარჩა. სწორედ მათი მონათხრობით, დაწვრილებითი აღწერით მხატვრის ფუნჯმა გააცოცხლა, უკვდავყო ტილოზე ცხრა ძმათაგან პირველი და მუზეუმში სამუდამოდ დაუმკვიდრა ბინა.

კვლავ დაირღვა დუმილი, კვლავ ვისმენთ ეპისტინა სტეპანოვას დიდი, გმირული და ტრაგიკული ცხოვრების მორიგ ეპიზოდებს:

ამ უბედურებამ ვერ გატეხა მრავალშვილიანი დედა, კვლავ ჩვეულებრივი სიმხნევითა და სიბეჯითით შრომობს, იღვწის. როდესაც წითელმა არმიამ თეთრგვარდიელებისაგან ყუბანი გაათავისუფლა, ისე, როგორც ყველამ, სტეპანოვების ოჯახმაც მიიღო დიდი ხნის ნანატრი მიწა. გაძ-

ალექსანდრე



ნიკოლოზი

ვასილი



ფილიპე



თედორე

ივანე



ილია

პავლე

ალექსანდრე (უმცროსი)



ლიერდა, გაღონიერდა, გამხიარულდა ოჯახი. სტეპანოვები პირველნი შევიდნენ კოლმეურნეობაში. სწორედ ამ დროს შეეძინა ეპისტინა სტეპანოვას კიდევ ერთი ვაჟი. ვაჟს თეთრგვარდიელებთან ბრძოლაში დაღუპული უფროსი ძმის მოსაგონრად ალექსანდრე დაარქვეს. გაღონიერებულ, მრავალრიცხოვან ოჯახში კვლავ დაისადგურა ბედნიერებამ, მაგრამ დიდი ხნით არა. 1933 წელს სამოქალაქო ომში მიღებული მძიმე ჭრილობებისაგან გარდაიცვალა მიხეილ სტეპანოვი — ოჯახის უფროსი. დარჩა ქვრივს რვა ვაჟიშვილი სარჩენად, საპატრონოდ. მაგრამ არ შედრკა. დილით უმცროს ბიჭებს სკოლაში აგზავნიდა, უფროსებს კოლმეურნეობის მინდვრებისაკენ მიუძღოდა. მალე უფროსი ვაჟი ფილიპე მთელი კრასნოდარის მხარეში ცნობილი მექანიზატორი გახდა. იზრდებოდნენ, ფეხზე დგებოდნენ ბიჭები. შეუმჩნევლად მოვიდა დრო წითელ არმიაში მათი გაცილებისა და მამულის წმიდათაწმიდა სამსახურში ქვრივმა გზა დაულოცა თედორეს, ივანეს, ილიასა და პავლეს.

თითქოს ყველაფერი აეწყო, ყველაფერი ნორმალურად წარიმართა, ერთხანს შვებით ამოისუნთქა გატანჯულმა ქალმა, მაგრამ ბედის უკუღმართობა კვლავ მოულოდნელად დაატყდა თავს: ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, 1939 წელს, მიიღო თავზარდამცემი ცნობა იმის შესახებ, რომ იაპონელ დამპყრობლებთან ბრძოლაში მდინარე ხალხინ-გოლთან გმირულად დაიღუპა უმცროსი ლეიტენანტი თედორე სტეპანოვი.

მრავალტანჯულ დედას თავისი სევდა ოდნავადაც კი არ ჰქონდა განელებული, როდესაც დიდი სამამულო ომი დაიწყო და 1941 წელს კვლავ მწარედ დაკოდა დედის გული იმ ამბავმა, რომ ბრიანსკის ფრონტზე, მტერთან მკაცრი შერკინების ჟამს დაიღუპა ლეიტენანტი პავლე სტეპანოვი.

ბედის ესოდენ ულმობელმა რისხვამ საბოლოოდ როდი გატეხა ეპისტინა სტეპანოვა, მან საძულველ მტერზე მძლავრი შურისგების გრძნობით გააცილა ფრონტზე უმცროსი ვაჟები — ნიკოლოზი, ვასილი, ფილიპე, სულ მალე კი მოხალისედ წავიდა უმცროსი ალექსანდრეც.

დაიწყო ომის უმძიმესი, თითქოსდა ზოზინით მიმავალი თვეები. შვილების ამბის მოლოდინში ათენებს და აღამებს დედა. იგი ყოველდღიურად, ზამთარსა თუ ზაფხულში, გაზაფხულსა თუ შემოდგომაზე გამოდიოდა ეზოს გარეთ, სოფლის შარაზე, მოუთმენლად ელოდა ფოსტალიონს — ანისიას. ახარებდა ანისიას გამოჩენა. ანისიასაც უხაროდა ეპისტინესთან შეხვედრა, რადგან ფრონტზე მეომარი შვილების გამამხნევებელი წერილები მოჰქონდა დედასთან. ეპისტინაც დღეში რამდენჯერმე კითხულობდა ხოლმე წერილებს. იკრებდა მხნეობას, მაგრამ არც ეს ბედნიერება გაგრძელდა დიდხანს.

ილეოდა დღეები, კვირეები, ანისია კი არ ჩანდა. თითქოსდა მიწამ ჩაყლაპაო. ღელავდა ქალი, ვეღარ ისვენებდა. ერთ დღეს სამუშაოდან შინ რომ დაბრუნდა, ძირს დაგდებული ქაღალდი ნახა, აიღო, წაიკითხა და თვალთ დაუბნელდა. ქაღალდი ვასილის დაღუპვის ამბავს იტყობინებოდა. აქვითინდა ქალი, მდუღარე ცრემლი ღვარა, კიდევ ერთი ძარღვი ჩაუწყდა გულში, მაგრამ იმედი სულ არ დაუკარგავს, ისევ ფოსტალიონ ანისიას ელოდა, მაგრამ ანისიას ნაცვლად ერთ დღეს ეზოში ისევ იპოვა კონვერტი, ისევ ხელის კანკალით გახსნა და შავი ქაღალდი ახლა ფილიპეს დაღუპვას იუწყებოდა. რა თქმა უნდა, ეს თავზარდამცემი წერილები ეპისტინესთან ფოსტალიონ ანისიას მოჰქონდა, მაგრამ ეძნელებოდა პირადად გადაეცა დედისათვის შვილების დაღუპვის ამბავი და, როცა ეპისტინა შინ არ იყო, წერილებს ეზოში, ყველაზე გამოსაჩენ ადგილას ტოვებდა. სამწუხაროდ, კიდევ რამდენჯერმე მოუხდა ანისიას ეპისტინა სტეპანოვას ეზოში ასე ფარულად წერილების დატოვება, რომლებმაც უბედურ დედას ფრონტზე გაგზავნილი შვიდი ვაჟკაცის დაღუპვა აუწყეს.

ბედის მრისხანებით ესოდენ განწირული დედა სულით მაინც არ დაეცა, კვლავ შერჩა იმედის ნატამალი, ჟამიდან-ჟამს კვლავ იყურებოდა ჭიშკრისაკენ. ერთი შვილიღა დარჩა ცოცხალი და იმას ელოდა. ათასგზის გაანრისხებულმა ბედმა ერთხელ თითქოსდა შეიბრალა განაწამები ქალი. ცოცხალი დაბრუნდა ერთადერთი შვილი ნიკოლოზი. დაბრუნდა მაგრამ ტყვიებით სულ დაჭრილ-დაცხრილული და მალე ისიც გარდაიცვალა.

დარჩა მარტოდმარტო ცხრა ვაჟიშვილის მშობელი და გამზრდელი დედა. დარჩა შვილებზე ფიქრისა და მწუხარების ამარა, მაგრამ სულით არ დაცემულა, არ დაჩიავებულა. მაგრობდა, ავბედს არ ნებდებოდა, სანამ პირში სული ედგა. ომის შემდეგ ორ ათეულ წელზე მეტი იცოცხლა. ხშირად გამოდიოდა ეზოდან, დაადგებოდა ქალაქის პარკისაკენ მიმავალ გზას. იქ, ქალაქის პარკში, უმცროსი ვაჟის, საბჭოთა კავშირის გმირის ალექსანდრეს ძეგლი დგას. მასთან მივიდოდა, მის ფეხთით ცოცხალი ყვავილების თაიგულს დადებდა... ერთხანს გარინდული იდგა, მერე წელთა სიმრავლითა და ჟამთა სიავით დამჭკნარ ხელს ძეგლს შეახებდა, ეფერებოდა, კარგახანს ესაუბრებოდა დედა ძეგლადქცეულ შვილს და იმ წუთებში აშკარად თვალწინ ედგა ცხრავე ვაჟკაცი.

მთხრობელი გაჩუმდა, ცრემლი მოიწმინდა. მცირეოდენი დუმილის შემდეგ მაგიდიდან მოზრდილი ალბომი აიღო, ოდნავ მაღლა ასწია და ისევ დაიწყო: ყველაფერი ის, რაც გიამბეთ და ისიც, რისი თქმაც ვერ მოვასწარი, ეპისტინა სტეპანოვას გმირული და ტრაგიკული ცხოვრების შესახებ, უფრო დაწვრილებით, ლაკონურად, შთამბეჭდავად აი აქ, ამ ალბომშია, მოთხრობილიო.

ლამაზად გაფორმებულ გარეკანზე მსხვილი, შავი ასოებით გარკვევით ეწერა: „მარადჟამს ხალხის ხსოვნაში“. ოდნავ ქვემოთ კი თითქმის იმავე ზომის ასოები იყო გამოყვანილი: „ეძღვნება სტეპანოვების ოჯახის გმირობას“.

ვუყურებდით ალბომს, და, ბუნებრივია, ყველას ერთი და იგივე სურვილი გაგვიჩნდა, ერთი და იგივე კითხვა დაგვებადა და ცოტახნის შემდეგ კიდეც გაისმა დარბაზში ყველა ჩვენთაგანის სასურველი ეს კითხვა: მერედა ვინაა ალბომის ავტორი, სად იყიდება ეს ალბომი?

მთხრობელმა ალბომი სათუთად დადო მაგიდაზე. სახეზე ღიმილმა გადაურბინა და თქვა: ამ ალბომის ავტორი ჩვენი თანამემამულე, კრასნოდარელი ჟურნალისტი ანატოლი მაკარენკო არისო.

ანატოლი მაკარენკო ხომ ჩემი ფრონტელი მეგობარია! ფიქრი ხმამაღალი გამომივიდა. ჩემს გვერდით მდგომმა კოლეგებმა განცვიფრებითაც კი შემომხედეს.

გამომგზავრებამდე რამდენიმე საათით ადრე მოვიდა სასტუმროში ანატოლი მაკარენკო და ალბომი გადმომცა გულთბილი წარწერით.

გადავშალე პირველი გვერდი და მყისვე მრავალჭირნახული რუსი დედის უზომო მწუხარების გამომხატველმა სახემ შემძრა. თუნდაც და ამ სახის ხილვით შეიძლება დაინახო, იგრძნო ომის მთელი საშინელება, ის ენით გამოუთქმელი სულიერი ტანჯვა, წამება, რომელიც მას მოაქვს ადამიანებისათვის. ამ სახეგატანჯული, შავით მოსილი ქალის პორტრეტის გასწვრივ ასეთი სულის შემძვრელი სტრიქონებია: „ეპისტინა თეოდორეს ასულს ყველა თავისი ვაჟკაცი დაამახსოვრდა, გონებაში ღრმად აღებეჭდა ომში მიმავალი. ხუტორიდან გზაწვრილი გასდევდა მდინარისპირა მინდვრებს, შემდეგ თანდათან ადიოდა მაღლობზე, საიდანაც კარგად მოჩანდა მიხვეულ-მოხვეული, მდინარის გასწვრივ გამავალი გზაწვრილი, სახლი, ბაღი. და, როდესაც ომში მიმავალი ბიჭები გაივლიდნენ მინდორ-მინდორ მიმავალ გზაწვრილს, შეუდგებოდნენ აღმართს, უკან მოიხედავდნენ, ერთხელ კიდევ სიყვარულით შეავლებდნენ თვალს მათკენ სასოებით მზირალი დედის გაქვავებულ ფიგურას, უკანასკნელად დაუქნევდნენ ხელს, გამოეთხოვებოდნენ და... ასე წავიდნენ ყველანი ფრონტზე, წავიდნენ უკვდავებაში“.

ერთობ ლაკონიური, ბედის სიმუხთლით განაწამებ გაუტეხელ ადამიანთა უაღრესი თანაგრძნობით გამსჭვალული სტრიქონები ახლავს ალბომში დაბეჭდილ ყველა პორტრეტს, ყველა ფოტოსურათს და სწორედ ამიტომაა, რომ დიდი ინტერესით, სულმოუთქმელად იკითხება პირველიდან ბოლო გვერდამდე.

მწარე ფიქრს, სინანულს აღგიძრავენ ისინი: აი, სრულიად ჭაბუკი, სახელიმილიანი სოფლის კომკავშირელი ახალგაზრდობის ჯგუფი და მათ შორის ძმები სტეპანოვებიც უზომოდ შეჰხარიან სიცოცხლეს. აგერ კოლმეურნეობის სასულე ორკესტრის წევრები და მათი ხელმძღვანელი, ცხრა ძმათაგან ერთი — ვასილი სტეპანოვი. თითქოსდა წამიერად მოგესმის

(დასასრული იხ. მე-13 გვ.)

ᲞᲝᲔᲛᲐ ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲘᲡᲐ

ᲔᲜᲕᲔᲠ ᲜᲘᲫᲐᲠᲐᲫᲔ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოემას ჩემსას ვარქმევ ყრმობის
ტკბილ გახსენებას,
ვუხმე ოცნებებს, სანატრელს
და ოქროსფრთებიანს,
მსურს ერთხელ კიდევ მოვეფერო
გამქრალ მშვენებას,
რაიც ოდესმე ტკივილამდე
შემყვარებია.

დიდი ხანია, რაც მაჭარი
უკვე დაღვინდა,
დღენი მიჰქრიან და სიცოცხლე
შედის ტკბობაში.
ოცდათხუთმეტი წელიწადის
ამ სიმაღლიდან
გადავაბიჯე კიდევ ერთხელ
ჩემს ბალღობაში.

დავხუჭე თვალი, სულმა მღვრიე
ფიქრი დაწმინდა,
და მოგონებებს აზვირთებულს
წყნარად დავნებდი
და პირველყოფილ ელვარებით
თვალწინ გაბრწყინდა
ჩემი სამშობლოს ჯადოსნური
კუთხე სვანეთი.

* * *

მზე ჩადის მთებში, საამურად
დაჰბერა ზენამ
და ეფინება ტებდიაშის
ფერდობებს ლიბრი,
მიწყდა ხმაური, აღარ ისმის
ცელების სტვენა.
კოცონს უსხედან მთიბველები
დაღლილნი თიბვით.

ო, შეღამება მშობლიური,
ტკბილია მარად
და ჭრიჭინების კრომანჭულიც
სასმენი ამოდ.
ტეხენ ხმიადს და სიგრილეში
ვახშმობენ წყნარად
და ნეტარ ფიქრებს მისცემიან
ოჯახთა გამო.

რა ამბავია, ან რა მოხდა
ლატალში გუშინ,
ხომ არ აკლია, ხომ არ უჭირს
რაიმე ჯალაბს,
და თვითეული, რა თქმა უნდა,
ამ წუთას გულში
მხოლოდ საკუთარ ტკივილსა და
სიხარულს მალავს.

მეც წყნარად ვწევარ სურნელოვან
მწვანე ბალახში
და თიბვას ჯერაც მიუჩვეველს,
სახსრები მტკივა.
ო, რა კარგია, დავბრუნდები
სანამ ქალაქში
ორიოდ მარხილს გავთიბავ და
გვექნება თივა!

ჩავზიდავ სახლში და სოფელიც
გაიგებს უმალ,
რომ ჩვენს ფურს საზრდო თავსაყრელი
ექნება წელსაც
და ბედნიერი ქორა ნანა[1]
ძილის წინ ჩუმად
წმინდა გიორგის შეავედრებს
სიცოცხლეს ჩემსას.

მერევა ძილი ამ ფიქრებში,
დუმს მთათა ექო,
წყნარი ჩხრიალით მირბის ხევში
პატარა ღელე,

და მესიზმრება, თავზე მისვამს
ელენე ბებო
ამ ბალახივით სურნელოვან
და დამჭკნარ ხელებს.

* * *

ისევ შორეულ სიყმაწვილის
სიმღერას ვმღერი.
და მახსენდება დედულეთის
პატარა სახლი.
კალოობაა, ილეწება შვრია და ქერი
და კევრზე ვდგავარ გათარჩხული,
ნიჩბით და სახრით.

რა ყიყინია პატარების ნეტავი ირგვლივ,
მიაქროლებენ კევრს ხარები
ნიავზე სწრაფად,
თავთავებისგან ჩემი დები
მიწნავენ გვირგვინს
და ყველაფერი ცხადზე უფრო
წააგავს ზღაპარს.

წუხელ კი, როცა წამოეგო
მზე მთათა შუბებს
და მთვარის შუქი შეეპარა
ჯერ კიდევ დღებნელს,
საღურჭელაი[2] დავაყენეთ
და მთელი ღამე
შუა ყანაში საკალოე
ადგილი ვტკეპნეთ.

და სანამ ცაში არ ავფრინდით
ყველანი უფრთოდ
და ჟრიამულით არ დავუხვდით
ლურჯთვალა ცისკარს,
ბრუნავდა ყველა კარუსელზე
ძვირფასი უფრო
საღურჭელაი, გაჩორკნილი
უბრალო ხისგან.

* * *

ასაფლავებენ დღეს სოფელში
ასი წლის მოხუცს,
წვიმს, დაჯანღულა იალაზე
ყომრალი ნისლი,
ვუსმენ შაოსან დედაკაცთა
ხმამაღალ მოთქმას
და მათ კივილზე მეყინება
ძარღვებში სისხლი.
არ გადაიღებს, ალბათ, რადგან
ღრუბელი ფარავს,
ცისფერ ჰორიზონტს და არსად ჩანს
პატარა ბზარიც,
დგანან კაცები თავწაკრული
კუბოსთან რკალად
და ჟრუანტელის მომგვრელად ყღერს
სვანური „ზარი“.

მადლობა ღმერთს, რომ ძველებურად
აქ ისევ ჰქვია
ტირილს ტირილი, გლოვას — გლოვა
და მოთქმას — მოთქმა,
კი, რა თქმა უნდა, წინ მიჰყვება
ცხოვრების ტრიალს,
მაგრამ ადათ-წესს კვლავ ინახავს
სვანების მოდგმა.

ო, როგორ უმძიმთ, რა გულწრფელად
ტირიან, ვხედავ,
ჭირშიც და ლხინშიც დღევანდლამდე
მიტომაც გაძლეს,
საყდრის ეზოში დამარხავენ
საღამოს ცხედარს,
არ გაიხდიან მერე ტანზე
კაი ხანს ძაძებს.

* * *

გადაიკარა, საღამოხანს შეჩერდა ლეშხი
და ვარსკვლავები დაექარგნენ
ლურჯი ცის თავანს,
ბიძებთან ერთად უთენია
ხვალ წავალ ტყეში,
და ძველთაძველი დარბაზისთვის
დავაპობთ ყავარს.

შევუხსნი ხარებს აპეურებს,
გადავდგამ უღელს,
და წალდით ხელში ტყეს მარტოკა
მოვივლი ფეხით.
ჯერ უმწიფარი პანტა ვაშლით
ავივსებ უბეს
და ფოთლებს დავკრეფ ღელის პირას
აშოლტილ ღეხის[3].

მერე დავსხდებით და ფოთლებზე
დავაწყობთ საგზალს,
აქ პურის ყუას სხვა ფასი აქვს
და სულ სხვა გემო,
ცისფერი რახი გამამხნევებს
ნაჯაფს და ნამგზავრს,
შენს სადღეგრძელოს პირველად ვსვამ,
მამულო ჩემო!

* * *

დღეს შაბათია, შაბათობით
გზაზე ვარ მუდამ,
შიხრაში გავყვე ტურისტების
მანქანას იქნებ,
ხვალ ტიბულდერა დავაგუბოთ
ბიჭებმა უნდა,
ზეგ მესტიიდან ჩამოვიტან
საყვარელ წიგნებს.

უნდა გამოვწვათ ამ ზაფხულზე
კირქვისგან კირი,
და ლარილს[4] უნდა შემოვავლოთ
ნაშხატის[5] წნული.

დრო მიდის, ზეცა ხან იცინის,
ხან კიდევ ტირის
და სიყვარულით წვეთწვეთობით
მევსება სული.

* * *

უშგულში ავალ, გავახარებ
მამიდა ივდითს,
გიგა ბაბლინეს, გიგა დაუს
და ბუბა ბულათს,
გამოუცვლიათ დანჯღრეული
ენგურზე ხიდი
და გაღმა გასვლა აღარ არის
საშიში სულაც.

აქ უცხოვრია ჩემს წინაპარს
უხსოვარ დროშიც.
ამ მინდვრებს დღესაც ყვავილებად
მზე სხივებს აქსოვს,
დანგრეულია ჩვენეული ჩაჟაში კოშკი,
დია და ბაბა მამაჩემსაც
ბუნდოვნად ახსოვს.

მე მაინც ჩემი წინაპრების
საფლავებს ვნახავ,
მათი ცრემლებით მეც მოვხარშავ
გრძნობების ფაფას,
უპირველესად კი მათ შორის
ყველაზე მაღალს,
დიდ ბესარიონ ნიჟარაძეს —
მახვშსა და პაპას.

ლამარიადან შხარა მოჩანს
ღრუბლების ქობით,
ეცერით მოსულ მოძალადეს
და სულთამხუთავს,
უშგულის თემის ნებითა და
კაჟიან თოფით
დადეშქელიანს აქ ჩაუქრეს
მზე — ზვიად ფუთას.

მომეძალება გარდასულზე
როდესაც ფიქრი,
აქ სულის წყლულებს ისევ გრილი
ნისლებით ვიხვევ,
თოვლიან მთების ლურჯ აკვანში
იძინებს მზე და
დაჰყურებს სოფელს მაღლობიდან
თამარის ციხე.

* * *

მოასვენებენ თიკანაძეს
შხარიდან, ვხედავ,
დაუხუჭია სამუდამოდ
მზეჭაბუკს თვალი,
ამაოდ უხმობს თეთრი კვიცი
ჭიხვინით მხედარს,
და ტირის, ტირის გულამოსკვნით
კაცი თუ ქალი.

ვაჟკაცი უნდა დაიტირონ
რიგით და წესით,
რადგანაც გურამ თიკანაძე
ვაჟკაცი გახლდათ,
შემთხვევით ფეხი მოუცურდა
ყინულზე კლდეში,
თორემ შხარასაც დაიპყრობდა
გურამი ნაღდად.

წარბებს მრისხანედ იჭმუხნიან
მაღალი მთები,
ლამარიასთან კვლავ ჭიხვინებს
უბელო კვიცი,
შევყურებ შხარას დაღვრემილი
და მაშინ ვხვდები,
რომ ყველას ჩვენი დასაპყრობი
მწვერვალი გვიცდის.

* * *

კვირიკობაზე მოჯარდება
სვანეთი მთელი,
მეც კალის აღმართს მივყვები და
კალათა მიმაქვს.
საყდრის ეზოში დროშა ფრთხილად
გამოაქვთ ძველი
და, რა თქმა უნდა, უეჭველად
იწყება წვიმა.

გალავნის შიგნით საჯილდაო
აწყვია ქვები
და აქვთ შეჯიბრი აქეთ ბიჭებს
და იქეთ კაცებს,
მე ჯერ მომცრო ქვას ვეჭიდები
ბავშვური გზნებით,
მერე კი, როცა გავიზრდები,
დიდ ლოდსაც ავწევ.

* * *

ასე მგონია, ყველაფერი ეს იყო გუშინ,
თუმცა მას შემდეგ ჩაიარა
მრავალმა წელმა
და მიუჩინა სამუდამო
ბინა ჩემს გულში,
სვანეთის ყველა ლამაზ სოფელს
და მაღალ მწვერვალს.

ხატება მათი განუყრელად
ყველგან თან დამდევს,
ლამარიადან ისევ ისე მკაფიოდ ჩანან,
ზემოთ — მულახი, კალა, ბეჩო,
ეცერი, ხალდე,
ქვემოთ — ლენტეხი, ყორულდაში,
ლაშხეთი, ცანა.

ვერ ვუღალატებ ყინულოვან
საბუდარს ორბთა,
შხარას და შხელდას, აილამას,
თეთნულდს და უშბას,
მაცხოვრის ხატს და სკალდის საყდარს,
ჰადიშის ოთხთავს,
ბეთქილის ზღაპარს, „შინა ვორგილს“,
„ლილეს“ და შუშპარს.

ჰოი, მამულო, სულზე ტკბილო,
ადგილის დედავ,
ვარ ტრუბადური შენი სუნთქვის
და შენი ფიქრის,
მადლობა შენდა, კურთხეულო,
მადლობა შენდა,
რომ ჩემს ძარღვებში ძველთაძველი
წრიალებს სისხლი.

გიმრავლოს ღმერთმა მეხოტბე და
მკურნალი წყლულთა,
მეც სანამ სიტყვის ძალა მომდევს
და მკლავი მერჩის,
შენი მომავლის სამსახურში
მიგულე მუდამ,
შენი დესპანი ვარ თბილისში
და შენი ელჩი.

ან კი რად მინდა ეგოდენი
ქადილი, ფიცი,
ნეტარებს სული, როს მაგ ძვირფას
სანახებს ვუმზერ,
შენსკენ ვესწრაფვი ნუგეშისთვის
ძვირფასო, მიწყივ
სიცხიანს ღრუბლის საფენელი
დამადე შუბლზე.
და შემილოცე ძველებურად,
მოისხი მადლი,
რომ ვერ გამთვალოს ბოროტებამ
და შურმა ვერსად,
რომ სიცოცხლეში ერთხელ მაინც
შევუწყო ჰანგი
ძველი ჭუნირის სულისწამღებ
ჟრჟოლას და კვნესას.

* * *

ახლა მამულის სიყვარულზე
ცოტა წერს ლექსებს,
პოეტებს, ალბათ სულ სხვა რიტმებს
კარნახობთ ღმერთი,
მაგრამ მე მაინც ვუბრუნდები
მშობლიურ ფესვებს,
ამაზე ტკბილი არ არსებობს
სიმღერა ჩემთვის.

ვარ ნაშიერი ძლიერი და ამაყი ტომის,
და ყოველ დილით თვალს ერთადერთ
ოცნებით ვახელ,
რომ ჩემი სიტყვით, ჩემი ფიქრით
და ჩემი შრომით
რამე შევმატო საქართველოს
ბრწყინვალე სახელს.

და თუმცა ვიცი, საკუთარი
შვილების ქება
და არც ტრაბახი არ შეშვენის
არასდროს ვაჟკაცს,
მჯერა, ორი ძმა ნიჟარაძე,
შერგილ და გეგა,
შეემატება უეჭველად მამულის ლაშქარს.

* * *

აი, ბავშვობის გადავშალე
ერთი ფურცელიც,
ლურჯმა ვარსკვლავმა გადიქროლა
ცაზე კიაფით,
და რაღაც თბილი, სიზმარივით
ამოუხსნელი
და ღვთაებრივი ნეტარებით
ავფორიაქდი.

არ დაბრუნდება, რა თქმა უნდა
უკან წარსული,
მაგრამ დრო და დრო მაინც ვუხმობ
ლანდებს გამქრალებს,
და ვეფერები, ვეფერები
ფიქრში წასული
ჩემი ძვირფასი მოხუცების
წმინდა საფლავებს.

მჯერა, არასდროს ამოწყდება
ჯიში ლომების,
თუმცა ღრუბელი ამ მწვერვალებს
ბევრჯერ დანისლავს
და ჩემი ხალხი ფიქრით, გარჯით
და მონდომებით
მტკიცედ გაჰყვება განათებულ
გზას მომავლისას.

ვერას დააკლებს შმაგი მტერი
ვერც მრისხანებით,
ვერც ბოროტებით,
ვერც მზაკვრობით
და ვერც შელოცვით,
და კვლავ იბრწყინებს მზის ქვეშეთში
ჩემი სვანეთი —
ურყევი ბურჯი მშობლიური
საქართველოსი.

[1] ქორა ნანა — სახლის დედა.
[2] საღურჭელაი — ხის სატრიალო მოწყობილობა. მიწის სატკეპნად იყენებენ.
[3] ღეხი — დუცი.
[4] ლარილი — პატარა მწვანე მდელო.
[5] ნაშხატი — ღობის წნული.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი ლია ბახტაძე.

ვარიაციები ბალეტიდან „ლაურენსია“.

ფოტო

ვლადიმერ გულიაძისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები სვეტლანა გოჩიაშვილი და ზაქარია ამონაშვილი.

სცენა ბალეტიდან „კარმენ-სუიტა“.



ვედრება.

თამრენია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ ხუციშვილი

მეარღნე.

პეიზაჟი.

ფალა ჩარგალში.

წისქვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი მიზანდარი

„ჭეშდ“ ვიეტნამის ახალი წელი.

ვიეტნამელი მხატვარი.

ჰაიფონელი მუშის პორტრეტი.

ღღეები ჯვირუკ ვიეტნამში

ვიეტნამში

ნახატი გივი მიზანდარისა.

შარშან კვლავ ვეწვიე ვიეტნამს (პირველად იქ 1960 წელს ჩავედი პედაგოგიური მისიით). ვიეტნამელი მეგობრები ისე შემეგებნენ, როგორც უახლოეს ადამიანს. ჩემი ყოფილი სტუდენტების სითბომ და სიყვარულმა კი დამარწმუნა, რომ ამ ქვეყანაზე მეც მიღვაწია: ზოგიერთი მათგანი უკვე სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გამხდარა.

ვიეტნამის დედაქალაქში მოეწყო ჩემი პერსონალური გამოფენა. გამოფენას დიდძალი ხალხი დაესწრო. სიტყვით გამოვიდა ცნობილი მხატვარი ჩან-ვან-კანი, რომელმაც გამოფენას საბჭოთა და ვიეტნამელი ხალხის მეგობრობის დღესასწაული უწოდა.

ჰალონგს ევროპელებმა ქვეყნიერების მერვე სასწაული შეარქვეს. იგი წყნარი ოკეანის ულამაზესი ადგილია, სადაც ნაპირიდან მოშორებით უამრავი სხვადასხვა ზომისა და ფორმის კუნძულია. ისინი დეკორატიულ ქანდაკებებს მოგვაგონებს. წყნარ ამინდში ზღვა მოლივლივე მარმარილოს პოსტამენტს წააგავს, თუ ოდნავ ღელავს, გეგონებათ, მდევრებს შარვლის ტოტები აუკაპიწებიათ და ჩქარობენ ნაპირზე გასვლასო. ამ კუნძულებს შორის რამდენჯერ მივლია ჯონკით (ჯონკი საკმაოდ დიდი მოცულობის ნავია. მასზე ცხოვრობს მთელი ოჯახი). ჯონკის მობინადრენი თევზაობის ოსტატები არიან. ისინი მარჯნისა ან ზღვის სხვა სიმდიდრის მოპოვებასაც მისდევენ. მეც მიმიღია მონაწილეობა მარჯნის მოპოვებაში მათთან ერთად და ბევრჯერ მათზე არანაკლები ნადავლი ამომიტანია ზღვის ფსკერიდან.

მახსოვს ჰანოის ბაზარი და მისკენ მიმავალი ძველი ქუჩა. ეს ისეთი ლამაზი ადგილია, იფიქრებთ, კინომხატვარმა სპეციალურად მოაწყო ფილმის გადაღებისთვისო.

ვიეტნამელ ხალხს საინტერესო ისტორიული წარსული აქვს. ამ ხალხის მრავალი შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლი მსოფლიო საგანძურად არის აღიარებული.

ვიეტნამელები საერთოდ გმირული სულის მქონე, კეთილი და შრომისმოყვარე ხალხია.

იქ ყოფნის დროს გამოვძერწე ვიეტნამის პრეზიდენტის ხო ში მინის პორტრეტი, ოთხი დღე ვიმუშავე ორ-ორი საათი. დაუვიწყარია ჩემთვის ეს დღეები, აქვე შევქმენი მებრძოლების, მსახიობების, სპორტსმენების პორტრეტები.

ვიეტნამელთა თეატრით ჯერ კიდევ 1962 წელს მოვიხიბლე. ვიმუშავე ვიეტნამის თეატრის ვარსკვლავ ბიკ ტიაუს პორტრეტზე. ეს მსახიობი ქალი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა გოგონა იბრძოდა ფრანგი კოლონიზატორების წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ არაერთი ქარცეცხლიანი დღე ჰქონია ამერიკელი კოლონიზატორების წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში.

ვიეტნამში გავიცანი წარსულში შესანიშნავი მოკრივე ზაანი. მასთან რინგზე სპარინგიც კი ჩავატარე. ზაანს საინტერესო და რთული ცხოვრება ჰქონია, ის პირველად რიქშა იყო. იძულებული გამხდარა, გაქცეულიყო ჰანოიდან, ვინაიდან გილიოტინა ელოდა.

მოკრივის პორტრეტი, რომელიც ჰანოიში შევქმენი, ჩემთვის ძალზე ძვირფასია.

ბევრი სასიხარულო და ძნელი ამბავი გადამხდა ამ ქვეყანაში. ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები ვიეტნამელ და საბჭოთა ხალხებს შორის მეგობრობას ვემსახურე.

გივი მიზანდარი

ახალი ცხოვრების სადიდებლად დარხეული საამო ჰანგებიც. ფოტოობიექტივის თვალს თედორე სწორედ მაშინ დაუნახავს, როდესაც ის თავთავდამძიმებულ ყანაში შესული გულდასმით სინჯავს, აკვირდება, სამკალი თუა ყანაო. უნიკალურ სურათად ქცეული ეს მომენტი ათეული წლების შემდეგ ღრმად გაფიქრებს ადამიანის ბედზე, იმ მოულოდნელ, ზოგჯერ ულმობელ ხვედრზე, რომელიც მას დაატყდება ხოლმე თავს. აი, კიდევ ერთი ფოტოსურათი, ისევ შვილებს — ალექსანდრესა და ილიას შუაში ჩაუყენებიათ ხაყვარელი დედა... და ასე ყოველი სურათი სიცოცხლის უზომო სიყვარულს, მუდამ ერთად ყოფნის განუზომელ სურვილს ბადებს და გულს ულმობლად კაწრავს სინანული, რომ სულ მალე სამარადისოდ დაშორდნენ ერთმანეთს დედა და შვილები.

გადაშლით მომდევნო გვერდს და კვლავ ფოტოსურათები, მაგრამ ეს უკვე ოჯახური ალბომიდან აღარაა. ეს ძეგლადქცეული თუ გრანიტის მემორიალურ დაფაზე ამოკვეთილი ცხრა ძმისა და მათი მრავალტანჯული დედის ფოტოსურათებია, გადაღებული ქალაქის პარკში. უყურებ ფოტოსურათებზე აღბეჭდილ ამ ძეგლებისა და მემორიალური დაფის დამთვალიერებელთა სახეებზე აღბეჭდილ ღრმა მოკრძალებას და შენც მწარე ნაღველი, ჭმუნვა გიპყრობს. ამ სურათების ხილვის შემდეგ პათეტიკურად, მაღალფარდოვნად სრულიადაც აღარ მოგეჩვენებათ ალბომში მოტანილი ცნობილი რუსი მწერლის ივან სტადნიუკის ის სიტყვები, რომლებიც მას სტეპანოვების საოჯახო მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაუწერია:

„დაე იყოს დაუცხრომელ ადამიანთა სამარადისო მადლიერება დედისადმი, რომელმაც ტანჯვა-წამებით შობა და მთელი სიყვარულით, ფერებით, ალერსით გაზარდა თავისი შვილები და შემდეგ, ძნელბედობის ჟამს, უყოყმანოდ გაგზავნა ისინი მამულის თავისუფლებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში“.

ალბომი ორიგინალურად, სადად და მომხიბვლელად არის გაფორმებული. ტექსტი დაწერილია შთამბეჭდავად, მას აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ.

ბიოგრაფიაში მოტანილი ზოგიერთი დეტალი, შტრიხი, სახიერად, ერთ მთლიანობაში წარმოაჩენს პიროვნებას, მის ბედსა და უბედობას. მაგალითად, ეპისტინა სტეპანოვას ტრაგიკულ ბედსა და მის გაუტეხლობაზე ლაკონურადაა გადმოცემული შემდეგ სტრიქონებში:

ძლიერი, ვაჟკაცური, გმირული გული ჰქონდა ეპისტინა თეოდორეს ასულ სტეპანოვას. საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო და არმიის გენერალი ა. ა. ეპიშევი 1966 წელს მას წერდნენ: „ცხრა ვაჟიშვილი შობეთ და გაზარდეთ თქვენ, ცხრა ყველაზე უძვირფასეს ადამიანს გზა დაულოცეთ მხედრული გმირობისათვის საბჭოთა სამშობლოს დასაცავად. თავიანთი გმირული საბრძოლო საქმეებით მათ მოაახლოეს ჩვენი დიადი გამარჯვება საძულველ მტერზე, განადიდეს თავიანთი სახელი.

... თქვენ, ჯარისკაცთა დედას, მებრძოლები გიწოდებენ თავიანთ დედას, თქვენ ისინი გიგზავნიან სითბოს თავიანთი გულებისას. თქვენს წინაშე, უბრალო რუსი ქალის წინაშე, მოწიწებით ხრიან თავს“.

მსგავსი ლაკონური ყოვლისმომცველი შტრიხებითა და დეტალებით ხასიათდება სტეპანოვების ოჯახის თერთმეტივე წევრის ბიოგრაფია, რაც მკითხველის თვალწინ საინტერესოდ წარმოაჩენს, აცოცხლებს ამ გმირული სულის ტრაგიკული ბედის ადამიანებს.

...როცა ამ ალბომს ვათვალიერებ, ჩემდაუნებურად მახსენდება ქართველი პოეტის სიტყვები: „ცხრა ძე ჰყავდა, ცხრა ვაჟკაცი დედას“, მახსენდება ამ ლეგენდარული დედის შვილებისადმი (ერთი მათგანი მედროშე იყო) შეგონება: საქართველოს დროშა არ დასცეთ ქართულ მიწაზეო; თუ მეწინავე მედროშე ხერხეულიძე მკვდარი დაეცეს, მომდევნო ძმამ აიტაცოს დროშა, თუ ამასაც ბედმა უმუხთლოს, მერე მესამემ... და ასე მანამ, სანამ უკანასკნელი ხერხეულიძე დაეცემოდესო. ამასობაში მტერიც ამოწყდება და ქართული დროშაც დაუხრელად იფრიალებს ქართული ცის ქვეშ!.. მართლაც და რაოდენ ლეგენდარულია ცხრა ძმა ხერხეულიძისა და ცხრა ძმა სტეპანოვების დედათა ხვედრი.

ერთმაც და მეორემაც ხომ უყოყმანოდ დაულოცა გზა ცხრა ვაჟკაცს მამულის მტრებთან, მომხვდურ მოძალადეებთან საბრძოლველად, თუმცა ეს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ეპოქაში მოხდა, მაგრამ ფაქტი ერთნაირია და აშკარად ღაღადებს რუსი და ქართველი დედების ღრმა პატრიოტულ სულისკვეთებაზე, მათ სულიერ სიმხნევესა და მამულისადმი უზომო სიყვარულზე.

დასასრული წერილისა „ხერხეულიძეთა კრასნოდარელი ძმები“.

სოლომონ დოდაშვილი

დიმიტრი კალანდაძე,

ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სოლომონ დოდაშვილი ერთ-ერთი პირველი ქართველი იყო, ვინც თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, 1824 წლის ივლისში, რუსეთში გაემგზავრა და პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიული ფაკულტეტის სრული კურსი დაამთავრა.

ს. დოდაშვილმა განსაკუთრებით ღრმად შეისწავლა ფილოსოფია, ლათინური და ბერძნული ენები; თავისუფლად კითხულობდა გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. დოდაშვილის უნარსა და ნიჭს ყველანი განცვიფრებაში მოჰყავდა.

პეტერბურგში ყოფნის დროს (1824-1827 წ. წ.) ს. დოდაშვილი მჭიდროდ დაუკავშირდა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებს, მწერლებსა და ჟურნალისტებს, რაზნოჩინელ ინტელიგენტებს; გაეცნო მათ საქმიანობას, ეზიარა ახალ იდეებს, რომლებმაც მასზე დადებითი გავლენა იქონიეს. ი. ხელაშვილს იგი წერდა:

„აქამომდე მაქვნდა ჩინებულთა პოეტთა და მწერალთა საუბრობა, რომელნიცა იქნებოდნენ პეტერბურღსა მონათვისითა საქმეებითა და ყოველსა ქვეყანასა ზედა ისმიან პატიოსნებანი მათნი“.

რუსეთის იდეურ-პოლიტიკური ცხოვრების განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო დეკაბრისტების აჯანყება, რომლის მოწმეც დოდაშვილი გახდა; ამ ფაქტმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა სოლომონ დოდაშვილზე, მკვეთრად განსაზღვრა მისი იდეურ-პოლიტიკური მრწამსი.

პეტერბურგში, რუსულ ფილოსოფიურ წრეებში, ს. დოდაშვილი ცოდნის სოლიდური მარაგით მივიდა. იგი ნასაზრდოები იყო მრავალსაუკუნოვანი ქართული და ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობით, რომელიც მკაფიოდ აისახა იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“. მაგრამ ასეთ ნოყიერ ნიადაგზე ძველ და ახალ შეხედულებათა კომპლექსში სოლომონმა შექმნა სრულიად ახალი, ორიგინალური ფილოსოფიური კონცეფცია, რომელიც, როგორც აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე წერს, ზურგს აქცევს მისტიკურ-ფატალისტურ მსოფლმხედველობას, აგრეთვე აგნოსტიციზმს და მატერიალისტური გზით მიდის.

განსაკუთრებით ინტენსიური გახდა ს. დოდაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა საქართველოში დაბრუნების შემდეგ. თბილისის გიმნაზიაში მასწავლებლობასთან ერთად იგი ნაყოფიერ ჟურნალისტურ საქმიანობასაც შეუდგა. ჯერ გაზეთ „თბილისის უწყებანის“ სარედაქციო კომიტეტის შემადგენლობაში მიიწვიეს, სოლო შემდეგ კი ამ გაზეთის რედაქტორად დანიშნა. სოლომონი ძლიერ დაიტვირთა. „არა მაქვს არცა ერთი წამი თავისუფლებითი, არცა ღამე და არცა დღე მოსვენება არა მაქვს“, წერდა იგი.

მიუხედავად ასეთი პირობებისა, ს. დოდაშვილმა შეძლო ფრიად ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაგრძელება. თავისი ცხოვრების ხანმოკლე პერიოდში (იგი 31 წლის ასაკში გარდაიცვალა) ბევრი რამ მოასწრო. ერთ-ერთი მთავარი ნაშრომი „ლოგიკა“, რომელშიც თავისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ჩამოაყალიბა, ჯერ კიდევ პეტერბურგში გამოვიდა რუსულ ენაზე და ამით დიდად გაითქვა სახელი სამეცნიერო წრეებში. თბილისში კი დოდაშვილმა დაწერა საშეცნიერო სტატიები და ცალკეული ნაშრომები: „შემოკლებული ქართული გრამატიკა“, „რიტორიკა“, „ლოგიკური მეთოდოლოგია“. 1832 წლის იანვრიდან მან დაიწყო „თბილისის უწყებანის“ ლიტერატურული დამატების გამოცემა, რომელსაც „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებანი“ ერქვა. ამ დამატების ყოველ ნომერში უმთავრესად ს. დოდაშვილის სამეცნიერო სტატიები და მხატვრული ნაწარმოებები, აგრეთვე მის მიერ უცხოურიდან თარგმნილი მოთხრობები იბეჭდებოდა.

ს. დოდაშვილს მოღვაწეობა მოუხდა ისეთ ეპოქაში, როცა თვითმპყრობელური რუსეთის იმპერიის მმართველობის სოციალურ-პოლიტიკური საფუძვლები რყევას განიცდიდა და ქვეყნის შიგნით თანდათან იზრდებოდა წინააღმდეგობები. იგი თანაუგრძნობდა და მხურვალედ უჭერდა მხარს მოწინავე დემოკრატიულ, ჰუმანისტურ იდეებს. მისთვის აუტანელი იყო საქართველოში ოფიციალური ხელისუფლების ადგილობრივი მოხელეების მმართველობის რეჟიმი: მცხოვრებთა აბუჩად აგდება, სოციალური უსამართლობანი, აგრეთვე ეროვნული ჩაგვრა-შევიწროება. ასეთ მოვლენებს, ცხადია, არ შეეძლო სათანადო გავლენა არ მოეხდინა სათნო ადამიანზე, ჰუმანისტზე, რომელიც ყველას მოკრძალებითა და პატივისცემით ეპყრობოდა.

ს. დოდაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის პროგრამა თავიდანვე, ჭაბუკობიდანვე, მკაცრად იყო მოფიქრებული: პეტერბურგში უმაღლესი განათლების მიღება, შემდეგ სამშობლოში დაბრუნება და ერის სამსახური — მამულისათვის თავდადებული მუშაობა. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ამ კეთილშობილური მიზნის განხორციელების იდეურ საშუალებად და იარაღად ს. დოდაშვილმა ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა იგი უმაღლეს სასწავლებელში იყო, ფილოსოფია აირჩია. „ფილოსოფოსობა, — წერს დოდაშვილი, — ნიშნავს ყურადღება მივაპყროთ თავისთავს, რათა გამოვიცნოთ და გავიგოთ თვით ჩვენი თავი და ამ გზით დავადგინოთ სამყარო ჩვენში და ჩვენთან“.

აქედან ნათლად ჩანს, რომ ადამიანის არსების, მისი ფორმირებისა და საზრისის ახსნის გამოსავალ პუნქტს ს. დოდაშვილი ფილოსოფიურ ასპექტში ხედავს და ამ კუთხიდან იწყებს თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის გაშლას. „ვიკრებ სიბრძნეს მამულისათვის“, წერს იგი, „მეც შემეძლო საქართველოსა შინა ცხოვრება, გარნა სიყვარულმან განმაღვიძა... მართალია აქ, უნივერსიტეტში, მე წმინდა თეორიულ ცოდნას ვიღებ, მაგრამ ყოველივე ამას ხორცს შევასხამ ჩემს სამშობლოში“. როგორც ვხედავთ, დოდაშვილს ღრმად ჰქონდა შეგნებული თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის საჭიროება.

ს. დოდაშვილი ჭაბუკობიდანვე თავისი ხალხის მოჭირნახულე იყო, ქართველი ერის სახელისა და ღირსების შორს გატანაზე ოცნებობდა. მაშასადამე, იმთავითვე პატრიოტიზმისა და ჰუმანიზმის იდეები შეადგენდა მისი დაუცხრომელი შემოქმედებითი მოღვაწეობის ლეიტმოტივს. დაუღალავი ზრუნვა სწავლა-განათლების საქმეზე, ბიბლიოთეკებისა და სკოლების გახსნა, სტამბის დაარსება, ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების ბეჭდვა-გავრცელება, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის ამაღლება — აი, რა იყო სოლომონ დოდაშვილის ოცნებისა და პრაქტიკული მოქმედების საგანი, მისი საგანმანათლებლო მუშაობის ძირითადი მიმართულება, რისთვისაც — იგი იღვწოდა და იფერფლებოდა: „სურვილი — სასარგებლო ვიყო ჩემს თანამემამულეთათვის, — წერდა იგი, — მუდამ წმინდა მოვალეობა იქნება ჩემთვის, ისევე როგორც იგი ამ, ჩემი ძალღონის შესაბამისი შრომის სტიმულიც იყო“. მაგრამ ს. დოდაშვილის მოღვაწეობაში გამოკრთის უფრო შორსმჭვრეტელური პოლიტიკოსის მისწრაფებანი. იგი ოცნებობდა დამოუკიდებელ საქართველოზე, რასაც მოწმობს 1832 წლის შეთქმულების მასალები.

ს. დოდაშვილის ფილოსოფიური მოძღვრების ცენტრში დგას არა სული, იდეა, ღმერთი, როგორც ეს თავისი დროის მოაზროვნეთა შეხედულებებისათვის იყო დამახასიათებელი, არამედ ადამიანი და მისი შესწავლა, ადამიანის აღზრდა და განათლება.

აღნიშნულიდან სავსებით გასაგები ხდება ს. დოდაშვილის მოღვაწეობის თანამიმდევრული და მიზანსწრაფული ხასიათი. და, თუ გარკვეული მოდელის, ან სქემის სახით გამოვსახავთ მის მოძღვრებას, იგი ასეთი სახით წარმოგვიდგება:

პირველი და მთავარი ელემენტი ეს არის — ადამიანი, როგორც თავის მთლიანობაში მოცემული სამყაროს გამოსავალი წერტილი და მიზანი.

მეორე — ფილოსოფია, როგორც მსოფლმხედველობრივი სისტემა, რომელიც სწავლობს ადამიანს, გამოარკვევს ადამიანის ადგილს სამყაროში, განსაზღვრავს მის პარამეტრებს, ფუნქციასა და დანიშნულებას, დოდაშვილის აზრით, ამ საქმეს ემსახურება ფილოსოფიის ყველა ნაწილი. მაგრამ იგი, ფილოსოფია, იკვლევს არა მხოლოდ გონების კანონებს, არამედ ამასთან ერთად გრძნობისა და პრაქტიკული მოქმედების კანონებს იმ აზრით, რომ „ფილოსოფოსობაში“ შერწყმულია მოცემული თეორია, პრაქტიკა და ესთეტიკა. „ფილოსოფოსობა, — წერს ს. დოდაშვილი ი. ხელაშვილს, — ჩვენი ყოველისა საგნისათვის მდგომარეობს თეორიასა შინა, პრაქტიკასა და ესთეტიკასა: პირველი არს ცნობა, მეორე ქცევა და მესამე ხელოვნება; კვლავ იგივე პირველი ესე იგი თეორია არს ესწავლა გონებისა, მეორე გულისა და მესამე გრძნობისა“. თეორიის ნაწილები, დოდაშვილის აზრით, არის ლოგიკა, ფსიქოლოგია და მეტაფიზიკა. პრაქტიკის ნაწილებია: ზნეობა და მისი სწავლება (ეთიკა), სამართალმცოდნეობისა და სარწმუნოების სწავლება, ხოლო ესთეტიკაში შედის გემოვნება, მჭევრმეტყველება და პოეზია.

მესამე მომენტია გონების დაკმაყოფილება: აქ შედის ადამიანის განათლება, სულიერი სამსახური, პიროვნების თავისუფლება. ამასთან არის დაკავშირებული სამშობლოს, ხალხის სიყვარული და სხვა იდეალები.

ს. დოდაშვილის თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა ამ სამი მთავარი მომენტისაგან შედგება. ეს ელემენტები განუყრელ კავშირსა და ერთიანობაშია მოცემული და მის მიერ „სრული ფილოსოფიის“ რანგშია აყვანილი.

ამრიგად, როგორც მთლიანად აღებული ს. დოდაშვილის შემოქმედება, ასევე მისი ყოველი ცალკეული ნაწილი, ადამიანის პრობლემის გაშუქებას ეძღვნება. ამ ასპექტით უნდა მივუდგეთ „ლოგიკას“, „გრამატიკას“, „რიტორიკას“ და მის სხვა ნაწარმოებსა და პირად წერილებს. ამ შრომებში თავის დროზე დიდი როლი შეასრულეს ადამიანთა თეორიულ-ფილოსოფიური გათვითცნობიერების საქმეში. განსაკუთრებით მაღალი შეფასება მიიღო მკითხველთა წრეებში „ლოგიკამ“, რომელზედაც რუსულ ცენტრალურ პრესაში დადებითი რეცენზიები გამოქვეყნდა.

მაგრამ ლოგიკას, ს. დოდაშვილის აზრით, აქვს არა მხოლოდ უდიდესი შემეცნებითი და მეცნიერული ღირებულება, არამედ ამასთან ერთად მას პრაქტიკული, გამოყენებითი ხასიათიც ეძლევა. ლოგიკის გამოყენებითი მნიშვნელობა ისაა, რომ

იგი ერთ-ერთი ფაქტორია ადამიანის გონებრივი განათლების, პიროვნების სრულყოფისა. შემეცნებითი სრულყოფილობა ადამიანისა მდგომარეობს ცოდნის სიცხადეში, საფუძვლიანობაში, სიზუსტეში, ჭეშმარიტების მიღწევაში. ამასთან ერთად ლოგიკამ უნდა გვიჩვენოს: შეცდომათა წყაროები და საშუალებანი, რომლებითაც შეიძლება შეცდომების თავიდან აცილება.

მაგრამ ლოგიკური აზროვნება და მისი წესების ჩამოყალიბება ს. დოდაშვილს ადამიანის განათლების საკმარის პირობად როდი მიაჩნია. მას კარგად ესმოდა სწავლა-აღზრდის საქმეში ყველა კომპონენტის ერთობლივი გამოყენების აუცილებლობა, ამიტომაც საჭიროდ ჩათვალა „ლოგიკის" შემდეგ დაეწერა „ქართული გრამატიკა", რომელიც ადამიანებს შეასწავლიდა „კანონიერს უბნობასა და წერასა ქართულად". მართლაც ეს წიგნი 1827 წელს გამოვიდა და უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის სულიერი კულტურის შემდგომი განვითარების საქმეში. ამის შემდეგ ს. დოდაშვილისათვის უკვე ერთ-ერთი პირველხარისხოვანი და გადაუდებელი საქმე შეიქმნა „რიტორიკის" გამოქვეყნება, რადგან ეს ნაშრომიც ავტორის ფართო ჰუმანიტარული განმანათლებლური შეშობის პროგრამაში შედიოდა. რიტორიკის საგანია სიტყვის წარმოთქმის ოსტატობა, დოდაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი გვასწავლის „მშვენიერ სიტყვაობასა საერთოდ". არსებითად ეს არის აზრისა და გრძნობების შეერთებით მჭევრმეტყველება, მსმენელებზე ეფექტიანი ზემოქმედება, რომელსაც დოდაშვილის აზრით, ადამიანის აღზრდის სისტემაში აქვს სამი ძირითადი დანიშნულება: 1. ჭეშმარიტებისადმი საგულდაგულო სწრაფვა; 2. კეთილი ნება; 3. ესთეტიკურ გრძნობათა სილამაზე ანუ მშვენიერება. დოდაშვილს ღრმად სწამდა, რომ კაცის „განათლებული გონება და განვითარებული გული, ესე ოდენ უკეთეილესად მისწვდების თვისსა საგანსა". ამასთან არის აგრეთვე დაკავშირებული ის გარემოება, რომ ადამიანის ჩამოყალიბებაში მხატვრული ლიტერატურის ზემოქმედებას ს. დოდაშვილი დიდ როლსა და მნიშვნელობას აკუთვნებდა. ს. დოდაშვილის მკვლევარებიც ადასტურებენ, რომ „მშვენიერის" ფენომენი მასთან გააზრებულია, როგორც ესთეტიკური კატეგორია და, მაშასადამე, მასში იგულისხმება არა მხოლოდ მშვენიერსიტყვაობა რიტორიკის ასპექტით, არამედ ხელოვნების, როგორც სინამდვილის მხატვრულ სახეებში ასახვის შინაარსი, მისი სპეციფიკა და უშუალო ზემოქმედება ადამიანის სულიერ სამყაროზე.

ს. დოდაშვილის ყველა ნაწარმოები გამსჭვალულია მაღალი მორალური პრინციპების ქადაგებით, მაგრამ ზნეობრივი პრინციპებისა და სათნოების განმასახიერებელ ეტალონად იგი თვლიდა თავის სულიერ მამასა და მასწავლებელს — იონა ხელაშვილს, რომლის კეთილშობილური თვისებები მან ამომწურავად ჩამოაყალიბა მისადმი ლექსად მიწერილ ოცსტრიქონიან მაჯამაში — „იონას უძღვნი სოლომონ აწ". ამ ლექსში ხელაშვილი დახასიათებულია, როგორც ბრძენი და ნათელ-ბრწყინვალე მოძღვარი, სიკეთის მომფენელი წყარო, „ნაყოფგამომღები" მეცნიერი, „სათნოებით სავსე არსება", „ძალზენოვანი" და „გულით ზნეობიანი", „ნუგეშისმცემელი", „მამულთა კეთილისმსურველი" და „მლოცველი". ი. ხელაშვილი ს. დოდაშვილის მართლაც მოამაგე და დამხმარე იყო. მას დიდი როლი მიუძღვის სოლომონის, როგორც პიროვნებისა და მოღვაწის, აღზრდისა და ჩამოყალიბების საქმეში.

თავის „გრამატიკაში" ს. დოდაშვილი აშუქებს ქართული ენის კანონებს. ამ ნაშრომმა განუზომლად შეუწყო ხელი მშობლიური ენის თვითმყოფობის შენარჩუნებისა და განვითარების საქმეს, მაგრამ აქ ყურადღებას იპყრობს სხვა მხარეც. მასში გრამატიკული წესების დაცვის ილუსტრაციისათვის მოყვანილ წინადადებებში ჩვენ ვპოულობთ დიდაქტიკურ მითითებებს, პედაგოგიკური და ეთიკური ღირებულების შემცველ პრინციპებს, რომლებიც აფორიზმების სახითაა გამოთქმული.

პირველ რიგში, აქედან საყურადღებოა ისეთი დებულებები, რომლებიც ადამიანის შრომითი აღზრდის საკითხებს შეეხება: „მცონარება და უქმობა, — წერს დოდაშვილი, — ესრეთ მოაუძლურებენ სულიერთა და სხეულევანთა ძალთა კაცისათა, რომელ იგი იქნების არა შემძლებელ წარმღებად თვით მცირეთა საქმეთაცა". მაშასადამე, აქ იგი გვეუბნება, რომ კაცი, რომელიც ზარმაცობს და უქმად ატარებს დროს, იმდენად დაუძლურდება, რომ მცირე საქმის გაკეთებასაც კი ვერ შეძლებსო. შემდეგ: „გულისმოდგინე მარად დღე მოიპოვებს ახალთა ცნობათა, ხოლო მცონარი ადვილად წარწყმედს მოპოვებულთა ცნობათა". მას მიაჩნია, რომ სწავლა შრომასთან არის განუყრელ კავშირში და აქედანვე ღებულობს იგი სიამოვნების სათავეს. „დასაბამი სწავლისა შეერთებულ არს შრომასთანა და მოწყინებისა, მაგრამ დასასრული მისი მიიღებს თვისთანა სიამოვნესა და კმაყოფილებასა". კაცი ახალგაზრდობის დროს უნდა შრომობდეს, თუ მას ტკბილი მოხუცებულობა სურს: „ჯერ არს ანუ შრომად სიჭაბუკესა შინა, რათა გვაქვნდეს განსვენებული მოხუცებულობაი".

აქვე ვხვდებით ბრძნულ აზრებს სწავლა-აღზრდის, განათლებისა და ქცევის ზოგიერთი საკითხის შესახებ. „ვითარცა მზე გაზაფხულის განაცხოველებს ქვეყანასა, მიანიჭებს სითბოსა და ნაყოფიერებასა, აგრეთვე ბრძენი მოძღვარი განანათლებს გონებასა და განავითარებს გულსა თვისთა აღსაზრდელთასა", — წერს ს. დოდაშვილი. „აღმკობილნი სწავლანი და მათ მიერ მოპოვებულნი ცნობანი არა დააბნელებენ გულისხმისყოფასა, არამედ უგრძნობლელად განანათლებენ მას". „სათნოება, სიბრძნე და სიმართლე არიან საჭირონი ბედნიერებისათვის ცხოვრებისა". „ფრთხილი და კეთილგულისხმიერი ქცეულობა არათუოდენ გამოაჩინებს საიმედოსა გზასა საიმედოსათვის ბედნიერებისა, არამედ განამტკიცებს შინაგანსა კეთილმდგომარეობასაცა ჩვენსა". „ბოროტი ჩვეულებანი მსგავსად რომელისამე ტკბილისა გესლისა, პირველად აწარმოებენ გულსა შინა სიამოვნესა, შემდგომად მცირე სნეულ ჰყოფენ, ხოლო დასასრულ გამოაჩინინებენ ამას ზედა სრულიადსა სიფიცხლესა თვისისა მოქმედებისასა". წონასწორობიდან გამოსული, არაგონივრული მოთხოვნილებებით შეპყრობილი ადამიანების წინააღმდეგ ს. დოდაშვილი წერს: „რაჟამს კაცი იოცნებს ნამეტნავსა სრულებისათვის თვისისა გულისხმის ყოფისა, მაშინ უმეტეს განაშიშვლებს ნაკლოვანებათა შეერთებულთა კაცობრივსა ბუნებისათანა".

ყველა ეს დებულება, შენიშვნები და მითითებანი ადამიანის აღზრდისა და განათლების საკითხებს ეძღვნება. ეს ბრძნული აფორიზმები დღესაც აქტუალურად ჟღერს, ისინი მიმართულია მუქთახორობის, გაუმაძღრობის, ლოთობის, ყოველი სახის ანტიპოდური მოვლენების წინააღმდეგ და მაღლა სწევს ადამიანის ღირსებას.

ამრიგად, ს. დოდაშვილმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული მეცნიერების, კულტურისა და ცივილიზაციის განვითარების საქმეში. ამიტომაც არის, რომ მადლიერი ქართველი ხალხი ამ დღეებში ფართოდ აღნიშნავს სახელოვანი მამულიშვილის დაბადების 180 წლისთავს.

ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲞᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐᲡ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

„ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲫᲒᲔᲑᲗᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ"

ამ სათაურით ჩვენი ჟურნალის 1984 წლის თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული იყო ზეზვა ბექაურის წერილი, რომელშიც ნათქვამია:

„ამ ბოლო ხანებში საკმაოდ ხშირად გამოდის მწერლისა თუ მწერალთა ჯგუფის (ჯგუფში ორი-სამი კაცი იგულისხმება) მიერ შედგენილი თემატური კრებულები თუ „ანთოლოგიები". ეს კრებულები და „ანთოლოგიები" ზოგჯერ არაობიექტურად არის შედგენილი: ზოგიერთი მწერლის შემოქმედება გაზვიადებულადაა წარმოდგენილი, ზოგიერთისა — პირიქით.

მაგრამ ეს არ გახლავთ მთავარი. მთავარი მაინც ის არის, რომ გამომცემლობათა მუშაკები არც კი ეკითხებიან ავტორს, სურს თუ არა მას შემდგენელთა გემოვნებიო შერჩეული ნაწარმოებების მორიგი გამოცემა. ვფიქრობთ: ამ შემთხვევაში აუცილებელია ავტორის თანხმობა — წერილობითი ან სიტყვიერი.

კარგი იქნება, ამ საკითხზე თავის მოსაზრებებს რომ გაგვაცნობდნენ საქართველოს სსრ საავტორო უფლებათა რესპუბლიკური საგენტოს მუშაკები".

რედაქციის თხოვნით, ჩვენს მკითხველს უპასუხებს საქართველოს სსრ საავტორო უფლებების რესპუბლიკური საგენტოს უფროსი **ნუგზარ წერეთელი**:

„საბჭოთა საავტორო კანონმდებლობა მკაცრად იცავს ავტორის უფლებებს. ეს საპატიო საქმიანობა განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც შეიქმნა საბჭოთა კავშირის საავტორო უფლებების საგენტო — ვაპ-ი. მისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა ავტორის უფლებათა განუხრელი დაცვა და მორალური სტიმულირების გაძლიერება.

აქედან გამომდინარე, ყოველ ავტორს, ვის უფლებასაც სახელმწიფო იცავს, აუცილებლად უნდა სთხოვონ თანხმობა მისი ნაწარმოების ნებისმიერი გამოყენების დროს. როცა ერთი ან თუნდაც ორი და სამი კაცი თავისი შეხედულებისამებრ წყვეტს ცოცხალი ავტორების ნაწარმოებების წიგნში ან ანთოლოგიაში შეტანის საკითხს, ეს ყოვლად დაუშვებელია. ავტორს ასეთ დროს შეუძლია უარი სთქვას საკუთარი ნაწარმოებების დაბეჭდვაზე ან მოითხოვოს წიგნის შეჩერებაც კი.

შემდგენლებმა ასევე უნდა მიიღონ თანხმობა წიგნისა თუ ანთოლოგიის შედგენის დროს მემკვიდრეებისაგან. როგორც ცნობილია, სამემკვიდრო ვადა ამჟამად 25 წელიწადს მოიცავს და იწყება ავტორის გარდაცვალების მომდევნო წლიდან.

მაგრამ მაშინაც კი, როცა სამემკვიდრო ვადა გასულია და სახელმწიფო აღარ იცავს ავტორის ნაწარმოებებს, მემკვიდრეებს მაინც რჩებათ სახელის უფლება და ამ შემთხვევაშიც უნდა მოხდეს გარკვეული ორმხრივი შეთანხმება.

წიგნებისა თუ ანთოლოგიების თვითნებური შედგენის პრაქტიკა მკაცრად უნდა დაიგმოს და აიკრძალოს, რათა, ზემდგომი ორგანოების მითითებათა თანახმად, ავტორების არავითარი უკმაყოფილება არ გამოვიწვიოთ".

ვიოლინო

კარლო ტაბატაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი სახემოღვრემილი მისვენებულიყო სავარძელზე და გატრუნული წინ გაწოლილ შავად მოლაპლაპე გზას გასცქეროდა, „ვოლგა“ დიდი სისწრაფით მიჰქროდა და შემოგებებული მინდვრები და მთები, ხეხილის ბაღები, ვენახის ზვრები და ყანები ერთმანეთში ირეოდნენ, უკან რჩებოდნენ.

— გაგიარათ, ბატონო გივი? — იკითხა შოფერმა და წუთით უკან მოიხედა.

— ცოტა დამიამდა, — მიიდო წელზე ხელი გივიმ და გზის პირას შემოგებებულ შენობას თვალი გააყევნა.

— იმ დღეს, წვიმაში რომ მოვყევით, ალბათ მაშინ გაცივდით...

— როდის?! — შეავლო თვალი შოფერს.

— ვენახების დათვალიერებაზე რომ ვიყავით გურჯაანში!

— რა ვიცი, რა ვიცი. — დაეღმიჭა სახე გივის და სავარძელში გასწორდა, ამოიკვნესა: — მე კი მომკლა და...

— არ უნდა წამოვსულიყავით! — დაასკვნა შოფერმა.

გივის გაეღიმა.

— საით წავიდეთ? — იკითხა ახლა შოფერმა და სვლა შეანელა.

— შინისაკენ! — დაიხედა საათზე გივიმ, — სამმართველოში მისვლის თავი არა მაქვს, უნდა წამოვწვე.

— გვიანაცაა! — მოღრიჯა საჭე შოფერმა და მანქანა ისევ მიუშვა.

დილით გივიმ ჩვეულებისამებრ დააპირა წამოდგომა, მაგრამ მიყუჩებული ტკივილი ისევ აეშალა, წელში სწვდა, გაუკავა და სული შეუკრა.

— წასვლას ხომ არ აპირებ? — შეიცხადა ცოლმა, — ერთი დღე მოითმინე, ხვალ შაბათია... ამ სამ დღეში გამოშუშდები...

— სად უნდა წავიდე! — იყვირა გივიმ, — ვერ ვდგები. — სასთუმალს მინებდა, ოხვრა და კვნესა აღმოხდა.

ოთახში ვაჟიშვილმა შემოიხედა. „ისევ სტკივა?!“ — იკითხა გაოცებულმა და კვლავ კარი გაიხურა.

ანაზდად ტელეფონმა დაიწკრიალა, პირველი მოადგილე, ბატონი მიშა იყო, რაშია საქმე, როგორ ხარო. სამინისტროში რომ ვიყავით წასასვლელი, რა ვქნათო. გუშინდელი დათვალიერების ოქმიც ჩასაბარებელიაო. გივი ნერვიულად პასუხობდა, გაძელით უჩემოთო! მერე შოფერი გავიდა და ძილის ფოსტა მოიტანა. უხმოდ გადაათვალიერა წერილები, ერთი მათგანით დაინტერესდა, სასწრაფოდ წაახია თავი, გუმანს არ უღალატნია, როსტოვის ქარხნიდან სასიხარულო ამბავს იტყობინებოდნენ. ტელეფონისაკენ გადმობრუნება დაუპირა, მაგრამ ტკივილი ისევ ეცა წელში, განზრახვა გადააფიქრებია, შუბლზე გამოყონილი ოფლი მოიწმინდა და შოფერს მიაპყრო თვალი:

— მოდი, მიშას დაურეკე...

— წინადადება დამთავრებულიც არ ჰქონდა, ტელეფონი აწკრიალდა, მთავარი ინჟინერი იყო. — როსტოვიდან წერილი მოვიდა! — ჩასძახა გივიმ ყურმილში, — ჩვენს შეკვეთაზე თანახმა არიან!

მთავარი ინჟინერი ჯერ დაიბნა, მერე მიხვდა რა შეკვეთაზედაც იყო საუბარი და ყურმილში აღფრთოვანებული ხმა გაისმა: მაშ სასწრაფოდ კაცი უნდა გავაგზავნოთ.

— აუცილებლად, შენ თვითონ წადი! — ხელი კედელს მიარტყა გივიმ, — დღესვე გაიფორმე მივლინება! — ერთხანს საქმიანად საუბრობდნენ, მთავარ ინჟინერს ისიც გადააგიწყდა, ეკითხა, როგორა ხარო. საუბარს რომ მორჩნენ, გივი შოფერს მიუბრუნდა:

— შენ წადი, სამმართველოში იყავი, თუ დამჭირდები, დაგირეკავ!

ოთახში ცოლი შემოვიდა და ხონჩით საუზმე შემოიტანა.

— უჰ, რა ძნელი ყოფილა ლოგინში წოლა! — აღმოხდა გივის და ცოლს მიაპყრო თვალი: — სამსახურში არ მიდიხარ?

— როგორ წავალ, — დადგა ხონჩა სკამზე. — უკვე დავრეკე.

— რა მოისვენებს ლოგინში?! — ამოიოხრა ისევ გივიმ და წელის წამოწევა სცადა.

უეცრად, შემოსასვლელ ჰოლიდან ელექტროზარის ხმა გაისმა. მომაკითხეს! — გაუელვა გივის და ბალიშზე მიდო თავი, სახემოღრუბლული გაილურსა. ცოლმა კარს მიაშურა, მალე დერეფნიდან ნაცნობი ხმა გაისმა: სად არის, რა მოუვიდაო, — კითხულობდა ბავშვობის მეგობარი ნოდარი, — სამსახურში მივაკითხე, მითხრეს, წევსო, გავოცდი, გივი და ლოგინი?! გივის გაეღიმა, ლოგინში უფრო მოხერხებულად გაიშოტა და მეგობრის მოლოდინში კარს მოუთმენლად შეეჩერდა.

— სიმულიანტს გაუმარჯოს! — შესძახა შემოსვლისას ნოდარმა და ხელი შემართა, რაღაც ქაღალდი შეაფრიალა.

შეცბუნებულმა გივიმ აქეთიქით მიმოიხედა, ისე, თითქოს შეეშინდაო, ხომ არავინ გაიგონა ეს უადგილო ხუმრობა. წელზე წაივლო ხელები.

— რა დროს რადიკულიტია, — მიუახლოვდა მეგობარი. და ახლა ქაღალდი ცხვირწინ წამოუფრიალა, მერე სკამზე ჩამოჯდა და გივის მეუღლეს შესცინა:

— თუ გამოიცნობთ, რისი ბილეთები მოგიტანეთ?

— ბილეთები? — აღმოხდა გივის, თვალი ჭერს მიაპყრო, გაეღიმა, — ახლა სწორედ მაგის დარდი მაქვს!

— რა ბილეთებია? — დაინტერესდა ცოლი და ბილეთებს მისწვდა.

— მსოფლიო შემსრულებელი ვიოლინოზე, რაკოვსკი! — თქვა ნოდარმა და ხელები ისე შეათამაშა თითქოს ვიოლინოზე უკრავსო.

გივი ერთხანს გაოცებული შესცქეროდა მეგობარს.

— ჩამოვიდა?! — იკითხა მერე.

— ჩამოვიდა და ხვალ მართავს პირველ კონცერტს! — ნოდარი ფეხზე წამოდგა, ბილეთები გივის ცოლს გაუწოდა: — ხომ გპირდებოდით, ძლივს ვიშოვნე, თანაც ოთხი!!

— რად გინდოდა, მე ვერ წამოვალ და...

— რას ამბობ?! — შეცბუნდა ნოდარი, ჯერ გივის მიაპყრო თვალი, მერე ცოლს: — — მეორედ ვინ იცის, როდის ჩამოვა.

— წელი სტკივა, ვერ ინძრევა! — თქვა ცოლმა, ანაზდად ტელეფონმა დაიწკრიალა და ყურმილი აიღო, ვინ გნებავთო, და გივის მიაწოდა. — შენი მდივანია.

გივიმ ყურმილი ჩამოართვა და ერთხანს უსმენდა, სამინისტროდან დარეკეს, შტაბის თათბირიაო და მმართველი აუცილებლად უნდა მოვიდესო, გივი უცბათ აენთო:

— არ გამიგონია ყოველდღე თათბირი! — მერე ხმას დაუწია: — მიშა წავიდეს. — მაგრამ მდივანმა რომ უთხრა, მიშა რაიკომში გამოიძახესო, გივიმ ისევ იყვირა: — აბა, რა ვქნა, ერთ დღეს უჩემოდ ითათბირონ!

— ასეა, ძმაო, — დაიწყო ნოდარმა, გივიმ ყურმილი რომ დადო, — შენ თათბირები, ზვრების, ყანების, ტექნიკის და სარწყავი სისტემების დათვალიერება არ გელევა: ერთ დღეს დასავლეთში ხარ, მეორე დღეს აღმოსავლეთში, სამხრეთში, ჩრდილოეთში... ეს დრო კი გარბის, ვბერდებით...

გივიმ ხელი ჩაიქნია, მეგობარი კი წყნარად განაგრძობდა:

— ამიტომაც არ გავხდი წარმოების ხელმძღვანელი, ყოველგვარი უფროსობა...

— რა შუაშია უფროსობა? — შეაწყვეტინა გივიმ, — ვიოლაცამ ხომ უნდა მიხედოს საქმეს. გუშინ სამთო ტრაქტორის გამოცდას დავესწარი, უკეთესს ვერ ინატრებს მეურნე კაცი...

— იცი რა გითხრა, — გაშალა მსახიობივით ხელები მეგობარმა, — ქართველებს ლაბა და ნიკორა ხარები ჰყავდათ და შექმნეს „გუთნის დედა“, „ურმული“... მსოფლიო სიმღერების საგანძურშია შეტანილი, რას შექმნი ამ შენს ტრაქტორზე?!

— რას ამბობ! — შესძახა გივიმ, — შენი რომანტიკით შორს ვერ წახვალ, საცაა ოცდამეერთე საუკუნე მოგვიკაკუნებს, ფიზიკის, ელექტრონიკის საუკუნე... რით შეხვდები?! ლაბათი და ნიკორათი?! — ჩაიცინა და დასძინა: — დავამაგრებ მაგნიტოფონს ტრაქტორზე და რასაც მინდა, იმას მოვისმენ. ახალი, თანამედროვე სიმღერების შექმნაც შეიძლება ელექტრო-გამომთვლელი მანქანებით...

— ერიჰა! — აღმოხდა ნოდარს და ოთახში შემობრუნებულ გივის ცოლს შეაჩერდა.

— რა მოხდა? — იკითხა მან ღიმილით.

— ჰო, ჰო! — დასძინა გივიმ, — არანაკლებ სიმღერას და მუსიკას, შენ არ გინახავს რა რთულ პროცესებს ასრულებენ ელექტრული მანქანები, რობოტები ადამიანებს ეჯიბრებიან!

— გადამრევს ეს კაცი! — იყვირა ნოდარმა, — ძველი მუსიკოსი მაინც არ იყო, დაგავიწყდა შენი ვიოლინო?!

— ვიოლინო?! — გაეღიმა ცოლს, — ხუთი წელია, თვალით აღარ უნახავს, სად სცალია ვიოლინოსათვის!

— შოსტაკოვიჩი, კონცერტი ვიოლინოსათვის, შეასრულებს მეოთხე კურსის მოწინავე სტუდენტი გივი ყიფშიძე! — ცოლ-ქმარს თავი დაუკრა და კონფერანსიესავით გამოიჭიმა. მერე ხელები შემართა, ვითომ ვიოლინოს უკრავდა, გივი გამოჯავრა, და გადაგავიწყდა, გადაგვავიწყდაო? ჩაეკითხა.

— ყველაფერს თავისი დასასრული აქვს! — ჩაქნია ხელი მომღიმარმა გივიმ.

— უცნაური ხალხი ვართ, — ჩაერია ცოლი, — საქმეს ვიცით გადაყოლა, ერთი უკი-

დურესობიდან მეორეში ვვარდებით ხოლმე, ყველაფერი გვავიწყდება...

— რა უყავი ვიოლინო, გაასაჩუქრე?! — იკითხა დამცინავად ნოდარმა, — შვილისათვის მაინც გესწავლებინა...

— ვინ წაეკარა! — გაეცინა ცოლს, — ელექტროგიტარა იყიდა, პოპმუზიკითაა გატაცებული, ახლა ეს დისკოთეკა...

— ეე, რა დრო იყო... გახსოვს, პირველი ვიოლინო რომ იყავი ინსტიტუტის ორკესტრში... მე კი, თქვენი მონამორჩილი კონფერანსიე! არც ისე ცუდად გამოდიოდა, რას იტყვი, მზია?

— როდინდელ ამბებს იხსენებ?! — შემართა ხელი გივიმ და ხმაში შეეტყო, ძველის გახსენებამ გული აუმღვრია.

— მართლაც კარგები იყავით! — დაეთანხმა მზია.

— ვიყავით და ვართ კიდეც! — მოხვია ხელი ნოდარმა, — მხოლოდ ესაა, ცოტა შენი ქმარი...

— ნეტაი შენ! — აღმოხდა გივის.

— გავიქეცი, მართლა უსაქმური ხომ არ გგონივარ, უამრავ ადგილას ვარ მისასვლელი. მაგრად იყავი! — ჩაუკრა თვალი გივის და კარისკენ გაემართა. — ხვალ ადრიანად გამოგივლით, ჩემი მანქანით წავიდეთ.

ნოდარი რომ წავიდა, გივის რაღაც სენტიმენტალური განწყობილება დაეუფლა, განვლილ ცხოვრებას თვალი გადაავლო, ღამე აღარ დასძინებია: ჯერ იყო და ბავშვობა გაახსენდა, ვიოლინოთი ხელში მასწავლებელთან რომ დადიოდა, არც ეზარებოდა, უყვარდა ვიოლინო და გატაცებით მეცადინეობდა. ტანი მალე აიყარა, მეშვიდე კლასიდან თავის ამხანაგებს უკვე ზემოდან დასცქეროდა. იდგა ხოლმე ეს მაღალი, აწოწილი ბიჭი და საათობით უკრავდა... მათემატიკა, ტექნიკური საგნებიც ძალიან უყვარდა...

კონცერტზე მთელი კლასი მოვიდა... — გაეღიმა გივის, მკრთალად განათებულ ჭერს შეაჩერდა, გოგოებსაც და ბიჭებსაც ყვავილები ეჭირათ. ჩემი პირველი კონცერტი იყო, როგორ ვღელავდი...

სკოლა და მუსიკალური სასწავლებელი ერთდროულად დაამთავრა, სწავლა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში განაგრძო, არც არავის გაჰკვირვებია, გივის მამა ინჟინერი იყო და შვილიც თავის კვალზე წაიყვანა. ინსტიტუტში დაიწყო გივის მეორე ცხოვრება, ის ორკესტრში მიიწვიეს... ქუხდა მაშინ მათი ორკესტრი.

მაინც, რა დიდი წარმატებები მქონდა! როგორ დავივიწყე ჩემი გატაცება, ჩემი ჰობი.

ინსტიტუტი რომ დაამთავრა, გაერთიანებაში დაიწყო ინჟინრად მუშაობა, ერთხანს კიდევ უკრავდა ხან ერთ ორკესტრში, ხანაც მეორეში.

მაგრამ სამსახურში მალე დააწინაურეს, საზრიანი და ჭკვიანი ინჟინერი იყო, ენაც უჭრიდა... ვიოლინო თანდათან დავიწყებას მიეცა, ათასში ერთხელ თუ აიღებდა, ლავიწზე დაიდებდა, ღაწვით სათუთად მიესიყვარულებოდა და ხემს გაუსვამდა. მაგრამ უმალ თავს ანებებდა, გრძნობდა, ნელ-ნელა იკარგებოდა ადრინდელი შნო და ლაზათი.

მერე დაოჯახდა, ბიჭი შეეძინათ, გია დაარქვეს. ამასობაში მმართველის მოადგილე გახდა და ვიოლინოსათვის კი არა და, შინ მოსასვლელადაც აღარ ეცალა. უპატრონოდ მიტოვებული ვიოლინო ხან მაგიდაზე იდო, ხან კარადაზე... ერთხანს კედელზედაც ეკიდა, რამდენჯერმე პატარა ბიჭსაც ჩაუვარდა ხელში...

რა მექნა, ავიტანე სხვენში და ძველ, მოჩუქურთმებულ ზანდუკში ჩავკეტე. — გივიმ თვალი ჭერს გაუშტერა, იქით, საითაც ზანდუკი ეგულებოდა. — კონცერტებს?! რაღა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებით ვესწრებოდი, მაგრამ მხოლოდ დასაწყისში, მერე და მერე, აბა, კონცერტებისათვის ვიღას ეცალა. ნოდარის აყოლა რას მარგია, თავს არაფრით იწუხებს. მაინც როგორ შეინარჩუნა ერთფეროვნება, ცხოვრების ერთი რიტმი და ნირი?!

დილით დიდხანს ეძინა, მერე მზია მოვიდა და ისევ დაუზილა წელი... მთელი დღე ცუდ ხასიათზე იყო, რაღაც გამოუცნობის მოლოდინში ღელავდა, ბორგავდა და ბრაზობდა, რამდენიმეჯერ წამოდგა კიდეც, ოთახში გაიარ-გამოიარა. დრო ნელა, ზლაზვნით გადიოდა, საღამო რომ მოახლოვდა, უფრო მეტად აფორიაქდა, ცდილობდა, არ შეემჩნიათ, მაგრამ გულ-ბოყვში ყველაფერი უდუღდა, ყელში რაღაც აწვებოდა, ახრჩობდა, შემოჯარულ ფიქრებს ვერ იშორებდა, ათასი წვრილმანი ახსენდებოდა: როგორ ჩაეშალათ ერთხელ კონცერტი, როგორ წავიდნენ პირველად საზღვარგარეთ, როგორ ჩაატარეს კონცერტი ომსკში, პრაქტიკაზე რომ იყვნენ. მერე ისიც გაახსენდა, ერთი გოგო რომ მოსწონდა, ერთად უკრავდნენ კვარტეტში. ლიკამ მოსკოვში, კონსერვატორიაში, განაგრძო სწავლა, მერე გაზეთიდან გაიგო, მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსის ლაურეატი გახდა...

ექვს საათზე ნოდარი მოვიდა, შავ კოსტუმში გამოწყობილი, ყელზე ბაბთა ეკეთა, თან ცოლი ახლდა, ისიც საკონცერტოდ ჩაცმულ-გალამაზებული.

— შენ ისევ წევხარ?! — შეჰყვირა შემოსვლისას და ხელები გაშალა, — გადამრევს ეს კაცი. — ცოლს მიუბრუნდა: — შენ, შენ რა, არ მოდიხარ?!

— მე მზად ვარ, თუკი გივი შეძლებს...

— რას ჰქვია, ვერ შეძლებს! — შეიცხადა ნოდარმა, — მხარზე გავიდებ და წავიყვან, ტანსაცმელი მოუტანე!

— არა, ძმაო, — გაინაზა გივი, გულში კი ეამა მეგობრის ეს თავდადება, — იქ რომ ვინმე შემხვდეს, რას იტყვიან, სამსახურში არ დადის და კონცერტებზე კი დაბრძანდებაო.

— შენ სულ გადარეულხარ! — ჩაიქნია ხელი ნოდარმა, — მტკიოდა და აღარ მტკივა-თქო. ცხოვრებაში არაფერი არ უნდა მოიკლო, მითუმეტეს, რაც სულით გწადია... იცით დღეს რას მოვისმენთ? ეს ხომ მეოცე საუკუნის პაგანინია!

კონცერტის დაწყებას ათიოდე წუთი აკლდა, პარტერში რომ შევიდნენ და მეხუთე რიგს მიაშურეს. გივი მოზომილად და მძიმედ თავდახრილი მიაბიჯებდა, ცდილობდა, არავის შეემჩნია, რაღაც რომ სტკიოდა, წინ ნოდარი მიუძღოდა, თვალებს აქეთ-იქეთ აცეცებდა, ნაცნობ-მეგობრების სალამი არ გამომეპაროსო.

დასხდნენ, გივიმ, ის იყო შვებით ამოისუნთქა, რომ ნოდარი ვიღაცას მიესალმა, მეგობარი კომპოზიტორი იყო, არაერთხელ დაუკრავს გივის მისი ნაწარმოები, ხელი ღიმილით გააქნია — სადა ხარ, როგორ ხარო. გივიმაც დარცხვენილად, უნდილად გაუღიმა. უცბად ლიკას მოჰკრა თვალი, მეორე რიგში იჯდა და ვიღაც ქალს ესაუბრებოდა, გული ოცი წლის ჭაბუკივით აუძგერდა... კიდევ კარგი, შუქი ჩაქრა, დარბაზი გაინაბა, ფარდა რომ გაახსნეს, მაყურებელი ისევ გამოცოცხლდა და ტაშმა იგრიალა. კონფერანსიემ ხელები გაშალა, საგასტროლო კონცერტის დაწყება სადღესასწაულო იერით გამოაცხადა და მუსიკოს-შემსრულებლის ტიტულებს მოჰყვა, მერე ტაშის გრიალში რაკოვსკიც გამოჩნდა.

გივი თანდათან დაიპყრო საკონცერტო განწყობილებამ, ნეტარებით მიესვენა სკამის საზურგეს და გაირინდა, თვალწინ ხან თავისი ჭაბუკობის ორეული ედგა, მაღალი, აწოწილი ბიჭი, ვიოლინოზე თავდავიწყებით რომ უკრავდა და ხანაც ლიკა, მკერდამდე ძლივს რომ სწვდებოდა. რაკოვსკი ვიოლინოს ვირტუოზულად აჟღერებდა და სასიამოვნო სიმფონია ეფინებოდა გასუსულ დარბაზს.

სულ სხვა სამყაროა! — გაუელვა გივის, თვალი გვერდით მჯდომ ცოლს შეავლო და კვლავ სცენას გახედა. რაკოვსკი მთელი არსებით ჩაფლული უკრავდა... მერე წინ გადმოიხარა, ხემი უფრო გაშმაგდა, ნეტარებით მოცულ სახეზე შინაგანმა ემოციამ გადაურბინა და ვიოლინოს ისეთი სასწაულებრივი კვნესა აღმოხდა, რომ გივის გული ჩაეფლითა, მოჯადოებულ დარბაზს გმირვამ გადაურბინა.

სულ სხვა სამყაროა! — გაუელვა ისევ, — კაცი არ უნდა მოსწყდე ამ სამყაროს...

კონცერტი დამთავრდა, ტაშმა იჭუხა და აღტაცებული მაყურებელი ფეხზე წამოიშალა, გივიც წამოდგა, თვითონაც ვერ მიხვდა, ისე წამოხტა... სცენა ყვავილებით და გვირგვინებით აივსო, მომღიმარი რაკოვსკი თავს უკრავდა მსმენელებს და ვიოლინოს მკერდზე იხუტებდა.

შინისაკენ რომ მოდიოდნენ, გზაში ნოდარს ენა არ გაუჩერებია: მსოფლიოაო, იძახოდა, ძალიან მაგარიაო, ჩვენი დროის პაგანინიაო... გივი ისე იყო აფორიაქებული, ხმას ვერ იღებდა, მეგობრის ლაყბობა აღიზიანებდა, ახლა თავის თავთან დარჩენა, განმარტოება ყველაფერს ერჩია. მანქანა სახლს რომ მიადგა, ნოდარი დაფაცურდა: კარი გამოაღო, აგაცილებო. მაგრამ გივიმ თავაზიანად მოიშორა, წადი, აღარ შეგაწუხებ, უკეთ ვარო.

— ასე იცის მუსიკამ! — შეჰყვირა შეცბუნებულმა ნოდარმა, — ყოველგვარ ტკივილს დაგიამებს. — ცოლ-ქმარს ხელი ჩამოართვა, გამოეთხოვა და მანქანაში ჩაჯდა, მერე სარკმლიდან თოვი და გამოსჭყო. — ხვალ გამოგელიან! — დაიძახა და მანქანა დაძრა.

— შენ ირაბნენ! — წყნარად მოიშორა ცოლის ხელი გიგამ, — ლოგინი გაშალე, მეც ხელ-ნელა ამოვალ.

ცოლი უხმოდ გაშორდა და კიბის საფეხურები აირბინა, დერეფნის კარს რომ მიადგა, უკან მოიხედა, გიგი ნელა ადგამდა ფეხს საფეხურიდან საფეხურზე, გაფლიმა და საწოლ ოთახს მიაშურა, საერთო ოთახის კარს რომ ჩაუარა, მაგნეტოფონის ხმა შემოესმა, წუთით შეჩერდა, გიგა თავის საყვარელ „პოპშოლას“ ატრიალებდა. ოთახში შევიდა, ლოგინი სწრაფად გაშალა და დაელოდა, გიგიდან ბოი-ოცი წუთი და ქმარი რომ არ გამოჩნდა, შეფიქრიანებული დერეფანში გამოვიდა, კიბე ჩაათვალიერა, წელი ისევ ხომ არ ასტკივდა და საფეხურზე ჩამოჯდაო, მაგრამ გიგი არსად ჩანდა. საერთო ოთახში შევიდა. შვილის მეგობარ გოგოებეკებს მიეკარით თავი, მაგიდას შემოსხდომოდნენ, მაგნეტოფონს უსმენდნენ და ყავას მიირთმევდნენ.

— მოხვედით, დედა? — გაღიღინა შვილმა.

— მამა არ შემოსულა? — კითხვითვე უპასუხა დედამ და ყმაწვილებს მიესალმა.

— არა! — გააქნია თავი გიამ.

— აბა, სად წავიდა?! — გაოცება დედა და ახლა მეორე ოთახს მიაშურა, იქიდან კვლავ დერეფანში გავიდა და კიბეს ერთხელ კიდევ ჩააყოლა თვალი.

გიგი არსად ჩანდა. კვლავ საწოლ ოთახში შევიდა, იქნებ მომასწრო და წამოწვაო, ლოგინი ხელუხლებელი დახვდა, გაოცებული ისევ საერთო ოთახში შებრუნდა და შვილს შესძახა:

— ჩაიობნენე, ნახე, გარეთ ხომ არ გავიდა!

გია ის იყო შეცბუნებული წამოსტა ფეხზე, რომ საგულური გადატრიალდა და კარი გაიღო. ოთახში გიგი შემოვიდა, ახმახი, ბეჭებში ოდნავ მოხრილი, შემოვიდა და დაფუძქსული ბავშვივით, დარცხეული იქვე დადგა. ყველამ გაოცებულმა მიაპყრო თვალი. გიგი ილიმებოდა, მაგი პიჯაკი გულმკერდიდან მოყოლებული ჩამომცვენილი ჰქონდა ხელში კი ვიოლინო იქჭირა და უხერხულად ატრიალებდა.

სამხედრო მეგობრების მოგონებები

ავტოკატastროფა

გიორგი ჩარკვიანი

ინონი საზოგადო მოღვაწეა და მეცნიერის დაეთი ჩხიკვიშვილის მემუარებში („ბერის ლოგბილთან ერთ“, თბილისი, 1984.) აღწერილი ეპოქის, მოვლენების, საპატიო ხალხის კოლექტიური განწყობის, რწმენისა და სულიკვეთების მასშტაბარობა სამხრეთელის მაცარად გამოკვეთილი ინდივიდულობა აკვსებს. შეიძლება ითქვას, რომ ავტორის შუბდფლება მის მიერ უშუალოდ განცდილსა და გააზრებულ სინამდვილეზე, ავტორის ეოცსლად წარმოდგენილი პროოგენება თავისთავად არის „ეპოქის ძეგრფასი დოკუმენტი“.

პოეტი-აკადემიკოსი ოროკა ინ აბაშიძე დაეთ ჩხიკვიშვილს მემუარებთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ისინი „ომის მონაწილეთა ჩვეულებრივს, ზოგჯერ ზოგადსა და შშრალ მოგონებებს კი არ გვანან, არამედ უფრო მხატვრულ ნაწარმოებებს, ნოველებს, მოთხრობებსა და ამბებს“ უფრო მეტად ეზიდავენ მეკობეკების ცხოველ ყურადღებას“.

დაეთი ჩხიკვიშვილის მემუარებში ისტორიული სიმართლისა, მასშტაბური, ეროვნული, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მოვლენების გვეკონდინ ამბარეთ ნაწარმოებებად ეგვსახება ყველა ზეარილმანის, ყველა ცალკეული პიროვნების ცხოვრების ასახვა, ვიხადან ისინი ერთობლივად გამიზეული ეროვნული ავტორი მაინც ფაბეულს, მოქმედების, მოვლენათა მოტივებს, მსოფლმხედველობის, ადამიანთა ბუნების ორმა და ერთფროოვნად ფაქიზი ანალიზისკენ.

დაეთი ჩხიკვიშვილმა თავისი მემუარები ნოველების სახით წარმოგვიდგინა. ამ ნოველებს ერთი საფუძველი აქვთ, ერთი ეპოქა, ერთი ზოგადი თემა, ერთი ზოგადი იდეა, ძირითადად ერთი გარემოცვა აერთიანებთ, თუმცა პოეტიკის თვალსაზრისით, თითოეული მათგანი დამოუკიდებელი მხატვრული ნაწარმოები, დასრულებული, კომპოზიციურად შეკრული მხატვრული სიტყვაა. არიუელი ჟანრის მოცულობამ, მისმა განსაზღვრულმა სიპაკრარავემ მოთხრობასა და რომანთან შედარებით, ალბათ, წინასწარ განაპირობა ის გარემოცა, რომ ავტორი შესაბრწეველად უკონფლიქტო არა მარტო მოქმედ პირთა რაოდენობის სიუჟეტური პოლიფონიის, ჩართული ეპიზოდებისა თუ ლირიკული წინასვლების მიმართ, არამედ სიტყვების, ენის გამომსახველობითი საშუალებების მიმართაც. მოეხედავდ იმისა, რომ ნოველებში, როგორც წესი, მხატვრული ნაწარმოების ყველა ძირითადი ელემენტი იყო და არა იყო-რა, იყო მეფე. დაეფალვეთო, როგორც მეელი, და ძალოვანნი, როგორც ლომი. მისი სოციოტიკ მუდამ საფრთხეში ვარდებოდა, ვინაიდან სისხლიანი ომები გარგაბდა თავს, ხოლო მეფე ბრძოლის შორიგან ხელმძღვანელობას უკადრისობდა. ცხენსა რაზს გაძღილიყი მბრის ლაშქარში შეეჩეკეთ და დაეეფოფილიყო ჩეხავდა და მომხეფრებს. მეფე იბრძოდა, რომ დეშმანს მისი სამშობელი არ გაეწარაგებინა, ეეზო არ ავრეხა, სოფლები არ ავოსრებინა. ეს ფრანგული ეპაშნიკეთოდა, მაგ შენება უკარგდ. და მან დაარსა ქალაქი მდინარე მტკვრის ნაპირებზე, რადგანაც ამ მდელარე გოგირდიანი წყალი მიწიდან მაგრეკნებად სცემდა.

მას აქეთ ათას ხუთასმა წელმა განვლო, და ძალიან დიდხანს ეს ქალაქი მოეფენებზე და ქუჩებზე სისხლით წერდა თავის გმირულ და მძიმე თავგადასავალსა. ისტორიის გამანადგურებელი ქარტეხილები მის მკერდზე მთელი ძალით მძვინვარებენენ, მაგრამ მრავალლიცმოვანი და სხვადასხვა რეკლის მქონე მტრის ველის გასახეთქად დანგრეული ქალაქი მკვრეთეთი აღსდგებოდა ხოლმე, უფრო ღრმად ჩაიდგამდა ფესვებს.

შემდეგ, როცა სასოფინი შენობის თავზე ნოიკეი ღრუბლ ამოვალდეს, ამ საათმა ვანსხვავებად, ასალი ფრთის ჩვენება დაიწყო. ქალაქი კი იმყამად დაუსახლებელ მინდვრებზე ვაიშალა და მოეხის ფერფლებში დაიბიაკურთა. რაც შეეხება მტკვარს, იგი გაზაფხულზე ფაფუკ ბუნებრივ ფერფლებს ჩეხავდა და მოიმფერებს. მუხე ამბობდა, რომ დეშმანს მისი სამშობელი არ გაეწარაგებინა, ეზო არ ავრეხა, სოფლები არ ავოსრებინა. მეფეს ომი არაფრად ეგანშიეეპოდა, მას შენება უკვარდა. და მან დაარსა ქალაქი მდინარე მტკვრის ნაპირებზე, რადგანაც ამ მდელარე გოგირდიანი წყალი მიწიდან მაგრეკნებად სცემდა.

...

...

თვითმფრინავიდან სასწრაფოდ გამოძორმა, რადგანაც იგი წუთი წუთზე აფეთქებდობდა. მე კი ნახეგრად უგრძნობობად ვეგდე. ამას ისიც ემატებოდა, რომ ჭერმანელთა ერთი თვითმფრინავი თავზე დაგვტრიალებდა, თან ტყვიებს გვიშენდა.

მახსოვს, როგორ მომგარდნენ მეთაური ნოვაოფი და შტურმანი პეტუხოვი, თვითმფრინავიდან გამოთრევა დამიწყეს...

როგორც იქნა თვითმფრინავიდან გადმომპარიეს, ზურგზე მომიყიდეს და ტყვეში შემოყვანეს. რამდენნიმე წუთის შემდეგ გაისმა შემშრალი აფეთქება, ეს ჩვენი თვითმფრინავი აფეთქა ჭერმანელმა მფრინველმა.

ასეთი ლაკონური, შეკუმშული სტილი თხრობისა კარგად ეხამება მოვლენათა ინტენსიფიკას, მკაცრად განსაზღვრულსა და გამოკვეთილ ფაბულას. ნოველაში „თილისმა“, სიიაბისაკ ჩქენ ეს მაგალითი ავიღეთ, სულ რაღაც ოცდაორ გვერდზე კალეიდოსკოპური სისწრაფით ეგაკეცება ერთიმეორეს სისტემური ეპიზოდები, მოვლენები, მოქმედებები. ავტორი სულ რამდენიმე შტრიხით გადმოგვცემს მისი და ნინოს შეხვედრის ეპიზოდს ომის დაწყების წინა დღეს, პირველი საბრძოლო დავალების, მტრის პირველი ჩამოგდებული ოფიცერ-ფაშისტ ბარონ ეგაკეცებ ეპიზოდ ეგაკეცებ ეპიზოდ ეგაკეცებ ეპიზოდ

ცეცხლის საჩხრეკი

მიხეილ ზოშჩენკო

მოთხრობა

სასეირო შემთხვევა მოხდა წინა ზამთარს ერთ დაწესებულებაში.

უნდა ითქვას, რომ ამ დაწესებულებას ცალკე სახლი ეჭირა. სახლი ძველებური იყო, პატარა, მარტივი ღუმელებით რომ თბება, ისეთი.

სპეციალური კაცი — ცეცხლფარეში უვლიდა ღუმელებს.

ცეცხლფარეში ცხვირჩამოშვებული დადიოდა სართულიდან სართულზე, ხელში ცეცხლის საჩხრეკი ეჭირა და თავის მოვალეობას ასრულებდა: შეუკეთებდა შეშას, მიჩხრეკ-მოჩხრეკდა ღადარს, მიხურავდა კარს და ასე შემდეგ.

თანამედროვე ტექნიკის, ესე იგი, წყლითა და ორთქლით გათბობის კვალობაზე, ეს, რა თქმა უნდა, სათაკილო სურათია, ჩვენი წინაპრების ბარბაროსულ ყოფაცხოვრებას რომ გვიხატავს, ისეთი.

წელს, თებერვალში, კიბეზე რომ ადიოდა, ცეცხლფარეშმა საჩხრეკით ოდნავ დაუწვა ხელი მოსამსახურე ქალიშვილს ნადია რ-ს. გოგონა ნაწილობრივ თვითონ იყო დამნაშავე. ქალი ისე თავქუდმოგლეჯილი ჩამორბოდა კიბეზე, რომ ცეცხლფარეშს დაეჯახა. დაჯახებისას იმ უბედურმა ხელი ჰკრა კაცს და საჩხრეკს წამოედო, ხოლო საჩხრეკი მთლად გავარვარებული თუ არა, გვარიანად გახურებული კი გახლდათ.

ქალიშვილმა ვაიო დაიძახა და წივილ-კივილი მორთო. ცეცხლფარეშიც შეშინდა. საბოლოო ანგარიშით კი ფუსფუსა გოგონას ხელისგული და თითები ოდნავ ჰქონდა დამწვარი.

რა თქმა უნდა, ეს წვრილმანი შემთხვევაა, მხატვრულ ლიტერატურაში მოხვედრას რომ არ იმსახურებს ისეთი, მაგრამ ამ ამბავს იმდაგვარი შედეგი მოჰყვა, ეს პატარა მოთხრობა დავწერეთ.

დაწესებულების დირექტორმა გამოიძახა ცეცხლფარეში და სასტიკი საყვედური გამოუცხადა: შენც მყავხარ რაღაო, უთხრა, იმ საჩხრეკით რომ დადიხარ წინ და უკან და ჩემი მოსამსახურეები მწყობრიდან გამოგყავს, თვალებს აქეთ-იქით ნუ კი აცეცებ, წინ გაიხედეო. შეწუხებულმა ცეცხლფარეშმა ამოიოხრა: მე ექვს ღუმელზე სულ ერთი საჩხრეკი მაქვს. ჰოდა, დავდივარ ამ საჩხრეკით სართულიდან სართულზე, ხან ალთას, ხან ბალთას. ასეთ ვითარებაში კი მოსამსახურეთა ხელშეუხებლობის დაცვას ვერ ვახერხებ. მომეცით ექვს ღუმელზე კიდევ ხუთი საჩხრეკი და პასუხიც მერე მომთხოვეთო.

ყოველ ღუმელზე რომ ცეცხლის საჩხრეკი ჰქონოდათ, ეს უბრალო აზრი დაწესებულების დირექტორს მოეწონა. ჩვენი უფროსი არც ჩინოვნიკი იყო და არც ბიუროკრატი, ამიტომ დაუყოვნებლივ უკარნახა საწყობში გასაგზავნი მოთხოვნა. ბოლთას სცემდა ოთახში და უკარნახებდა:

„ვინაიდან ჩვენს დაწესებულებას ექვსი ღუმელი აქვს, ხოლო ცეცხლის საჩხრეკი სულ ერთი ცალია შეძენილი, მოსამსახურეებს უბედური შემთხვევებისაგან ვერ ვიცავთ. ამიტომ გთხოვთ, სასწრაფოდ მისცეთ ამ განცხადების მომტანს ხუთი ცეცხლის საჩხ“...

აქ დირექტორს სიტყვა პირში გაეჩხირა, შეწყვიტა კარნახი, კეფა მოიფხანა და მბეჭდავს უთხრა:

— დასწყევლოს ღმერთმა, ვეღარ გამიგია, როგორ უნდა დაიწეროს ხუთი... ცეცხლის საჩხ... თავისთავად ცეცხლის საჩხრეკი მესმის, მაგრამ ხუთი რა ოხრობაა? ხუთი ცეცხლის? ისე გამოდის, თითქოს ხუთი ცეცხლისთვის მოვითხოვდეთ საჩხრეკს.

მემანქანე ქალიშვილმა მხრები აიჩეჩა: საერთოდ ეს სიტყვები პირველად გაგონილი, ყოველ შემთხვევაში, მოსწავლე რომ ვიყავი, მსგავსი არაფერი მაბარებინებია.

დირექტორმა ახლა მდივანი გამოიძახა, დარეხვენილმა კბილები დაკრიჭა და უამბო, რა ხათაბალაშიც იყო ჩავარდნილი.

მდივანი დაუყოვნებლივ შეუდგა ამ სიტყვის ბრუნებას: ვინ? რა? ცეცხლის საჩხრეკი, ვის? რას? ცეცხლის საჩხრეკს... რამდენი უნდა მოვითხოვოთ ცეცხლის საჩხრეკი? უნდა გამოვართვათ ხუთი ცე... და გასცილდა თუ არა სიტყვა ხუთს, მანაც წაიფორხილა: ამ სიტყვის ბრუნება ცეცხლითურთ ენაზე მადგას, მაგრამ ვერ გამიხსენებიაო.

დაჰკითხეს კიდევ ორი მოსამსახურე, მაგრამ ვერც მათ მოჰფინეს ამ საკითხს ნათელი.

მერე მდივანმა თქვა:

— არის გადასარევი ხერხი! მოდით, საწყობში ხუთი მოთხოვნა გავაგზავნოთ. ყოველი მოთხოვნის ტექსტი კი ასე უნდა იყოს შედგენილი: „გთხოვთ, მოგვცეთ ცეცხლის საჩხრეკი“ და საბოლოო ანგარიშით ხუთი გვექნება.

დირექტორმა ეს ხერხი უხერხულად მიიჩნია, საწყობს რომ ხუთი ერთნაირი მოთხოვნა გავუგზავნოთ, საქმისადმი კანცელარიულ მიდგომას დაგვწამებენ; ერთიც ვნახოთ, ისეთი მამაძაღლიც გამოჩნდეს, ამისათვის მასხრად რომ ამიგდოსო. რაკი საქმე აქამდე მივიდა, სჯობს, მეცნიერებათა აკადემიაში დავრეკოთ და ვკითხოთ, როგორ უნდა დაიწეროს ხუთი... ცეცხლის საჩხ...ო.

ის იყო, მდივანს მეცნიერებათა აკადემიაში უნდა დაერეკა, რომ დირექტორმა შეაჩერა, ვაითუ რომელიმე ოხუნჯი მეცნიერი გამოჩნდეს და გაზეთში ფელეტონი გამოაქვეყნოს, დაწესებულების დირექტორი უვიცი ყოფილა, ასეთი სისულელისთ-

---

მტკვრისასა, კლდესა, ციხესა შინა, ეკლესია მეტეხი, ღვთისმშობლისა, გუნბათიანი, დიდ-მშვენიერ ნაშენი, საარქიმინდრიტო. შემუსვრილი აღაშენა 63-ე მეფემან დიმიტრიმ. 92-ე მეფემან ერეკლემ მისცა სპარსთა და არს უქმად“.

* * *

ეს ამბავი კი იმ ხანებში მოხდა, როცა თავადები გენერლის ეპოლეტებს ატარებდნენ და მეტეხის წინ მტკვარში ღუზებზე მდგარ ტივებზე ნადიმი უყვარდათ.

ტივზე კელაპტრები ენთო და აღვირმიშვებულ მხიარულებას მოეცვა ჭაღაროსანი და მელოტნაკრავი მეინახეები. წყალში ცვიოდნენ ჭიქები და აზარფეშები, ხბოსა და ბატკნის ძვლები. ყველა ოხუნჯობდა და იცინოდა.

ტივისკენ მსახური მოცურავდა. ცალი ხელით ჰაერში ეკავა შამფურები ზედ წამოგებული ცვრიანი ხორცით. ტივიდან ვიღაც ბოხი და მფარველური ხმით სახალისებდა.

უცებ მსახურმა დაიღრიალა, გადააგდო შამფურები და წყალზე ხელების გაშმაგებული ცემით ნაპირისკენ გასწია. გენერლები აღშფოთდნენ. ისინი მწვადის იშტაზე იყვნენ მოსული. მაგრამ უეცრად სიმღერა გაიგონეს. სხვა მხარეს გაიხედეს და შიშისაგან სიხსლი გაუცივდათ. წყალში ქალი მიცურავდა და ბავშვს ძუძუს აწოვებდა. მის თეთრ ბეჭებს თმებად ქცეული წყალმცენარეები ეცემოდნენ, თვალები კი მწვანედ ციმციმებდნენ. და რაც მთავარია, მის უკან ოდნავ მოშორებით ხან გამოჩნდებოდა, ხან დაიმალებოდა ორად გაყოფილი დიდი თევზის კუდი.

— დასწყევლოს ღმერთმა, — მეორე დღეს ეუბნებოდნენ ერთმანეთს გენერლები და გასივებულ თავებზე ხელს იკიდებდნენ, — გუშინ ცოტა მეტი ღვინო მოგვივიდა. რა არ მოეჩვენება გატიალებულ მთვრალს.

* * *

...მზე მეტეხის გუმბათს ეცემა და თუნუქის სახურავზე იმსხვრევა. ტაძრის წინ მზის გულზე ზის ბიჭი, ვისაც ჭრელი კოვბოური და ჯინსები აცვია. იგი გასცქერის ავტომობილებით სავსე ქუჩას. მერე წამოდგება, შეხედავს მეტეხს და გაიღიმებს. „რას არ მოიგონებს კაცი, — ფიქრობს ბიჭი, — მზის მცხუნვარების წყალობით“.

აქვე გვერდთ დგას ბრინჯაოს მხედარი მბრძანებლურად აღმართული ხელით. ეს კაცი დაუღალავი იყო, როგორც მგელი, და ძალოვანი, როგორც ლომი.

რუსუდან მკერვალიშვილი

რომ მეუბნებით...

რომ მეუბნებით: — არ მიეახლო,
დაე, დაეცეს, ნუ ხარ კეთილი,
არ შეიბრალო, თუ ვინმე ნახო
ჭრილობებისგან მკერდდაფლეთილი...

როგორ მთავაზობთ ამგვარ არჩევანს,
როგორ გავუძლო ამ გულის ტკივილს,
რომ მე სიცოცხლის გადასარჩენად
არ მივაშველო ეს ჩემი ტივი,

მაშინ მეგზური გული დამგმობდა,
არ იძგერებდა ასე კეთილად,
მითხარი, ღმერთო, რა ცოდვა მქონდა,
ეს რა უგულო გადამეკიდა!

რომ არ შევწუხდე სხვათა ბედითა —
უიღბლობით თუ ავი ამინდით,
ამომაცალეთ გული მკერდიდან
და იმის ნაცვლად რკინა ჩამიდგით.

თუნდ გადამღალოთ შეხლით, ბრძოლებით
და ბალამწარა მასვათ სურვილი,
მე ქვეყნად მხოლოდ მისთვის მოვედი,
სიკეთე ვთესო დაუსრულებლივ.

ვის მეცნიერებათა აკადემიას აწუხებსო. სჯობს, ეს საკითხი ჩვენივე საშუალებებით გადავწყვიტოთ. ამიტომ კარგი იქნებოდა, თუ ერთხელ კიდევ მოვუხმობდით ცეცხლფარეშს და ამ სიტყვებს მისი პირიდან გავიგონებდით. რაც უნდა იყოს, კაცი სულ ღუმელებთან ტრიალებს: ჰოდა, თუ ჩვენ ვერ ჩავწვდით ამ სიტყვების მუღამს, ცეცხლფარეშს უსიკვდილოდ ეცოდინება, როგორ უნდა დაიწეროს ხუთი... ცეცხლის საჩხრ...ო.

გამოიძახეს ცეცხლფარეში. ისეთი მისახვედრი კითხვები დააყარეს, საწყალს იოლად უნდა წარმოეთქვა საჭირო წინადადება, მეცეცხლურს კი ეგონა, ახლაც გამძვრება ტყავიო და ცალმხრივად უპასუხებდა კითხვებზე: სულ ხუთი ცალი მჭირდებაო და მორჩა. თუ ხუთი ცალი გვექნება, უბედურ შემთხვევებს თავიდან ავიცილებთ, თუ არადა, ჯანდაბას, სამართალში მიმეცითო.

დირექტორმა ისევ დაკარგა წონასწორობა და პირდაპირ დაუსვა კითხვა.

— რა გსურს და რას მოითხოვო?

— თვითონ იცითო. — გაიძახოდა მოღუშული ცეცხლფარეში.

ახლა მდივანი იურიდიულ განყოფილებაში გაიქცა და იქიდან ერთი მოსამსახურე კაცი მოიყვანა. ამ კაცს ისე ეხერხებოდა რომელიც გნებავთ ქაღალდის გაფორმება, რომ ყოველგვარი ხათაბალიდან დაიძვრენდა თავს.

მოსამსახურეს აუხსნეს ამოცანა: მოთხოვნის ტექსტი ისე შეადგინე, ხუთი ცეცხლი არ გამოვიდეს და საბოლოო ანგარიშით საწყობში ხუთი საჩხრეკი მოგვცენო.

კაცმა ცოტათი წაღრღნა ფანქარი და შავად შეადგინა ტექსტი:

„დღემდის ჩვენი დაწესებულება, რომელსაც ექვსი ღუმელი აქვს, უზრუნველყოფილი არ იყო ცეცხლის საჩხრეკების საკმაო რაოდენობით. გვქონდა სულ ერთი. ამიტომ გთხოვთ სასწრაფოდ გამოგვიყოთ კიდევ ხუთი იმისათვის, რომ ყოველ ღუმელზე გვქონდეს ცეცხლის საჩხრეკი, ესე იგი, დამოუკიდებელი“.

ის იყო, ეს ქაღალდი საწყობში უნდა გაეგზავნათ, რომ დირექტორთან მბეჭდავი ქალიშვილი გამოცხადდა. გოგონამ თქვა:

— დედაჩემი ოცდაათ წელიწადს მუშაობდა მბეჭდავად. ეს წუთია, დავურეკე და მითხრა: რამდენი გჭირდებათ თქვენ? ხუთიო. რა გჭირდებათ ხუთი? ცეცხლის საჩხრეკიო. მაშასადამე, ხუთი ცეცხლის საჩხრეკი უნდა დაიწეროსო. ცეცხლის საჩხრეკი ცალკეა და ხუთი კიდევ რაოდენობას ნიშნავს, თქვენ რომ გჭირდებათ, იმდენსო.

— აგაშენა ღმერთმაო, — თქვა მდივანმა, — ასეც ვიცოდი, მაგრამ წეღან გონება მქონდა დაბნელებულიო.

ყველაზე სასეირო ის იყო, რომ ქაღალდი უკან დააბრუნეს საწყობის გამგის შემდეგი რეზოლუციით: „ვინაიდან საწყობს ეს იარაღები არ გააჩნია, მთხოვნელს უარი ეთქვას ხუთ ცეცხლის საჩხრეკზე“.

ახლა გაზაფხულია. მალე ზაფხულიც მოვა. ზამთრის დადგომამდე კი ჯერაც დიდი დროა დარჩენილი. ამიტომ გათბობაზე ზრუნვა ჯერჯერობით ნაადრევია. გაზაფხულზე კარგი იქნებოდა, თუ წიგნიერებაზე ვიზრუნებდით, თუნდაც იმასთან დაკავშირებით, რომ მალე საშუალო სკოლაში საგაზაფხულო გამოცდები დაიწყება.

რაც შეეხება „ცეცხლის საჩხრეკს“, ეს მართლაც სახათაბალო სიტყვებია, მარტო მეცნიერებათა აკადემია და ოცდაათი წლის სტაჟის მქონე მბეჭდავი რომ გაიგებენ, ისეთი.

საერთოდ კი, მალე უნდა გადავიდეთ ორთქლით გათბობაზე, თორემ ხალხმა დაივიწყა ეს ძველი სიტყვები, შეშით გათბობასთან რომ იყო დაკავშირებული.

თარგმნა გივი ქაქაბაძემ.

ექსპედიტორი „ყაზბეგი“

ფელიქს დანელია

სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის, მოსკოვის კომიტეტის პარტიულ არქივსა და მოსკოვის ოლქის ცენტრალური არქივის დოკუმენტებში არცთუ იშვიათად გვხვდება პარტიული ზედმეტსახელი „ყაზბეგი“. ვინ იყო „ყაზბეგი“, რა კვალი დატოვა მან სკკპ მოსკოვის ორგანიზაციის ისტორიაში?

ამ პარტიულ სახელს ატარებდა ქართველი მუშა ბოლშევიკი სერგო ივანეს ძე ფილია, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, ძალღონე და უნარი მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას მოახმარა. იგი იყო ლენინური გვარდიის მამაცი მებრძოლი, პროფესიონალი რევოლუციონერი, არაჩვეულებრივი ენერგიისა და ტემპერამენტის მქონე პიროვნება, შესანიშნავი პროპაგანდისტი და გამოცდილი კონსპირატორი.

ქართველი ბოლშევიკი იყო მოსკოვის 1917 წლის ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების აქტიური მონაწილე. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) მოსკოვის კომიტეტისა და მისი აღმასკომის წევრმა — სერგო ფილიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებასა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში.

სერგო ივანეს ძე ფილია დაიბადა 1885 წელს, ოზურგეთის მაზრის სოფელ ნიგოითში, ღარიბი გლეხის ოჯახში.

ლუკმაპურის საძებნელად 17 წლის ჭაბუკმა ბათუმს მიაშურა და 1902 წელს კულაჩინსკის სტამბაში მოეწყო ასოთამწყობის შეგირდად. რევოლუციურად განწყობილი მუშების გავლენით სერგო ფილია მალე აქტიურად ჩაება მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბეჭდავდა და ავრცელებდა პროკლამაციებს, მონაწილეობდა არალეგალური სტამბის შექმნაში. 1904 წლის დამდეგს მისი ინიციატივით მოეწყო გურსკაიას სტამბის მუშათა გაფიცვა, რომელიც მუშების გამარჯვებით დაგვირგვინდა. იმავე წელს შევიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში.

სერგო ფილიას რევოლუციური მოღვაწეობა ყანდარმერიას შეუმჩნეველი არ დარჩა, ამიტომ ბათუმის კომიტეტის რჩევით იგი გადადის თბილისში, აქ უკავშირდება ი. სტალინს, მ. ცხაკაიას, ს. შაუმიანს, ს. ქავთარაძეს, მ. ოკუჯავას, მ. დავიდოვს და მათთან ერთად აქტიურად მონაწილეობს რევოლუციურ, პარტიულ მუშაობაში.

სერგო ფილია 1905 წლის ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების აქტიური მონაწილეა.

1906 წელს მის ბინაზე გაიმართა ბოლშევიკური ორგანიზაციის რაიონული კრება. კრების მეორე დღეს იგი დააპატიმრეს. 4 თვე დაჰყო მან მეტეხის ციხეში, მაგრამ დანაშაულის დამადასტურებელი საბუთების უქონლობის გამო მეფის ხელისუფლება იძულებული გახდა, გაეთავისუფლებინა. სამაგიეროდ, არმიაში გაიწვიეს და პოდოლსკის გუბერნიაში გაგზავნეს 56-ე ქვეით პოლკში, საიდანაც გამოიქცა და 1907 წლის აპრილში თბილისში დაბრუნდა. პარტიის თბილისის კომიტეტი მას ჩხეიძის პასპორტით ბაქოში აგზავნის არალეგალურ სტამბაში სამუშაოდ. სულ მალე სტამბა ჩავარდა და ს. ფილია ისევ დაიპატიმრეს. იგი ბაქოს ციხეში ჩასვეს. პოლიციამ შეძლო მისი ვინაობის დადგენა და, როგორც დეზერტირი, არმიაში უკანვე დაიბრუნა. წელიწადზე მეტი დაყო მან პოლკის ციხეში. 1910 წელს სერგო ფილიამ სამხედრო სამსახური დაამთავრა და თბილისში დაბრუნდა. მალე იგი სამუშაოდ გადავიდა სოხუმში, სადაც კვლავ დაიპატიმრეს. ცოტა ხანში ციხიდან გამოიქცა და არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

1911 წელს სერგო ფილია სოხუმიდან მოსკოვს გაემგზავრა და პარტიული მუშაობა განაგრძო. იგი დაუკავშირდა ცნობილ ბოლშეკივ მბეჭდავებს ა. ბორშჩევსკის, ა. არისოვს და სხვებს. 1912 წელს მათთან ერთად ქართველმა ბოლშევიკმა მოსკოვში შექმნა მბეჭდავთა კავშირი, რომლის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ და გამგეობის წევრად აირჩიეს სერგო ფილია.

მასობრივი მოძრაობის განვითარებასთან, ბოლშევიკური პარტიის რიგების ზრდასთან ერთად დაწინაურდა პროლეტარული აქტივი, გაფართოვდა ორგანიზაციული კავშირები, განმტკიცდა პროპაგანდისტული მუშაობა, გაიზარდა მოთხოვნილება პარტიულ ლიტერატურაზე — წიგნებზე, პროკლამაციებზე, ფურცლებზე. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „რაბოჩაია გაზეტა“ წერდა: „საჭიროა ლიტერატურა. საჭიროა პროფესიონალები... აქტიური ამხანაგები, რომელთაც უნარი შესწევთ და მზად არიან, ბოლომდე უერთგულონ საქმეს, მრავალად არიან, მაგრამ ისინი დღეში 12-13 საათს ქარხანაში მუშობენ, ეს კი მათ ძალასა და ენერგიას მთლიანად ართმევს“ („რაბოჩაია გაზეტა, 1912, 30 აგვისტო, № 9).

მოსკოვის პარტიული ორგანოები სისტემატურად ივსებოდა რევოლუციურ ბრძოლებში გამოწრთობილი შეგნებული მუშებით, რომლებიც თავისუფლად კითხულობდნენ მარქსისტულ ლიტერატურას და კარგად ერკვეოდნენ პარტიული მუშაობის საკითხებში. 1912 წლის მარტში მოსკოვის კომიტეტის აღმასრულებელ კომისიაში აირჩიეს მუშა ბოლშევიკები ა. ს. ბორშჩევსკი, ი. ი. სკაჩკოვი, ვ. გ. შუმკინი და ს.ი. ფილია (სკკპ. მოსკოვის ორგანიზაციის ისტორიის ნარკვევები, წიგნი I, 1883-1917, ნოემბერი, მ., 1979, გვ. 280.).

ცნობილია, რომ იმხანად მოსკოვის კომიტეტის ბიუროს აღმასრულებელი კომისია ერქვა. როგორც ვხედავთ, ქართველი ბოლშევიკი ქ. მოსკოვის ბოლშევიკთა ხელმძღვანელი შტაბის — აღმასრულებელი კომისიის წევრი იყო და ფავის თანამებრძოლებთან ერთად უნარიანად წარმართავდა მის საქმიანობას. ს. ფილია ხშირად გამოდიოდა მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების მუშათა კრებებსა და მიტინგებზე. განუმარტავდა მუშებსა და ჯარისკაცებს პარტიის პროგრამას, მოუწოდებდა შეგნებულ მუშა-მოსამსახურეებსა და ჯარისკაცებს, შესულიყვნენ ბოლშევიკური პარტიის რიგებში. მისი ინიციატივით მოსკოვში ეწყობოდა გაფიცვები, დემონსტრაციები. 1913 წელს ა. ბორშევსკისთან ერთად ს. ფილია ხელმძღვანელობს მბეჭდავთა გაფიცვებს, რისთვისაც ორივეს აპატიმრებენ და ტაგანკის ციხეში ათავსებენ. ს. ფილიას ორი წლის ვადით ასახლებენ პერმის გუბერნიაში. სასჯელის მოხდის შემდეგ მას კვლავ აპატიმრებენ და ეტაპით დასავლეთის ფრონტზე აგზავნიან. ფრონტზე მიმავალი ეშელონიდან იგი ხელიდან უსხლტება სამხედრო ხელისუფალთ და არალეგალურად ჩადის მოსკოვში.

1915-1916 წლებში ქართველი ბოლშევიკი აქტიურ რევოლუციურ მოღვაწეობას ეწევა მოსკოვში, ბაქოსა და ხარკოვში. ბაქოში იგი იმალება ს. შაუმიანთან, მასთან ერთად აწყობს მბეჭდავთა არალეგალურ წრეებს, ხელმძღვანელობს სტამბის მუშაკთა გაფიცვებს. შემდეგ კვლავ მოსკოვს მიემგზავრება.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ს. ფილია აქტიურად მონაწილეობს რსდმპ (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო რაიკომის საქმიანობაში, როგორც მოსკოვის საქალაქო რაიკომისა და მბეჭდავთა კავშირის გამგეობის წევრი. ცნობილ ბოლშევიკებთან მ. ოლმინსკისთან, ა. სოლცთან, ვ. პოდბელსკისთან და ა. უსაგინთან ერთად, იგი ბოლშევიკური გაზეთის „სოციალ-დემოკრატის“ გამოცემის ინიციატორია. ერთი წლის მანძილზე ს. ფილია ამ გაზეთის ექსპედიტორია. აღსანიშნავია, რომ იმ დროისათვის თავისი მნიშვნელობით ეს იყო მთელს ქვეყანაში მეორე ბოლშევიკური გაზეთი „პრავდის“ შემდეგ. მოსკოველი მუშები „სოციალ-დემოკრატს“ თვლიდნენ თავიანთ საკუთარ ქომაგად და ფაბრიკა-ქარხნებში აგროვებდნენ თანხებს მის გამოსაცემად. ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიები ყოველნაირად უშლიდნენ ხელს გაზეთის გავრცელებას. ექსპედიტორთა მოვალეობას შეადგენდა გაზეთების მიტანა სტამბიდან ან ჯიხურებიდან ფაბრიკა-ქარხნებში.

ს. ფილია („ყაზბეგი“) ხიტყვით გამოვიდა 1917 წლის 3-4 აპრილს გამართულ რსდმპ(ბ) მოსკოვის პირველ საერთო საქალაქო კონფერენციაზე, რომელზეც ერთ-ერთ საკითხად განიხილეს მენშევიკებთან გაერთიანება. ს. ფილიამ სხვა ბოლშევიკებთან ერთად მკაცრად გააკრიტიკა მომხსენებლის ვ. ვ. ოსინსკის მიერ შეტანილი მენშევიკებთან გაერთიანების პლატფორმის პროექტი.

„ბოლშევიზმი სულ ერთია გაიმარჯვებს მენშევიზმზე“ — განაცხადა კონფერენციაზე ს. ფილიამ (სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და მოსკოვის კომიტეტის პარტიის ისტორიის ინსტიტუტის პარტიული არქივი (შემდგომ მპა). ფ. 3, აღწ. 1 საქმე 4, ფურც. 30).

საერთო საქალაქო კონფერენციამ უარყო ვ. ვ. ოსინსკის პლატფორმა.

ლენინის აპრილის თეზისების იდეები სწრაფად დაეუფლა რუსეთის რევოლუციურ მასებს და მათი მხურვალე მოწონება და მხარდაჭერა დაიმსახურა. ისევე, როგორც ქვეყნის სხვა ბოლშევიკური ორგანიზაციებისათვის, მოსკოვის პარტიული ორგანიზაციისათვის აპრილის თეზისები იქცა პრაქტიკული მოქმედებების პროგრამად და ხელი შეუწყო მას, თანმიმდევრული ბრძოლა გაეჩაღებინა სოციალისტური რევოლუციის ლენინური კურსის განხორციელებისათვის.

პარტიის უდიდესი ორგანიზაციები თითქმის ორი კვირის მანძილზე განიხილავდნენ აპრილის თეზისებს და იწონებდნენ მათ.

1917 წლის 20 აპრილს გამართულ რსდმპ(ბ) მოსკოვის კომიტეტის სხდომაზე განიხილეს ვ. ი. ლენინის თეზისები.

სხდომაზე ლენინის თეზისების მნიშვნელობაზე ისაუბრეს მოსკოვის კომიტეტის წევრმა გ. გოლენკომ, გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ თანამშრომელმა ა. უსაგინმა, მოსკოვის კომიტეტის სამხედრო ორგანიზაციის წარმომადგენელმა ა. არისოვმა და პარტიის საქალაქო რაიკომის წევრმა, სტამბის ასოთამწყობმა ს. ი. ფილიამ.

საგულისხმოა გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ 1917 წლის 17 აპრილის №33-ში დაბეჭდილი შემდეგი ცნობა:

„რსდმპ (ბ) საქალაქო რაიონული ორგანიზაციის მბეჭდავთა ქვერაიონის რსდმპ (ბ) წევრთა კრებაზე მოისმინეს მოხსენებები ა. ს. ბორშჩევსკისა ქვერაიონის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობისა და „თავისუფლების სესხის“ შესახებ, ს. ი. ფილიასი მუშური პრესის შესახებ.

კრებამ დაადგინა: 1) იმის გამო, რომ მოახლოებულია კონტრრევოლუცია, მოეწყოს მბეჭდავთა საბრძოლო რაზმეული, რომელსაც დაევალება იარაღის ხმარების შესწავლა; 2) „თავისუფლების სესხისათვის“ ხმის მიცემა ჩაითვალოს საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე უდიდეს დანაშაულად და დაევალოს ქვერაიონის ორგანიზაციის წევრებს, მუშათა დეპუტატების საბჭოების დეპუტატებს საბჭოში ხმა მისცენ სესხის წინააღმდეგ, ბოლო ორგანიზაციის ყველა წევრმა ეს შეხედულება სესხზე გაატაროს მასებში; 3) წინადადება მიეცათ

საოცარი ღამთხევება

გავეცნოთ ორ პოზიციას, რომლებიც ძალზე ჰგავს ერთმანეთს, როგორც ანატომიურად, ისე მათში განხორციელებული ტაქტიკური დარტყმებით.

1937 წელს, თბილისში, საბჭოთა კავშირის X ჩემპიონატში, ოსტატების—ბაქოელ მაკაგონოვისა და ლენინგრადელ ჩეხოვერის შეხვედრა დამთავრდა ასეთი ფინალით:

მაკაგონოვი ჩეხოვერი



თეთრები დანებდნენ

შავების უკანასკნელი სვლა იყო ლg4-h4!! რაც მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას წააგავს.

თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, 1983 წელს, ოდესაში, სპორტსაზოგადოება „ტრუდის“ ჭაბუკთა საკავშირო ჩემპიონატში, ოსტატობის კანდიდატების ბუხარელი სატაროვის და თბილისისა და საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონის, ამჟამად მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ვერცხლის მედლის მფლობელის თამაზ ტაბატაძის შეხვედრის ფინალი საოცრად წააგავს მაკაგონოვ-ჩეხოვერის პარტიის ფინალს.

სატაროვი — ტაბატაძე



თეთრები დანებდნენ.

შავების უკანასკნელი სვლა იყო ლd4-d3!! ამ ულმობელი სვლის შემდეგ ძლევამოსილი თეთრი ლაზიერი ერთბაშად ვარდება უმწეო მდგომარეობაში.

პრანახული „საჭადრაკო სიბრძაეე“

საქართველოში ჭადრაკის მოყვარულები ხშირად იხსენებენ ებრალიძე-რაგოზინის გახმაურებული პარტიის დაბოლოებას, რომელიც გათამაშდა 1937 წელს თბილისში X საკავშირო ჩემპიონატში. ამ გახმაურების მიზეზი იყო ორთავე მოჭადრაკის უპრეცენდენტო „საჭადრაკო სიბრძავე!“

რაგოზინი — ებრალიძე



რაგოზინის უკანასკნელი სვლა იყო 40... ეc4-c7?? ეტლების გაცვლის შემდეგ ადვილი მოგებით. რაგოზინი გულისხმობდა შემდეგ გაგრძელებას: 41.ე×c7 კd6, ეტლის დაბრუნებით, მაგრამ 41... კd6 შეუძლებელია დაბმის გამო. საპასუხო სვლაზე ებრალიძემ იფიქრა ხუთი წუთი და არ აიყვანა მუქთად შეთავაზებული ეტლი, რითაც გამოიწვია ქართველი გულშემატკივრების დიდი მღელვარება და გულისწყრომა (ადვილი გასაგებია, ამ ხუთი წუთის განმავლობაში რაგოზინის განცდებიც, რომელმაც სვლის გაკეთებისთანავე დაინახა თავისი შეცდომა). ორიოდე სვლის შემდეგ კი თავად დაუსვა ეტლი და წააგო პარტია.

ეს საინტერესოა

● 1575 წელს, მადრიდში, ესპანეთის მეფის ფილიპე II-ის სასახლეში გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება ესპანელი და იტალიელი მოჭადრაკეების მონაწილეობით. გაიმარჯვა იტალიელმა ლეონარდომ. ეს შეჯიბრება, რა თქმა უნდა, პირობითად შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო ტურნირად.

● XVIII საუკუნიდან დასაბამი მიეცა სხვადასხვა ქვეყნის მოჭადრაკეთა სისტემატურ შეხვედრებს. XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე, საერთაშორისო შეხვედრების ერთადერთი ფორმა მატჩები იყო. ადრინდელი მატჩებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია 1747 წელს, ლონდონში გამართული მატჩი. ფილიდორმა დაამარცხა სტამა (სირიელი მოჭადრაკე, რომელიც XVIII საუკუნის 20-იან წლებში მშობლიური ალეპოდან საცხოვრებლად ლონდონში გადავიდა) +8, —1 —1; მატჩის პირობებით ყაიმი მოგებად ეთვლებოდა სტამას, ამიტომ, ოფიციალური შედეგი იყო 8:2. ყველა პარტია ფილიდორმა შავებით ითამაშა.

● გენიალური ფრანგი მოჭადრაკე ფრანსუა ანდრე დანიკან ფილიდორი (1726-1795) მეტოქეებს წინასწარ პაიკს ან ფიგურას აძლევდა. ის თავის თანამედროვეებზე მთელი თავით მაღლა იდგა. ფილიდორმა განაახლა დაფაზე დაუხედავად ერთდროული თამაშის სეანსის ჩატარების პრაქტიკა. მან პირველმა დაამუშავა პაიკებით თამაშის ზოგადი თეორია და პაიკს „ჭადრაკის სული და გული“ უწოდა. ფილიდორი პარიზის სამეფო ოპერის კომპოზიტორი იყო, დაწერილი აქვს 30-მდე ოპერა. იგი ფრანგული კომიკური ოპერის ფუძემდებელია. დიდრომ ფილიდორის სახელი თავის „ენციკლოპედიაში“ შეიტანა.

● 1951 წელს ლონდონში სამრეწველო გამოფენის დროს მოეწყო პირველი საერთაშორისო ტურნირი. პირველი ადგილი დაისაკუთრა მათემატიკის მასწავლებელმა, გერმანელმა ადოლფ ანდერსენმა (1818-1879).

● 1886 წელს ნიუ-იორკში გაიმართა პირველი ოფიციალური მატჩი მსოფლიოს პირველობაზე. ვილჰელმ სტეინიცი (1836-1900), რომელმაც დაამარცხა (+10, —5 —5) გერმანელი იოჰან გერმან ცუკერტორტი (1842-1888), მენჰეტენის საჭადრაკო კლუბმა საქვეყნოდ გამოაცხადა მსოფლიოს ჩემპიონად. სტეინიცი ეროვნებით ებრაელი იყო, პრაღელი. მატჩი ტარდებოდა ათ მოგებამდე.

ზოთა ინწკირველი

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს, მოსთხოვონ სტამბების მფლობელებს, რათა ქალაქის მარაგის ნაწილი დაუთმონ მუშურ პრესას.

კრებას 40 კაცი დაესწრო, დადგენილებები მიღებულია ერთხმად (1917. „გმირული დღეების მატიანე“ მ. 1973, გვ. 98).

სერგო ფილია აქტიურად მონაწილეობდა ქ. მოსკოვში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებასა და განხორციელებაში. მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა მოსკოვში მოღვაწე ქართველ ბოლშევიკებთან ი. წიფწიფაძესთან, მ. კახიანთან, ს. მამულიასთან და სხვებთან.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სერგო ფილია რსდმპ(ბ) მოსკოვის კომიტეტისა და აღმასკომის წევრად აირჩიეს, ამასთან იგი იყო მოსკოვის საქალაქო რაიკომის წევრი და ამავე რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების კოლეგიის წევრი. მას, როგორც მოსკოვის კომუნისტთა მებრძოლი შტაბის — აღმასკომის წევრს, თავისი წვლილი შეჰქონდა დედაქალაქში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში, მისი სამეურნეო და კულტურული აღმშენებლობისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში.

1918 წლის 18 ივნისს მოსკოვის საბჭოს პლენარულ სხდომაზე მოსკოვის საბჭოს დეპუტატი სერგო ფილია მოსკოვის რევტრიბუნალის სასამართლოს მსაჯულად (მოსამართლედ) აირჩიეს (მოსკოვის ოლქის ცენტრალური სახელმწიფო არქივი — ფ. 66, აღწ. 12, საქმე 357, გვ. 52ა).

საარქივო დოკუმენტებიდან, რომლებიც ისტორიამ შემოგვინახა, შეიძლება დავასკვნათ, როშ ქართველი ბოლშევიკი სერგო ფილია რევტრიბუნალის მოსამართლის პოსტზე სამაგალითოდ ასრულებდა ლენინურ განაწესს — ფხიზლად იდგა პროლეტარული დისციპლინის დაცვისა და განმტკიცების სადარაჯოზე, პრინციპულად და ულმობლად ებრძოდა მათ, ვინც თავისი საქციელით ზიანს აუენებდა საბჭოთა ხელისუფლებას.

1920 წლის აპრილში სერგო ფილია გაგზავნეს სამხრეთის ფრონტზე, ხარკოვში, სანიტარული მატარებლის კომისრად. ერთი წლის შემდეგ ჩამოვიდა თბილისში და მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე — თბილისის საბჭოს ცენტრალური საბინაო განყოფილების გამგედ, ქალაქის რევკომის პრეზიდიუმის წევრად (საქართველოს პროფსაბჭოსაგან), საქართველოს სახალხო შეურნეობის უმაღლესი საბჭოს მთავარ კონტროლიორად და ა. შ. არჩეული იყო სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობის დელეგატად, პოლიგრაფიული მრეწველობის პირველი ყრილობის ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ.

სერგო ფილია გარდაიცვალა 1925 წელს.

წელს 100 წელი სრულდება ჩვენი სახელოვანი თანამემამულის, მოსკოვში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის დაუცხრომელი მებრძოლის სერგო ივანეს ძე ფილიას დაბადებიდან.

ერთგული ლენინელის და მგზნებარე ინტერნაციონალისტის ცხოვრება და მოღვაწეობა ნათელი მაგალითია ლენინური პარტიის საქმისადმი უანგარო სამსახურისა.

იუმორი



აფთიაქარი ავადმყოფს მისდევს.

— შეჩერდით, მუსიე! კალცის მაგიერ შეცდომით დარიშხანი გაგატანეთ!

— ო, ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა...

— რა თქმა უნდა, მუსიე! დარიშხანი ხუთჯერ მეტი ღირს.

• • •

ექიმი ავადმყოფს:

— ვეღარ დაგიმალავთ, თქვენი საქმე ცუდად არის. ვინმეს ნახვას არ მოისურვებდით?

— კი, ექიმო...

— ვის გამოუძახოთ?

— სხვა ექიმს, თუ შეიძლება.

• • •

— რატომ იკეთებენ ქირურგები ნიღბებს ოპერაციის დროს?

— იმიტომ, რომ თუ ოპერაციამ ცუდად ჩაიარა, პაციენტებმა არ იცნონ.

• • •

რესტორანში:

— მე აქ იმიტომ დავდივარ, რომ ჩემი ცოლი სადილს არ ამზადებს.

— მე კი იმიტომ, რომ ჩემი ცოლი ცდილობს, სადილის დამზადებას.

• • •

— პიერ, იცი თუ არა, რომ არაფერი მაქვს ჩასაცმელი?

— ხუმრობ, ძვირფასო?! შენი კარადა სავსეა ტანსაცმლით!

— გეთანხმები, მაგრამ მთელმა კვარტალმა იცის, რას ვიცვამ.

— მაგ შემთხვევაში კვარტალი შევიცვალოთ, ძვირფასო!

• • •

მოსამართლე მსჯავრდებულს:

— რამის დამატება ხომ არ გსურთ?

— არა, გმადლობთ, ბატონო მოსამართლე, ორი წელი სამყოფია!

• • •

— როდესაც ფსიქიატრს ვუთხარი, რომ ჩემი ქმარი ცხვირიდან ბოლს უშვებს, მან მიპასუხა, რომ საშიში არაფერია...

—რა თქმა უნდა, მადლენ, ყველა მწეველი უშვებს ცხვირიდან ბოლს!

— კი, მაგრამ ჩემი ქმარი რომ არ ეწევა?!

ფრანგულიდან თარგმნა
გია ლოლაშვმ.

ჯოსვორდი



თარაზულად: 6. მამაკაცის ქუდი; 7. საუბარი ორ პირს შორის; 8. სხვადასხვა კონსტრუქციისა და ყალიბის ცეცხლსასროლი იარაღი; 11. მწერი; 12. რაიმე ენერგიის უმცირესი რაოდენობა; 14. ეთიოპიის ხალხთა უძველესი ჯგუფი; 16. გეოგრაფიული რუკების კრებული; 17. ზღვისაგან მოწყვეტილი ყურე; 20. ხილი; 21. განუხორციელებელი იმედი, ოცნება; 23. მოკლე ალეგორიული მოთხრობა; 25. ხელსაწყო, რომლითაც ზომავენ ჰაერის წონასა და სიმკვრივეს; 27.ზღვის ტალღების მოქმედებით სანაპიროს ნგრევა; 28. მდინარე ჩუკოტკაზე.

ზვეულად: 1. პაუზა ლექსის სტრიქონში; 2. სახალხო პოეტი — მომღერალი; 3. ქვემეხთა ხშირი, ერთდროულად სროლა; 4. სახელმწიფო ევროპაში; 5. ერთმანეთთან შეერთებული სხვადასხვა ტიპის რამდენიმე მანქანა; 9. მეცნიერება მინერალების შესახებ;10. ყელ-ყურისა და ცხვირის ექიმი; 13. მისწრაფება, ბიძგი; 15. ცალკეული შემთხვევა; 18. გიგანტური ხე; 19. სპორტული კიბე-კედელი; 22. ელექტრონული ხმოვანი სიგნალი; 24. უძრავი ქონების დაქირავება სათანადო ხელშეკრულების დადებით. 26. ფილოსოფიური მოძღვრება მორალის, ზნეობის შესახებ.

შეადგინა **ვაჟა ვახტანგაძემ.**

„დროშა“ № 9 გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

თარაზულად: 7. პრესინგი; 8. ტრაქტატი; 10. ეტნა; 11. ეტალონი; 12. იოდი; 13. ესაკია; 15. ისიანი; 17. კოკტო; 19. აზდაკი; 20. ბარსკი; 24. ოსაკა; 25. ბალადა; 27. კაიური; 28. აზრი; 30 შპალერი; 31. მასა; 32. კლარენსი; 33. სატელიტი.

ზვეულად: 1. პროტესტი; 2. ესმა; 3. ანკეტა; 4. ბარიტი; 5. ეტლი; 6. სტუდენტი; 9. კლერკი; 14. კრაზანა; 16. იუნკერი; 17. კაკაო; 18. ოტავა; 21. ავანზალი; 22. პაროლი; 23. სარასატე; 26. არშინი; 27. კაიუტა; 29. იორი; 31. მილი.

თარაზულად: 1. ხარფუხი; 3. ბაზალტი; 7. ქაოსი; 8. თავთავი; 11. ოკამი; 14. ისტორია; 16. თბილისი; 17. ნოკაუტი; 18. აპარატი; 22. დრამატურგია; 26. ირემი; 27. უფა; 28. აკი; 29. აზბესტი; 30. ინდოეთი.

ზვეულად: 1. ხუბულური; 2. იგოეთი; 3. ბელგია; 4. ინიციალი; 5. ტარო; 6. ჭა; 9. გული; 10. ბარი; 12. პანიკა; 13. პანამა; 15. ალი; 16. თხა; 17. ნარიყალა; 19. იუველირი; 20. რე; 21. კი; 22. დონორი; 23. უნტერი; 24. გამა; 25. ალტი.

გარეკანის პირველ გვერდზე: თბილისის 111-ე საშუალო პროფტექნიკური (პოლიგრაფიული) სასწავლებლის მესამე კურსის საწარმოო სწავლების წარჩინებული მოსწავლე: ირმა შიხიაშვილი.

გარეკანის მეოთხე გვერდზე: რესპუბლიკის ტექნიკის სახლის ტექნიკური მოდელირების ლაბორატორიაში. მიმდინარეობს სპალანეტთაშორისო სადგურის საექსპორტო მაკეტის დამუშავება-გაანგარიშების პროცესი.

მარტყოფის პროფტექნიკურ სასწავლებელში.

ფოტო **ბონდო დვალიშვილისა**

გადაეცა წარმოებას 16. 09. 85. ხელმოწერილია დასაბეჭდად 23. 10. 85. უე 05392. ქაღალდის ზომა $70 \times 108^1/_8$. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,09. ტირაჟი 48.000₄ შეკვ. 2056. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.

Адрес редакции: 380008. Тбилиси 8. пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის— 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დღეს კარგ გუნებაზე ვარ!

ფოტო ოთარ თურქიასი.